

# თარგმანების კრებული

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

2017



ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

**EMC**

Human Rights Education and Monitoring Center

თარგმანების კრებული მომზადებულია პროექტის „ღვებტ ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, SRHR საკითხების ადვოკატირება და ქვიარ აქტივიზმის ხელშეწყობა“ ფარგლებში.

პროექტი სქესობრივი განათლების შვედური ასოციაციის (RFSU) მხარდაჭერით ხორციელდება.

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორთა პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს შვედური ასოციაციის (RFSU) და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) შეხედულებების ამსახველად.

**რედაქტორი:** ლაშა ქავთარაძე  
**დიზაინერი:** თორნიკე ლორთქიფანიძე  
**გარეკანი:** სალომე ლაცაბიძე  
**ტირაჟი:** 300

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი. აბაშიძის 12ა, თბილისი, საქართველო  
ტელ.: +995 032 2 23 37 06

[www.emc.org.ge](http://www.emc.org.ge)  
[humanrightsemc@gmail.com](mailto:humanrightsemc@gmail.com)  
<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

# სარჩევი

<b>ორიენტალიზმიდან პომონაციონალიზმამდე: ქვიარ პოლიტიკა, ისლამოფობია და ევროპეიზაცია კოსოვოში .....</b>	<b>06</b>
ავტორი: პირო რექსეპი	
<i>მთარგმნელი: თორნიკე ჭუმბურიძე</i>	
<b>ტრანს წინააღმდეგობის მეთოდოლოგიები .....</b>	<b>37</b>
ავტორი: დინ სპეიდი	
<i>მთარგმნელი: ლაშა ქავთარაძე</i>	
<b>ფემინიზმის ნეოლიბერალური სუბიექტი .....</b>	<b>87</b>
ავტორი: იოჰანა ოქსალა	
<i>მთარგმნელი: თორნიკე ჭუმბურიძე</i>	

# ორიენტალიზმიდან ჰომონაციონალიზმამდე: ქვიარ პოლიტიკა, ისლამოფობია და ევროპეიზაცია კოსოვოში

## პირო რექსები

*მთარგმნელი: თორნიკე ჭუმბურიძე*

ქვიარ<sup>1</sup> პოლიტიკური მოძრაობები აღმოსავლეთ ევროპაში სულ უფრო მეტად ხდება კიდევ ერთი დისკურსული სივრცე, სადაც ევროკავშირის მულტიკულტურული მოქალაქეობა გადაისინჯება. ხშირად, ეს ხდება მარტივი ოპოზიციების – სეკულარული/რელიგიურის; მოდერნული/ტრადიციულის; გენდერული თანასწორობა/პატრიარქატისა და აღმოსავლეთი/დასავლეთის – გადაკვეთაზე. ბოლო ათწლეულებში, ევროპული და ამერიკული ქვიარ ლიტერატურა დაუპირისპირდა ამ ბინარულობებს, განიხილა რა ის გზები, რომლებითაც ქვიარ თემები ნორმალიზდება, დეპოლიტიზდება და ინტეგრირდება ჰეგემონიურ ლიბერალურ სტრუქტურებში იდენტობის სხვა განზომილებების – მაგალითად კლასის, რასის და რელიგიის – ექსკლუზიის გავლით. Puar-ის (2007, გვ. 39) შრომები იმის თაობაზე, თუ როგორ აქცევს სექსუალურ უფლებებს აშშ-ის ჰეგემონიის თანამონაწილედ „დისკურსული პრაქტიკა, რომელიც გამოაცალკევებს ამერიკულ გეებს და ქვიარებს რასობრივი და სექსუალური სხვებისგან“, სხვა სიტყვებით, ჰომონაციონალიზმი, ასეთი კრიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითია.

Schulman-ის (New York Times, 22 ნოემბერი, 2011) კონცეპტი „ფინქლო-შინგი“, რომელიც მოიხელთებს ისრაელის „განზრახულ სტრატეგიას, შენიღბოს პალესტინელთა უფლებების მიმდინარე დარღვევა“ და Scott-ის (2011) ნაშრომი სექსუალიზმზე, ანუ მოსაზრებაზე, რომ მხოლოდ სეკულა-

რიზმია თავსებადი სექსუალურ უფლებებთან, სექსუალურ უფლებებსა და მოქალაქეობაზე არსებული ამ ეჭვნაკლული დისკურსის გარღვევის სხვა მაგალითებია.

ბოლო ხანებში, ეს ლიტერატურა გამოიყენეს იმისათვის, რომ გამოკვლევულიყო ევროკავშირის გაფართოება, როგორც გენდერირებული და სექსუალიზებული პროცესი, რომელიც გულისხმობს მულტიკულტურული მოქალაქეობის შექმნას, სექსუალური უფლებების გარშემო ჩამოყალიბებული თემების ბრძოლების სხვა მარგინალური ჯგუფების ბრძოლებისგან იზოლირების გზით. Kulpa (2014, გვ 431), მაგალითად, ამ პროცესს უწოდებს „გენოლის პედაგოგიკას“, „ჰეგემონიურ დიდაქტიკურ ურთიერთებას, რომლის პირობებშიც [ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა] წარმოდგება დასავლური/ევროპული „პედაგოგიკის“ ობიექტად და მოიაზრება, როგორც გამუდმებით „პოსტ-კომუნისტური“, „ტრანზიციული“, (ანუ, არა ლიბერალური, ჯერ არა, არა საკმარისად) და ჰომოფობიური“. ბოლო ათწლეულში, როცა ევროკავშირმა აღიარა და ევროკავშირის მოქალაქეობაში ჩაწერა ჰომოსექსუალური ცხოვრების გარკვეული წესები და იდენტობები<sup>2</sup>, ევროკავშირი გამოარჩევს ქვიარ თემებს, როგორც სექსუალიზებულ მონაცვლად „სხვებს“, როგორც მსხვერპლებს, რომლებსაც სჭირდებათ დაცვა და ევროკავშირის ჩარევა პოლიტიკური აგენტობის და მოქალაქეობის შესაძენად. ქვიარ თემების ასეთი რეპრეზენტაცია წარმოადგენს მათ ისე, თითქოს სჭირდებოდეთ პატერნალისტური მფარველობა, სანამ სრულ პოლიტიკურ აგენტობას მოიპოვებენ და ამავდროულად, საშუალებას აძლევს ევროკავშირს, პოზიციონირდეს როგორც პროგრესის და მოდერნულობის განხორციელება, რომლისკენაც ყველა უნდა ისწრაფვოდეს, განსაკუთრებით ის ხალხები, რომლებიც ევროკავშირის პოტენციურ მოკავშირეებად მოიაზრებიან. აღმოსავლეთ ევროპაში ქვიარ თემებზე თავდასხმები კონტექსტუალიზდება პოსტკონფლიქტური პოპულისტური პოლიტიკის და პოსტ-სოციალისტური რელიგიური აღორძინების დისკურსში, რომლის თანახმადაც, ხანგრძლივმა ტრანზიციებმა, რომლებისთვისაც დამახასიათებელი იყო უმუშევრობა, კორუფცია და სიღარიბე, წარმოშვეს ნაციონალისტური და მემარჯვენე-რელიგიური პოპულიზმი, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვიარი მოქალაქეების თავისუფლებას. პოსტ-სოციალისტური და პოსტ-კონფლიქტური საზოგადოებებიდან

წარმატებული „ტრანზიცია“, ამის თანმდევ აღიარებასა და ევროკავშირში ასიმილაციასთან ერთად, არის ტელეოლოგია, რომლის მეშვეობითაც ევროკავშირი, ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტებთან თანაშრომლობით, კუთვნილების ახალ პოლიტიკას აყალიბებს. ამგვარად, ქვიარ უფლებების დისკურსი ხდება ერთ-ერთი მთავარი სივრცე, სადაც ევროპეიზაციასთან დაკავშირებული დაძაბულობები იყრიან თავს.

აღმოსავლეთ ევროპაში ქვიარ უფლებების ევროპეიზაციაზე ლიტერატურის ტენდენცია იყო კომპლექსური პოსტ-სოციალისტური რეალობების დაქვემდებარება და ხშირად, ყველა გამოცდილების ერთად დაჯგუფება პოსტ-სოციალისტური „ტრანზიციის“ და „ევროპეიზაციის“ კვლევების უფრო ფართო კრიტიკის ქოლგის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მსგავსებები იმაში, თუ როგორ მოხდა ქვიარ უფლებების დისკურსის ათვისება ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების ზოგად პროცესებში, ევროპაში ქვიარ კრიტიკის დეკოლონიზება მოითხოვს არამხოლოდ ევროპეიზაციის პოსტ-კოლონიური და პოსტ-სოციალისტური კრიტიკების შერწყმას<sup>3</sup>, არამედ იმის გამომჟღავნებასაც, როგორ გვხვდება ისლამოფობია ქვიარ უფლებებზე მეინსტრიმულ დებატებში როგორც ევროპის „ცენტრში“, ისე მის „პერიფერიაში“. ევროპის შიგნით, ქვიარ უფლებებზე დისკურსებში არსებული ისლამოფობია უკვე კარგად არის აღწერილი<sup>4</sup>. მაგალითად, ნიგნი „გეები, რომელთაც არ შეუძლიათ წესიერად იყვნენ გეები: ქვიარ მუსლიმები ნეოლიბერალურ ევროპულ ქალაქში“, El-Tayeb (2012, გვ. 80), შენიშნავს, რომ „მუსლიმების, მათ შორის, ქვიარი მუსლიმების გასხვავება, ევროპული ფენომენია და რომ, სინამდვილეში, კონტინენტის ერთ-სახელმწიფოების ევროპეიზაცია მნიშვნელოვანწილად არის გამოხატული მათ საერთო ისლამოფობიაში და კონტინენტური კავშირის მთავარ საფრთხედ ემიგრაციის დასახვაში“.

იმის გამომჟღავნებისას, თუ როგორ თანხვდებიან ისლამოფობია და ქვიარ უფლებების დისკურსი ევროპის ემიგრანტულ და მუსლიმურ თემებში, ამ კვლევებს ხშირად თვალთახედვის მიღმა რჩებათ ის, რომ ევროპის „პერიფერიაზე“ მცხოვრები მუსლიმები ისლამოფობიის სამიზნეები ხდებიან ქვიარ უფლებებზე იმ დისკურსების მეშვეობით, რომლებიც ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის ნაწილია. მსგავსად, კვლევები იმის თაობაზე, თუ როგორ აითვისა ქვიარ უფლებების პროექტები ევროკავშირის

გაფართოების დისკურსმა პოსტ-სოციალისტურ აღმოსავლეთ ევროპაში, მაგალითად Ayoub and Paternotte (2014), „ღვებ აქტივიზმი და ევროპის შექმნა: ცისარტყელისფერი ევროპა“, მიუხედავად იმისა, რომ განიხილავენ ევროკავშირის მიერ ქვიარ უფლებების ინსტრუმენტალიზებას ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის მიზნებისთვის, უგულებელყოფენ იმ განსხვავებებს, რომლებიც გვხვდება ამ დისკურსების გამოჩენისას მუსლიმი უმრავლესობის მქონე აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებში. მეტიც, კვლევები იმის თაობაზე, თუ როგორ გვხვდება ისლამოფობია გენდერულ და სექსუალურ უფლებებზე დისკურსებში ახლო აღმოსავლეთში, აფრიკა-სა და აზიაში, მაგალითად, გვიჩვენებს ინტერნაციონალის და ნეოკოლონიალურ ფორმაციებში მისი ჩართულობის Massad-ისეული (2004) კრიტიკა<sup>5</sup>, ასევე უკანა პლანზე წევნ აღმოსავლეთ ევროპელი მუსლიმი თემების გამოცდილებებს. ეს უყურადღებობა შესაძლოა გამოწვეულია იმ დომინანტური სივრცითი და დროითი კონფიგურაციებით, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპულ მუსლიმებს კოლონიალური ისტორიის და ახლო აღმოსავლეთის გეოგრაფიის მიღმა ათავსებენ. ვცდილობ რა, განვავრცო ეს ანალიზი, მე ვაკვირდები იმას, თუ როგორ წარმოდგება ისლამოფობია კოსოვოში ქვიარ უფლებებზე დისკურსებში ევროკავშირის გაფართოების უფრო ფართო პროცესების შიგნით. კოსოვო, სადაც აღმასრულებელი ძალაუფლებით აღჭურვილი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EULEX) ხანგრძლივ ყოფნას თან ერთვოდა ქვეყნის სუვერენიტეტის ერთგვარი სიმყიფე<sup>6</sup>, ევროპული ჰომონაციონალიზმის თვალნათელ მაგალითს გვთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ კოსოვო აღიარებს გვიქორწინებას<sup>7</sup> და კონსტიტუციით ადგენს ზომებს სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ<sup>8</sup>, ის სტაბილურად რჩება ერთ-ერთ ყველაზე ჰომოფობიურ საზოგადოებად ევროპაში. რით აიხსნება ეს მკვეთრი კონტრასტი, ერთი მხრივ, კოსოვოს მმართველი სტრუქტურების და ევროკავშირზე ორიენტირებული ელიტის სურვილებს და, მეორე მხრივ, მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებულ ჰომოფობიას შორის?

ეს თავი განიხილავს, როგორ ხდება კოსოვოში არსებული გარკვეული ქვიარ პოლიტიკური ფორმაციების ათვისება ევროპეიზაციის დისკურსში და როგორ გამოარჩევს ევროკავშირი დასაცავად ამ თემებს, როგორც მონყვლად სექსუალურ უმცირესობებს, რომლებიც ევროკავშირის მფარ-

ველობის ქვეშ უნდა მოექცნენ. მე ვამტკიცებ, რომ ბალკანეთის იმ ორიენტალისტური რეპრეზენტაციების მეშვეობით, რომლებიც წარმოადგენენ მას „ორაზროვანი პარტიკულარულობის“ (Todorova, 1997) სივრცედ, არც აღმოსავლეთად და არც დასავლეთად, ქვიარ იდენტობები კოსოვოში დეპოლიტიზდება და აიგება როგორც „ტრანზიციის“ მონყვლადი მსხვერპლები, რომელთა გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ ევროპაში გადასვლით ან ევროპის სახლში შემოყვანით. ორივე შემთხვევაში, მათ წარმოადგენენ როგორც უცხოებს თავიანთი უშუალო გეოგრაფიებისთვის; მათი რეპრეზენტაცია იმ საზოგადოების მსხვერპლებად, რომლებშიც ცხოვრობენ, სახავს მათ უკვე მოდერნულად და ევროპულად, საპირისპიროდ მათი საზოგადოების დანარჩენი ნაწილისა, რომელიც აღინერება როგორც ტრადიციული, ჩამორჩენილი და რელიგიური. ქვიარები კოსოვოში შემდგომ ხდებიან სიმბოლოები ალყაში მოქცეული ევროპის, რომელიც უნდა გათავისუფლდეს. ევროკავშირის მცდელობა, გადაარჩინოს ქვიარები კოსოვოში, საკუთარ თავზე მიმართული მისიაა, გადაარჩინოს თავი ჰომოფობიური წარსულისგან და ამავდროულად, გაფართოების პროცესში შეინარჩუნოს ტრადიცია/პროგრესის ბინარულობები, რომლებიც აძლევენ მას საშუალებას, დაუკავშიროს თავი პროგრესს და მოდერნულობას.

ეს „პროგრესის ჰეგემონიური კონცეფციები“ – ამტკიცებს ბატლერი (2008, გვ. 1) – „თავს განსაზღვრავენ იმ პრემოდერნულ დროითობასთან მიმართებით და წინააღმდეგ, რომელსაც თავად აწარმოებენ თვითლექტიმაციისათვის“. მე ვამტკიცებ, რომ პროგრესის ევროკავშირისეული კონცეფციები ოპერირებენ იმ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით, რომლებიც გაფართოების პროცესში, ვალიდურს ხდიან ევროპული სექსუალობების მულტიპლიკაციას, არტიკულირებენ რა ამ სექსუალობებს ადგილობრივ, „რეპრესირებულ“ სექსუალობებთან და ჩამორჩენილ მუსლიმურ ქვეყნებთან დაპირისპირებაში. განიხილავს რა ევროპული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სექსუალობების მულტიპლიკაციას რუმინეთის და ალბანეთის მაგალითზე, Woodcock (2004, გვ. 11) ამტკიცებს, რომ ეს სექსუალობები „პრივილეგირებულია, როგორც იდენტიფიკაციის მთავარი და პოლიტიკური ფორმები. ჰეტეროსექსუალი/ჰომოსექსუალი ბინარულობის სახით“ და რომ მათ შეუძლიათ „ზიანი მი-



აყენონ სექსუალობების და იდენტობების კომუნიკაციის უკვე არსებულ, უფრო დახვეწილ ქსელებს“.

ამ თავის მიზანი არის არა ის, ეჭვქვეშ დააყენოს ქვიარ ინდივიდების და თემების უფლება, თავი დაუკავშირონ ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი გეი უფლებების პოლიტიკას, არამედ ის, რომ განიხილოს, როგორ ხდება ამ პროექტთა ნაწილი ჩართული ისლამოფობიის სხვადასხვა ფორმაში და როგორ შეუძლია მოსაზრებას, რომ ქვიარ უფლებები თავსებადია მხოლოდ ევროპულ ღირებულებებთან, შეაფერხოს ან/და ჩააჩუმოს ალტერნატიული სექსუალობები. მე არ ვაპირებ ამჟამინდელი სიტუაციის ალტერნატივებზე სპეკულაციას. ამის სანაცვლოდ, მსურს გავაკრიტიკო „სტრუქტურა, რომელიც, სწორედ ახლა, ზღუდავს ჩვენს შესაძლებლობას, გავიხედოთ მის მიღმა და მივალწიოთ იმ ადგილებს, რომლებიც ვიცით, მის კედლებს გარეთ არიან“, რათა შევძლო, „ახალი ფორმა მივცე სურვილს, სხვა ორიენტირისკენ მივმართო იმედი, ხელახლა წარმოვიდგინო შესაძლებელი და ეს ყველაფერი გავაკეთო იმ ფანტაზიების გარეშე, რომლებიც უფლებებსა და რესპექტაბელურობაშია ჩაბუდებული“ (Halberstam, 2013, გვ. 6). სხვა სიტყვებით, ქვიარ უფლებების ჰეგემონიურ ფორმაციებთან თანხვედრის კრიტიკა არ მოითხოვს ალტერნატიული ან არანორმატიული სექსუალობების ინტერპელაციას, რადგან ეს „დისკურსისკენ ნაქმება“, როგორც ფუკო შეგვახსენებს (1999), შეიძლება ესწრაფოდეს ალტერნატიული სექსუალობების და სუბიექტურობების შენახვას, კატალოგიზების ან ათვისებას სექსუალობაზე და უფლებებზე უკვე არსებული ეპისტემოლოგიების ნუსხაში. შემოპატიჟება, დისიდენტიფიკაცია, არადქმადობა და უხილაობა შესაძლოა იმ ცოცხალ სტრატეგიებს შორის იყვნენ, რომლებითაც ქვიარები უპირისპირდებიან ქამინგაუთის და ხილვადობის ნორმატიულ ლიბერალურ პოლიტიკებს, რათა თავიდან აიცილონ ნეოლიბერალურ გუვერნმენტალურ ტექნოლოგიებში შთანთქმა.

მსჭელობას დავინწყებ იმით, თუ როგორ ხდება კოსოვოს ქვიარ ნარატივების ათვისება „ევროპაში დაბრუნების“ პარადიგმაში იმის ფონზე, რომ ევროკავშირი გამოაცალკევებს ქვიარებს სხვა მარგინალიზებული ჯგუფებისგან, განსაკუთრებით, მუსლიმური თემებისგან, როგორც არქეტიპულად ევროპულ „სხვას“. შემდგომ განვიხილავ, როგორ იყენებს ორგანიზაცია Kosovo 2.0 ორიენტალიზაციის და ჰომონაციონალისტურ სტრატეგიებს

კოსოვოს ევროპისადმი კუთვნილების საზომად, ათავსებს რა ქვიარ სუბიექტებს ევროპული გაფართოების დისკურსში და მიჭნავს მათ იმათგან, ვინც ანტიევროპულად მიიჩნევა. ამ პროცესს მე ევროვოშინგს ვუნოდებ. შემდგომ, ვანალიზებ იმას, როგორ ხდება ქვიარ უფლებები დისციპლინური ზომა, რომლის მეშვეობითაც კოსოვოს მუსლიმურ თემებს აიძულებენ, აწარმოონ ჰომოგენიზებული რეპრეზენტაციული მანდატი ისლამისთვის კოსოვოში. საბოლოოდ, ვამტკიცებ, რომ დომინანტური პოლიტიკური დისკურსი ევროპულ ინტეგრაციაზე კოსოვოში რეპრეზენტირდება როგორც ერთადერთი გზა იმისათვის, რომ ეს საზოგადოება გადავარჩინოთ თავისი რელიგიური თუ ღარიბი სხვებისგან და სრულად დავისნათ ამ საზოგადოების წევრები – როგორც ევროპელები – თავიანთ არაევროპული – სოციალისტური თუ ოსმალური – წარსულისგან.

## კოსოვოელი გეები ალყაში

*...კოსოვოელ გეებს უწევთ, იცხოვრონ იმ სამყაროსთან ერთად, რომელსაც ასე ახლოს ხედავენ დასავლეთ ევროპაში. მათ შეუძლიათ უყურონ იმას, რასაც ადამიანებმა სხვა ევროპულ ქვეყნებში მიაღწიეს, მაგრამ ეს ერთდროულად შვებაცაა და სატანჯველიც. შეუძლიათ, აირჩიონ დარჩენ გამოკვეტილები თავიანთ ბნელ სახლებში და იცქირონ გამყოფ ზღვარს მიღმა, ან სცადონ მისი გალახვა, სახიფათო ხიდების გავლით, იმ სწავიერებისთვის თავის არიდებით, რომლებიც ყველგან არიან მათ გარშემო.*

*(Ambrose, 2009, ონლაინ).*

ევროკავშირის ცივილიზაციური დისკურსი სელექციურად ოპერირებს, ერთი მხრივ, იმ ჯგუფების ინკლუზიით, რომლებიც „ევროპულ“ ღირებულებებთან თავსებადად მიიჩნევიან და მეორე მხრივ, იმ ჯგუფების ექსკლუზიით და გასხვავებით, რომლებიც „არაევროპულად“ ან „ანტიევროპულად“ მოიაზრებიან<sup>9</sup>. ამგვარად, ქვეყნების მიღება ევროკავშირში შეიძლება მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთავარი ანტაგონისტი აქტორები განეიტრალებიან

ევროპასთან გაერთიანების უფრო ფართო დისკურსის შიგნით. ისე ჩანს, რომ ეს განსაკუთრებით მართალია იმ ქვეყნების შემთხვევაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია<sup>10</sup>. ეს ზომები, ექსპლიციტური თუ იმპლიციტური დირექტივები, რომლებიც ევროკავშირის სხვადასხვა ბიუროდან მოდის, ტარდება როგორც წინასწარი მოქმედებები უსაფრთხოების იმ პოტენციური დეფიციტის საკომპენსაციოდ, რომელიც მუსლიმური უმრავლესობის ქვეყნის ევროკავშირში მიღებას შეიძლება მოჰყვეს. ისლამური პრაქტიკები განიხილება როგორც ბარიერები თანამედროვე ევროპული მოქალაქეობის განვითარებისთვის, განსაკუთრებით კოსოვოში, სადაც ჰომოფობიური ხასიათის რელიგიურ ალტერნატივებს ხშირად აიგივებენ პოტენციურ საფრთხევებთან ეროვნული უსაფრთხოებისა და ევროპეიზაციისთვის. ეს ხდება იმ დებატების შიგნით, რომლებიც, ერთი მხრივ, რელიგიურ თემებს მოიაზრებენ ტრადიციულ და ჩამორჩენილ ელემენტებად, რომლებიც საფრთხეს უქმნიან კოსოვოს და, მეორე მხრივ, უკუღებელყოფენ ინტერსექციური სუბიექტურობების, მაგალითად, ქვიარი მუსლიმების არსებობას. რა ხდის ქვიარ სუბიექტებს უფრო ათვისებადს ევროპეიზაციის პროცესში, ვიდრე მუსლიმებს?

ამგვარადვე, ადგილობრივი ელიტების პლატფორმები ევროპული მულტიეთნიკური და მულტუკულტურული ერებისთვის, პლატფორმები, რომლებიც ევროპის მოთხოვნებითაა განსაზღვრული, ფორმას „ევროპასთან დაბრუნების“ ან „ევროპასთან ხელახლა გაერთიანების“ მოდელის მიხედვით იძენენ. ეს დისკურსი გულისხმობს, რომ კოსოვოს ისტორია არ ყოფილა ევროპული ისტორიის შემადგენელი ნაწილი. ამის ნაცვლად, ის დაექვემდებარა „არაევროპულ“ ძალას (ანუ მიიჩნევა, რომ როგორც ოსმალებს იმპერია, ისე სოციალიზმი შეუთავსებელია ევროპულ ღირებულებებთან) და, ამიტომაც, ეს ისტორიული გამოცდილება წარმოდგება ან სიცარიელედ, ან ტვირთად, რომელთან გამკლავებაც „ევროპასთან ხელახლა გაერთიანების“ წინაპირობაა. შედეგად, ევროპელობის დამტკიცება ხდება არა მხოლოდ *sine qua non* ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესებისთვის, არამედ დისციპლინური ზომაც, რომელიც საშუალებას აძლევს ევროკავშირს, ჩაერიოს კოსოვოს შიდა საქმეებში, რათა დაეხმაროს მას „ევროპული სტანდარტების“<sup>11</sup> მიღწევაში. მეტიც, როცა დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ზომები მიიღება, პოლიტიკური ელიტები ასეთ გადაწყვეტილებებს ასაბუთებენ იმით, რომ ევროკავშირის რეგულაციებს

და კანონმდებლობის სავალდებულო ჰარმონიზაციას ცვლილებების მთავარ მიზეზად და მოტივაციად მოიხმობენ. ამით, ეს ზომიერი ლიბერალური დისკურსები პირდაპირ კვებავენ მზარდ წინააღმდეგობას სექსუალური უფლებებისადმი, რომლებიც ადგილობრივ დონეზე აღიქმება როგორც ევროკავშირის კიდევ ერთი ჩარევა კოსოვოს შიდა საქმეებში.

ევროპული ლიბერალური წესრიგი, საკუთარი თავის საკუთარსავე წინააღმდეგობებთან ერთად კვლავწარმოების პროცესში, ხშირად აქცევს ბალკანეთში ევროკავშირის გაფართოების ლოკალურ უბნებს დეპოლიტიზირებულ სივრცეებად. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევებში ხდება, როცა ევროკავშირის გაფართოება თანხვდება ლიბერალურ სამშვიდობო მისიებს, მაგალითად, კოსოვოში, სადაც ლოკალური ყოველთვის აღიქმება როგორც პერიფერიული, სუბალტერნული და პრემოდერნული.<sup>12</sup> ევროპული გაფართოების პროცესებში ლოკალურის ძიება, როგორც წესი, აიგება ინიციატივებით, რომლებიც მიზნად ისახავენ გააძლიერონ ადგილობრივი „სამოქალაქო საზოგადოება“ ან შექმნან ისეთი, რომელიც ერგება ევროკავშირისთვის სასურველ მოდელს. ევროკავშირის ბოლოდროინდელი პროექტი კოსოვოში, „ჰომოფობიის წინააღმდეგ: კოსოვოში ლგბტ ადამიანებისთვის დახმარების სისტემების აგება“, რომლისთვისაც 140 422 ევრო გამოიყო, ერთი ასეთი მაგალითია. პროექტი მიზნად ისახავს „გაზარდოს სამოქალაქო საზოგადოების როლი ადამიანის უფლებების და დემოკრატიული რეფორმების გაძლიერებაში, კერძოდ, ლგბტ პირების, საჯარო ცხოვრებაში მათი წარმოდგენის და მათი პოლიტიკური ჩართულობის მხარდაჭერით“ (Kosovoprojects.eu, 28 სექტემბერი, 2014).

ეს პროექტები ყოველთვის აგებულია „პრობლემა-გადაწყვეტა“ იმპერატივის გარშემო, ყოველთვის დეკონტექსტუალიზებული და დეპოლიტიზებულია, გამოცალკევებული მარგინალიზების ყველა სხვა ფაქტორისგან. ამრიგად, ევროკავშირის ჩართულობა კოსოვოში კონცენტრირებულია ქამინგაუთის პოლიტიკაზე და ისეთი სპეციფიკური ქვიარ სუბიექტის აგებაზე, რომელიც შეესაბამება ქვიარ უფლებებზე ევროკავშირის ნარატივს. ეს მიდგომა, როგორც Malansan (2003, გვ. 478) ამტკიცებს, აწარმოებს ერთ-სექსიანი [სიყვარულის] იმ პრაქტიკებს, რომლებიც ქამინგაუთით გათავისუფლების დასავლურ კატეგორიაში არ ჯდება, როგორც ჰომოფობიურს ან პრემოდერნულს. მეტიც, Manalansan ასევე მიანიშნებს გვი ლიბერაციის

ნარატივის სივრცით და დროით კონფიგურაციებზე და მის უნივერსალურობის პრეტენზიაზე, რომელიც ფოკუსირდება იდეაზე, რომ პრემოდერნულ ჰომოსექსუალურ პრაქტიკებს შეუძლიათ, აღმოაჩინონ თავიანთი პოლიტიკური აგენტობა და მოდერნული სუბიექტურობა მხოლოდ დეველოპმენტალური ნარატივების შიგნით. ამ ნარატივების თანახმად, „გეი“ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ იმ დეველოპმენტალური მოდელის მიხედვით, რომელიც იწყება გაუთავისუფლებელი, „პრეპოლიტიკური“ ჰომოსექსუალური პრაქტიკით და რომელიც კულმინაციას აღწევს გათავისუფლებულ, „დაქამინგაუთებულ“, „პოლიტიზებულ“, „თანამედროვე“, „გეი“ სუბიექტურობაში.“ (გვ. 478). ამგვარადვე, გამოაცალკევებს რა გეებს (რომლებიც „ქამინგაუთის მეშვეობით უნდა გათავისუფლდნენ“), ევროკავშირი არა მხოლოდ მიტანავს გეი და ტრანს თემებს მათივე საზოგადოებების კონტექსტიდან, არამედ უხილავს ხდის კლასის, ეთნიკურობის და რელიგიის მსგავს ინტერსექციურ საკითხებს და არ ითვალისწინებს იმ სირთულეებს, რომლებიც დაკავშირებულია გადამკვეთ სუბიექტურობებთან.

მეტიც, პოზიციონირდება რა, როგორც ქვიარების მთავარი მოკავშირე კოსოვოში, ევროკავშირი აქცევს მათ იმის შიგნით, რასაც Papantopoulou „ვალის წრეს“ უწოდებს. ეკონომიკურ კონცეპტს, რომელიც გულისხმობს მატერიალური კაპიტალის გაცვლას ემოციურ კაპიტალზე. თავის კვლევაში ტრანსგენდერი სუბიექტების, ფინქვოშინგის და ისრაელის შესახებ, Papantopoulou აღნიშნავს, რომ „მადლიერების სიონისტურ ეკონომიკაში, ტრანსგენდერი სუბიექტი გამუდმებით დავალებულია დასავლეთის და კაპიტალიზმის წინაშე, რადგანაც ისინი არსებობის უფლებას აძლევენ (გვ.281). ევროკავშირი აწარმოებს ასეთი ვალის წრეს ზევით ნახსენები პროექტების დაფინანსებით. ეს კვლევები აძლიერებენ იდეას, რომ ქვიარები კოსოვოში დავალებულნი არიან ევროკავშირისგან, რომელიც მათ იცავს და საშუალებას აძლევს, იარსებონ თავიანთივე საზოგადოებების შიგნით. კოსოვოს შემთხვევაში, მადლიერების ეკონომიკის პარადიგმა დამატებით განზომილებას იძენს, რაკი [ქვეყნის] ხელისუფლება ასევე სარგებლობს მისით და „ვალის წრეს“, რომელიც ქვიარ თემზეა თავსმოხვეული, ევროკავშირში ინტეგრაციისკენ მიმართავს.

კოსოვოს ხელისუფლება ლგბტ თემის მხარდაჭერას იყენებს როგორც თავდაცვის საშუალებას და ევროპეიზაციის მტკიცებულებას. თავდაც-

ვის მოდალობა აქ მიემართება კოსოვოელების დისტანცირებას მათი წინასწარ ნაგულისხმევი, რელიგიით და სოციალისტური წარსულით განპირობებული არაევროპელობისგან და კოსოვოელების ევროპელობის კვლავდადასტურებას ქვიარ უფლებების მიღებით (რაც ევროპული პროექტისადმი ერთგულების და შესაბამისობის ნიშანია). Kosovo 2.0-ის, არასამთავრობო ორგანიზაციის, რომელსაც ძირითადად ევროპელი და ამერიკელი დონორები აფინანსებენ და რომელსაც კოსოვოელი Besa Luci და ჰოლანდიელი Joan de Boer ხელმძღვანელობენ, მიზანია, „დაარღვიოს ეთნიკური და მორალური ტაბუები და ზღუდეები“ და შეცვალოს „მსოფლიოში კოსოვოს იმიჯი“ (Freepress Unilimited, 14 დეკემბერი, 2011). ამრიგად, განსხვავებით კოსოვო 1.0-ისგან, რომელიც შეიძლება კოსოვოს ტრადიციულ, პოსტ-სოციალისტურ და პოსტკონფლიქტურ კონცეპტუალიზებას აღნიშნავდეს, Kosovo 2.0 ესწრაფვის გადაარჩინოს კოსოვო თავისივე წარსულისგან ახალი, განახლებული კოსოვოს შექმნით, კოსოვოს, რომელიც თანხვდება ევროპულ განვითარებებს. ორგანიზაციის მიერ თავისი „სექს ჟურნალის“ გავრცელებას, 2012 წელს, თავს დაესხნენ „ფუნდამენტალისტი რელიგიური ადამიანები“<sup>13</sup>. დებატები, რომლებიც ამ თავდასხმებს მოჰყვა, ქვიარ უფლებებსა და სეკულარული/რელიგიურის დაყოფაზე კონცენტრირდა. თავდასხმებზე გამოხმაურებისას, ერთი კოსოვოელი რეპორტიორი წერდა: „თალიბანი აღბანელები ჩვენი საზოგადოების დაავადებაა. როგორც კიბოს დროსაა, თუკი მას არ მივხედავთ და მეტისმეტად გვიან ჩავერევით, განკურნების საშუალება აღარ იქნება. ასეთ მებრძოლებს სურთ ყელი გამოლადრონ გონიერებას“ (Quinones, 2013).

მსგავსადვე, ქვიარ უფლებებზე დებატები თავსდება კონტექსტში „ჩვენ და ისინი“, ანუ, ერთ მხარეს განათლებული, თანამედროვე მუსლიმები და მეორე მხარეს გაუნათლებელი, უცოდინარი, პატრიარქალური მუსლიმები, რომლებიც უარს ამბობენ ევროპის ნაწილად გახდომაზე. ამგვარად, ადგილობრივი ქვიარ ნარატივები გამოიყენება „ექსტრემისტების“ გასაკონტროლებლად, რაც „ევროპაში დაბრუნების“ ნარატივში გაიაზრება როგორც პატრიოტული ვალდებულება. ეს დისკურსი, შემდგომ, საშუალებას აძლევს ევროკავშირს, ჩაერთოს პოსტკოლონიურ პროექტში და გამოაცხადოს „მონინააღმდეგე მოსახლეობა არა უბრალოდ დასავლურ



განვითარებას „ჩამორჩენილად“, არამედ დაბლა მდგომადაც, აღმატებული ევროპული ღირებულების შუქზე“ (Rahman, 2014, გვ. 274). თუმცა, ჰომონაციონალიზმი გამოიყენება არა მხოლოდ ევროკავშირის, როგორც პროგრესისა და მოდერნულობის გამორჩეული სივრცის წარმოებისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ ევროპა გათავისუფლდეს ძალადობასთან, ექსტრემიზმთან და ჰომოფობიასთან თავისი კავშირისგან, ევროპის წარმოსახვითი საზღვრების მიღმა მათი მოთავსებით. როცა კოსოვო ევროპის წარმოსახვითს ერწყმის, მისი პრობლემები ძალადობასთან და ექსტრემისტულ ისლამთან აღმოსავლეთში ექსტრენალიზდება. მაგალითად, Kosovo 2.0-ის ჟურნალის რელიგიისადმი მიძღვნილ გამოშვებაში, Robeli ამტკიცებს, რომ „კოსოვოში, ისლამისტური ორგანიზაციები გააქტიურდნენ იმ ქაოსის დროს, რომელიც 1999 წლის ომის დამთავრებას მოჰყვა, ძირითადად ქველმოქმედების საფარქვეშ“ და შექმნეს კონფლიქტი „ადგილობრივ, ტოლერანტულ ისლამსა და რელიგიის ახალ, საზღვარგარეთ ინდოქტრინირებულ დამცველებს შორის“ (2014, გვ.44).

განაცხადით, რომ ისლამის ექსტრემისტულ და ძალადობრივ ფორმებს არაფერი აქვთ საერთო კოსოვოში არსებულ ტრადიციულ ისლამთან, ამ უკანასკნელის გამოცალკევება ხდება სხვა, უფრო ძალადობრივი ისლამური მოძრაობებისგან, რომლებიც სადღაც სხვაგან იღებენ სათავეს. ეს მტკიცება, კოსოვოელ მუსლიმებს არა მხოლოდ აქცევს მუსლიმურ სამყაროში მიმდინარე ცვლილებების უბრალო დამკვირვებლებად (და არა მათ შემადგენელ ნაწილად), არამედ კოსოვოსაც ათავსებს მუსლიმური სამყაროს მიღმა და, ამავდროულად, არ შეჰყავს ის ევროპულ სამყაროში, ძალადობისა და ექსტრემიზმისგან თავისუფლად მოაზრებულ სივრცეში. ბალკანელი მუსლიმების ეს „შორის-ყოფნა“, რასაც Todorova „ორაზროვან პარტიკულარულობას“ უწოდებს, მოითხოვს მუსლიმების სრულ სეკულარიზაციას და აწარმოებს სეკულარიზმს, როგორც უნივერსალურ ფენომენს, სრულად თავისუფალს თავისი ქრისტიანული და ევროპული საფუძვლებისგან. სეკულარიზმის დაცვა ასევე იგივედება ქვიარ სუბიექტების დაცვასთან. შემდეგ, მუსლიმური თემებისგან მოითხოვება, დაამტკიცონ თავიანთი ევროპელობა კოსოვოში ისლამზე ისეთი დისკურსის არტიკულირებით, რომელიც საფრთხეს არ უქმნის ევროპას, დისკურსის, რომელიც „ტოლერანტული“ და „ევროპულია“. პოლიტიკურ ფორმაციებს, რომლებიც ისლამური პრინციპებით ხელმძღვანელობენ, მა-

გალითად „Levisja Bashkohu“, ხშირად უტევენ იმ შიშზე დაყრდნობით, რომ მათ სურთ, დაუპირისპირდნენ სახელმწიფოს სეკულარულობას ქვიარ თემების უფლებების ეჭვქვეშ დაყენებით. Kosovo 2.0-ის რედაქტორი ინტერვიუში აღნიშნავს:

„Levisja Bashkohu-იმ ღიად მოუწოდა გარკვეული ტრადიციული მორალური ღირებულებების დაცვისკენ და ჩვენ ვშიშობთ, რომ, ზოგადად, ეს რელიგიური მოძრაობები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ჩვენი ტრადიციული პრაქტიკის მინიმალისტურ ისლამს, შეიძლება უფრო აქტიურები გახდნენ თავიანთ წინააღმდეგობაში სეკულარიზმთან და ლგბტ თემების უფლებებთან (Rudaku, 2012, ონლაინ).

აცხადებენ რა „მინიმალისტურ“ და „ზომიერ“ ისლამს კოსოვოსთვის „ტრადიციულად“, ქვიარ თემები იწყებენ ისლამის იმ ტიპის განსაზღვრას, რომელიც მისაღებია და „ტრადიციულია“ და უარყოფენ სხვა ფორმებს, როგორც გარეგანსა და უცხოურს. „ცუდი ისლამის“ ექსტერნალიზების ეს მცდელობა არ არის უნიკალური კოსოვოსთვის. მთელი ევროპის მასშტაბით იყო მცდელობა, აგებულიყო „კარგი ევროპელი მუსლიმი“, განსაკუთრებით მეორე და მესამე თაობის მუსლიმ ემიგრანტებს შორის, რათა ის დაპირისპირებოდა ახალ, ჩამოსულ მუსლიმებს, ვინც იჭრებიან ემიგრანტების თემებში და ახდენენ სხვაგვარად მშვიდობიანი, ევროპელი მუსლიმების რადიკალიზებას. მაგალითად, ნიდერლანდებში მიმდინარეობდა დეზატები ადგილობრივი იმამების განვრთნაზე, მათი იმპორტირების ნაცვლად, რათა თავიდან აცილებულიყო რადიკალიზაცია. იგულისხმებოდა, რომ უცხოელი იმამები ვერ შეითვისებენ ჰოლანდიურ კულტურას და ჰომოფობები არიან. ამ პროცესებში, ქვიარ უფლებების დისკურსი „ქმნის ენას ისლამისა და მულტიკულტურალიზმის დისკურსისთვის – არგოს, რომელიც ცხადად მონიშნავს ორიენტალისტურ დისკურსს, რომელიც მუსლიმი მოქალაქეების, როგორც შეცნობადის პროეცირებას ახდენს და აწარმოებს მათ კრიტიკის ობიექტებად“ (Mapschen, Duyvendak, 2013, გვ. 970). ეს კონფიგურაციები მიზნად ისახავენ გადაარჩინონ ადგილობრივი ისლამი ახალი, უცხოური ჩარევებისგან მისი განწმენდით. სტატიაში სათაურთი „მტერი შიგნით: კოსოვოს მორალური ჯვაროსნები“, რომელიც Kosovo 2.0-ში დაიბეჭდა, Maku (2014, ონლაინ) წერს:



ომი დამთავრდა და ახალი დაიწყო. ოღონდ ახლა მტერი უფრო ახლოსაა, უფრო ძნელია მისი შეკავება და განადგურება. ეს არის ღირებულებების ომი და ის გადაწყვეტს, რა სახეს მიიღებს ჩვენი ქვეყანა. თუკი ისტორიის გაკვეთილი რაიმეს გვასწავლის, ისაა, რომ თავისთავად არაფერი მოგვეცემა. თავისუფლებები, რომელთათვისაც ვიბრძოდით და რომელთაც ველოდით, შეიძლება ფოთლებით გაიფანტოს, თუკი არ გავავლებთ ზღვარს, რომლის გადალახვაც არ შეიძლება. მე მსურს, შვილები გავზარდო კოსოვოში, სადაც მათ შეეძლებათ იყვნენ ის, ვინც არიან და თქვან ის, რაც სურთ, ისე, რომ არ შეეშინდეთ იმათ ზენოლის და სასჯელის, ვინც მათ არ ეთანხმებიან. იმედი მაქვს, თქვენც ეს გსურთ.

იმ დროს, როცა ევროკავშირში ცირკულირებადი ისლამოფობური ენა გამოიყენება ადგილობრივი მუსლიმების დისციპლინირებისათვის, იქმნება რა „ზღვარი, რომლის გადალახვაც არ შეიძლება“, სიმბოლური ზღვარი არამხოლოდ გამოჰყოფს ქვიარებს სხვა მარგინალიზებული ჯგუფებისგან კოსოვოს შიგნით, არამედ ისწრაფვის, რომ კოსოვო გადაიყვანოს თავისი „შორის-ყოფნიდან“ მთლიანად ევროპის საზღვრებში. რაკი ექსტრემისტული ისლამური ტრადიციები გარეთ თავსდება, ისლამი ხდება დამლა, რომელიც კოსოვოს თავის არაევროპულ წარსულთან აჭაჭვავს; მხოლოდ ამ დამლის მოშორებით და ასიმილირებით შეუძლია კოსოვოს აღდგეს როგორც ევროპული ერი, თავისუფალი თავისი ისლამური წარსულისგან. შედეგად, ქვიარ უფლებების დაცვა და ხელშეწყობა ხდება შესაფერი ხელსაწყო ამ ახალი მტრის „შეკავებისა და განადგურებისთვის“; ღონისძიებისთვის, რომელიც აუცილებელია, თუკი კოსოვოს სურს, სრულად ინტეგრირდეს ევროკავშირში. კოსოვოელი ჟურნალისტი შენიშნავს:

კოსოვო, რომლისთვისაც ისედაც პრობლემაა კრიმინალით და კორუფციით გამოწვეული ცუდი იმიჯი მსოფლიოში, იძენს კიდევ ერთ დამლას, რადიკალურ ისლამს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა აქტუალურად მიიჩნევა ევროპის ბევრ სხვა ნაწილშიც, კოსოვოს შემთხვევაში, ქვეყნის, რომელიც ინტეგრაციის პროცესშია, მან შეიძლება პოტენციურად დაბლოკოს ინტეგრაციის პროცესი (Xharra, 2014, online)<sup>14</sup>.

ეს შიშები ასახავენ კოსოვოს ინტეგრაციასთან დაკავშირებით ევროპაში არსებული შფოთვების ლოკალურად შეთვისებას. თუკი თურქეთის ევროკავშირში მიღებასთან დაკავშირებით რელიგიას ხშირად განიხილავენ, კოსოვოს შემთხვევაში, მას ან უხილავს ხდიან, ან ანაცვლებენ დებატებით პოსტ-კონფლიქტური დემოკრატიზაციის, მულტიეთნიკური თანაცხოვრების და არა მაინცდამაინც სეკულარული/რელიგიური დაყოფის შესახებ. ეს ჩარჩო საშუალებას იძლევა, კოსოვო დარჩეს ევროკავშირის პირდაპირი, „კანონის უზენაესობის“ მისიების გავლენის ქვეშ იმ დრომდე, სანამ ევროკავშირი არ გადაწყვეტს, რომ კოსოვო საკმარისად ევროპული გახდება იმისათვის, რომ ევროკავშირს შეუერთდეს<sup>15</sup>. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ 2005 წელს „საერთაშორისო კომისია ბალკანეთისთვის“ აცხადებდა:

რეალური არჩევანი, რომელიც ევროპამ უნდა გააკეთოს ბალკანეთში, არის შემდეგი: გაფართოება ან იმპერია. ასეთი დამთრგუნველი მომავლის ნიშნები უკვე ხილვადია კოსოვოსა და ბოსნიის კვაზიპროტექტორატებში. რაკი ეს ტერიტორიები მათთვის დიდად მნიშვნელოვანი არ არის, საერთაშორისო წარმომადგენლები ითხოვენ სწრაფ გადაწყვეტებს რთული პრობლემებისთვის; ისინი დაკავებულნი არიან სოციალური ინჟინერიით, მაგრამ არავის წინაშე აგებენ პასუხს, როცა მათი რეფორმები ცუდად მიდის. თუკი ევროპის ნეოკოლონიალური მმართველობა კიდევ უფრო გამყარდება, ის ეკონომიკურ მღელვარებას შეუწყობს ხელს; ის გახდება პოლიტიკური სირცხვილი ევროპული პროექტისთვის (Amato, 2005, გვ.11).

ევროკავშირის ნეოკოლონიალური მმართველობა მართლაც გამყარდა ბოსნია-ჰერცეგოვინას და კოსოვოს კვაზიპროტექტორატებში. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თავდაპირველმა, პოსტ-კონფლიქტური რეკონსტრუქციის ლეგიტიმაციამ ძალის დაკარგვა დაიწყო; ჩაფლავებული ეკონომიკური და სამშვიდობო სტრატეგიების შემდგომ, [ევროკავშირის] წარმოდგენილობის ლეგიტიმაციამ ახლა უმცირესობების დაცვაზე გადაინაცვლა. ქვიარ უფლებების შეთვისება კოსოვოზე ევროკავშირის პირდაპირი ზედამხედველობის დასაბუთებათა წყებაში ახალი მალეგითიმი-

გებელი ფაქტორია, რომელიც EULEX-ის [კოსოვოში] ყოფნას უმაგრებს ზურგს. Ruhman მიიჩნევს, რომ ასეთი ჰომოკოლონიალისტური პროექტების მახასიათებლები მიმართულია „ტრადიციულ“ მუსლიმურ კულტურებზე, როგორც არადასავლურ სხვებზე, რომლებიც უნდა ცივილიზდნენ ან მოდერნიზდნენ და ასევე „საშინაო“ დასავლური ქვიარ იდენტობების აგებაზე (Ruhman 2014, გვ. 279). კოსოვო ალბათ ყველაზე კარგად გათვლილი მცდელობაა ამ სამკუთხედის განხორციელების: პერიფერიაში ცივილიზაციური მისიის ფარგლებში, ქვიარ უფლებების მხარდაჭერის და ამავდროულად, ნორმატიული ქვიარ იდენტობის წარმოების მთელი ევროკავშირისთვის. კოსოვოში ქვიარების გადარჩენის მისია, ამგვარად, ევროკავშირის გადარჩენის მისია ხდება. ამ კონტექსტში, კოსოვო და კოსოვოელები გარდაიქმნებიან ევროკავშირის ლაბორატორიად, რომელიც ატარებს ექსპერიმენტებს მთელი ევროკავშირისთვის მულტიკულტურული მოქალაქეობის სასურველი სახის აგებაზე პოსტ-კონფლიქტური და პოსტ-სოციალისტური სამშვიდობო თუ ევროპეიზაციის მისიების საფარქვეშ. (იხ. Bilic-ის შესავალი ამ კრებულისთვის). საერთაშორისო ურთიერთობების კრიტიკული თეორია დაუპირისპირდა მსგავსი, ჰუმანიტარული და სამშვიდობო საერთაშორისო ინტერვენციების დაფუძნების ნარატივებს, გააკრიტიკა რა ისინი როგორც უშუალო ნაწილი ნეოლიბერალური წესრიგისა, რომელიც უგულვებლყოფს კონფლიქტის უფრო ფართო, სტრუქტურულ პრობლემებს და არჩევს, პრობლემას „პერიფერიაში“ გაუმკლავდეს „პრობლემა-გადანწყვეტის“ იმპერატივის მეშვეობით (მაგალითად: Pugh, 2004 ; Schellhaas & Seegers, 2009). ამ მისიების, როგორც გენდერიზებული და სექსუალიზებული პროცესების განხილვას მცირე ყურადღება ეთმობა. განსაკუთრებით ნაკლებად არის გაანალიზებული პროცესი, რომლის მეშვეობითაც ადგილობრივ პოლიტიკურ აგენტობას ჰუმანიტარული მისიები იყენებენ, გენდერიზებული და სექსუალიზებული სუბიექტების გადასარჩენად.

2012 წელს, ჩიკაგოში, ნატოს სამიტზე, Amnesty International-მა ჩაატარა საჯარო კამპანიები სახელად „ადამიანის უფლებები ქალებისა და გოგონებისთვის ავღანეთში“ და „ნატო: განაგრძე პროგრესი“ (Chamseddine, 2013). კამპანია იმ დროს დაემთხვა, როცა ავღანეთში ნატოს ყოფნის მხარდაჭერამ კლება დაიწყო იმათ შორის, ვინც თავიდან მას მხარს უჭერდა. [ამ კამპანიების] გამოყენება ავღანეთში ნატოს ყოფნის გახანგრძლივებისკენ

მოსაწოდებლად იმის მიერ, რასაც Puar „ადამიანის უფლებების ინდუსტრიულ კომპლექსს უწოდებს“, „გენდერული თანასწორობის“ სახელით იმპერიალიზმის ნათელი მაგალითია. თუკი ავღანეთში მსხვერპლებად ქალები და გოგონები ისახებოდნენ, პოსტიუგოსლავიური ჰუმანიტარული ინტერვენციებისას, ეს უფრო რთულად განსახორციელებელი მარკეტინგული სვლა გამოდგა, რადგანაც პოსტ-სოციალისტურ სივრცეებს, ინტერვენციონისტების თვალთახედვით, ნაკლებად აწუხებდათ ქალებთან და გოგონებთან, და მეტად – სხვა უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემები. თუკი, უშუალოდ კონფლიქტის შემდგომ, მსხვერპლების ესენციალიზაცია მათი ეთნიკურობის და ხანდახან გენდერის გავლით მოხდა, პოსტ-კონფლიქტური „სტაბილიზაციისა და ასოციაციის“<sup>16</sup> პირობებში, ახალი უმცირესობები სულ უფრო მეტად გახდნენ სექსუალური უმცირესობები. მაგალითად, Atanasoki შენიშნავს, რომ პოსტ-სოციალისტური იმპერიალიზმი ოპერირებს ჰუმანიტარული ეთიკით, რომელსაც იდეოლოგიურ და კულტურულ განსხვავებებში აქვს ფესვი გადგმული და რომელიც შემდგომ აქცევს პოსტ-სოციალისტურ და ისლამურ ქვეყნებს დისციპლინური ძალადობის ან ჰუმანიტარული ძალადობის ობიექტებად (Atanasoki, 2013). ამგვარად, მსხვერპლების იერარქია ინტერვენციების გეოგრაფიასთან ერთად ივლება. ნაშრომში „კომონაციონალიზმის გადააზრება“ Puar (2013, გვ. 338) აღნიშნავს, რომ „გეების და ლესბოსელების ადამიანის უფლებების ინდუსტრია აგრძელებს იდენტობების ევრო-ამერიკული კონსტრუქტების (თავად სექსუალური იდენტობის ცნებაზეც რომ არაფერი ვთქვათ) წარმოებას, კონსტრუქტების, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ იდენტობის პოლიტიკას, „ქამინგაუტს“, საჯარო ხილვადობას და საკანონმდებლო ღონისძიებებს, როგორც სოციალური პროგრესის უმთავრეს ბარომეტრებს“. და მაინც, კვლევების მცირე რაოდენობა განიხილავს, თუ როგორ იწარმოება ეს იდენტობები და რა – სამიზნე მოსახლეობებთან დაკავშირებული თუ საშინაო – მიზნებისთვის. ისინი მხოლოდ სამიზნე ქვეყანაში ან მოსახლეობაში ინტერვენციების, რეფორმების და რეჯიმის ცვლილების ლეგიტიმიზებისთვის გამოიყენება? თუ ამასთან ერთად იმასაც ემსახურებიან, რომ ჩააცხრონ ქვიარ დაძაბულობები შინ და დაარწმუნონ ევროკავშირი თავის გამორჩეულ პროგრესულობასა და მოდერნულობაში?

## Kosovo 2.0: „სექსის ინციდენტი“

2012 წლის 4 დეკემბერს, მედიასაშუალებას Kosovo 2.0-ის ჟურნალის გამოშვების „სექსი“ პრეზენტაციას დაახლოებით ასი ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი დაესხა თავს შეძახილებით „გავთრიეთ პიდარასტებო“, „მათი ადგილი აქ არ არის“ და „დიდ არს ალაჰი“ (Luci, 2013). ჟურნალის წინა გამოცემა რელიგიას მიეძღვნა და მასში Robelli, რეგულარული კონტრიბუტორი, წერდა:

„ალბანური ისლამური ტრადიციის მტრები და მებრძოლი ვაჰაბიტები ცდილობენ, გააჩაღონ კონფლიქტი კოსოვოს საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის და სკოლაში თავსაბურავის ტარების დაშვების მოთხოვნა მხოლოდ დასაწყისია. თუ ვაჰაბიტებს – ან სალაფიტებს, როგორც მათი ნაწილი არჩევს თავს უწოდოს – გამოუვით დაუმორჩილონ კოსოვოს სახელმწიფო თავიანთ მოთხოვნას თავსაბურავების თაობაზე, სხვა მოთხოვნებიც იქნება. შესაძლოა, უფრო რადიკალური მოთხოვნებიც, ქალების შემოსვასთან დაკავშირებით ან სულაც, მოთხოვნები აიკრძალოს სუნამოს გამოყენება ან მუსიკის მოსმენა და ქალები ლალატისთვის ჩაქოლვით დაისაჯონ. ყველა ამათგანი კარგად ცნობილი ფენომენია საუდის არაბეთში“ (Robelli, 2013, ონლაინ).

ამ თავდასხმების განმარტებები მედიაში და ოფიციალურ დეკლარაციებში, აქცენტს ძირითადად აკეთებდა ისლამოფობიურ ენაზე, ახასიათებდა რა ისლამს „პატრიარქალურად“, „ჩამორჩენილად“ და „ფუნდამენტალისტურად“. ჟურნალ Kosovo 2.0-ის „სექსის“ გამოშვება შეიცავდა სტატიას ჰომოფობიაზე კოსოვოში, სადაც ამერიკელი ჟურნალისტი, Seyward Darby წერს: „კოსოვოს საზოგადოება, რომელიც ცოცხლობს ისტორიაში, კულტურასა და ისლამის (კოსოვოს ყველაზე მრავალრიცხოვანი რელიგია) მიმდინარეობებში ფესვგადგმული კონსერვატიული ღირებულებებით, აგრეთვე, დიდწილად არატოლერანტულია ლგბტ ინდივიდების მიმართ“ (Seyward, 2013, ონლაინ).

პირდაპირი კორელაცია, რომელსაც ეს წაკითხვები ხედავენ, ერთი მხრივ, ისლამს, როგორც ტრადიციულ, კონსერვატიულ და აგრესიულ ფე-

ნომენს, და, მეორე მხრივ, იმ საფრთხეს შორის, რასაც ის უქმნის არა მხოლოდ კოსოვოს ქვიარ თემს, არამედ სეკულარულ კოსოვოურ საზოგადოებას ზოგადად, გამოიყენება როგორც მექანიზმი რომელიც განამტკიცებს ბინარულობას „ევროპაზე ორიენტირებული სეკულარული უმრავლესობა/ ჩამორჩენილი მუსლიმური უმცირესობა“. მეტიც, როგორც უკვე ვახსენე, ეს ბინარულობა უკლებელყოფს იმ ქვიარი მუსლიმების ინტერსექციურ სუბიექტურობებს, რომლებიც თავს აიდენტიფიცირებენ როგორც ისლამთან, ისე ქვიარობასთან და არ აცნობიერებს ზოგადად ქვიარობის, როგორც ნორმალიზებული, თეორიზებული და კოდიფიცირებული იდენტობის მიღმა არსებული სივრცის კომპლექსურობას.

ამასთან, ეს განმარტებები ჩქმალავენ არა მხოლოდ უფრო ფართო სტრუქტურულ საკითხებს, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც სიღარიბესთან, უმუშევრობასთან, რასიზმთან, ექსკლუზიზმთან და ინსტიტუციონალიზებულ დისკრიმინაციასთან არის დაკავშირებული, არამედ იმასაც, რომ ქვიარ უფლებების ევროპეიზაცია ქმნის და აღვივებს პომოფობიას მუსლიმურ თემებში, ერთი მხრივ, იმით, რომ მიაწერს გარკვეულ უფლებებს ევროკავშირის გაფართოების პროცესს და გვერდზე სწევს სხვა უფლებებს, და, მეორე მხრივ, იმით, რომ იყენებს ქვიარ უფლებების ნარატივებს როგორც „ენას ისლამის კრიტიკისთვის“ (Mapschen, et al., 2010, გვ. 970). ბალკანეთში ევროპელი და აშშ-ის ელჩების მიერ ქვიარ თემებისთვის მხარდაჭერის გამოცხადება ამ პოლიტიკის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია. Kosovo 2.0-ზე თავდასხმის შემდგომ, კოსოვოში აშშ-ს საელჩომ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც გმობდა თავდასხმებს, რომლებიც განახორციელა: „ექსტრემისტების ბრბომ ჟურნალ Kosovo 2.0-ის პრეზენტაციაზე, 14 დეკემბერს. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალადობის და მუქარის ადგილი არ არის და შეერთებული შტატები ყოველთვის დაიცავს მოქალაქეების გამოხატვისა და პრესის თავისუფლებას“ (აშშ-ის საელჩო, 2012).

მოდერნულობის და დემოკრატიის დატყუება „ძალადობისგან თავისუფალ სივრცეებად“, წარმოადგენს თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ცივილიზაციის ნიმუშად, რომელსაც უნდა მიბაძონ და რომლის გარანტირებაც უნდა მოხდეს აშშ-ის, მისი ამჟამინდელი დამცველის მფარველობის ქვეშ. შედეგად, ქვიარ პოლიტიკური ფორმაციები ეწერე-

ბიან ლიბერალური დემოკრატიული წესრიგის ლეგიტიმაციის და რეპრეზენტაციის ევროპული მულტიკულტურული პოლიტიკის „პერიფერიაში“ წარმოქმნის პროცესში.

თავდასხმების შემდგომ, ევროკავშირმა დააფინანსა საჯარო კამპანია, რომელმაც გამოუშვა ვიდეო „სტიგმა“ (2014). ვიდეოში, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კოსოვოელი ჟურნალისტი, Jeta Xharru გამოთქვამს იმედს, რომ კოსოვო „მიადნევეს ევროპული ცივილიზაციის იმ საფეხურს, სადაც ჰომოსექსუალები კი არ დაიმალებიან საზოგადოებისგან, არამედ ისინი, ვინც მათ წინააღმდეგ სიძულვილის ენას იყენებს და მათ ესხმის თავს“ (Zeqiri, 20014). აქ, ევროპული ცივილიზაცია, გაიგივებული სექსუალურ უფლებებთან და წაკითხული პოსტ-სოციალისტური და პოსტ-კონფლიქტური ტრანზიციის საბოლოო მიზნად, გვხვდება როგორც სამომავლო ამოცანა, რომელიც აწარმოებს ევროპის როგორც სიძულვილის ენისგან და ძალადობისგან თავისუფალი სივრცის ილუზიას. ძალადობის ხილვადობის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები, რომლებიც ქვიარ თემებს მიემართება „წარმოსახავენ ტრანზიციულ საზოგადოებებს როგორც ძალადობაში ჩაფლულებსა და ევროკავშირის დახმარებაზე დამოკიდებულებს“. ეს ასევე ემსახურება კოსოვოს შიდა საქმეებში ევროკავშირის ჩარევის დასაბუთებას. ამის მაგალითია EULEX-ის ჩარევა ადგილობრივ სამართლებრივ პროცესში ზემოთ ნახსენები თავდასხმების გასამართლებისას. მიუხედავად იმისა, რომ EULEX-ის მანდატი ომის დანაშაულებებით და კორუფციით შემოიფარგლება, ორგანიზაცია მაინც ჩაერთა Kosovo 2.0-ზე თავდასხმების სასამართლო განხილვაში (EULEX, 2014a, 2014b). ქვიარ თემების სელექციური, სხვა თემებისგან განსხვავებული დაცვის პროცესი არამხოლოდ ხელს უშლის ამ თემებს სხვა მარგინალიზებულ ჯგუფებთან ალიანსების შექმნაში, არამედ გამოაცალკევებს მათ, როგორც ევროკავშირის მიერ მეტად დაცვის ღირსებს, რომელსაც Puar უწოდებს „პარალელურ პროცესს დემარკაციისა იმ მოსახლეობისგან, რომელიც სეგრეგაციის სამიზნეა“ (Puar, 2007, გვ.xii). ეს განცალკევება აგრეთვე ხმარდება ლიბერალური, ევროპაზე ორიენტირებული ელიტის შექმნასა და გაძლიერებას; ელიტის, რომელიც შემდგომ ადგილობრივი ინტერლოკუტორი და ევროპეიზაციის, როგორც ქვიარ თემების წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის საშუალების ადვოკატირებით,



ევროკავშირის ექსპანსიონიზმის ერთ-ერთი ძრავი ხდება. ამ კონტექსტში, სახეგნა ორმაგი პროცესი: თუკი EULEX ადგილზე მოქმედებს აღმასრულებელი და სამართლებრივი ძალაუფლების მეშვეობით, ადგილობრივი ელიტა ამ მისიის ლეგიტიმაციის აგენტი ხდება. იკვლევს რა კოსოვოში საერთაშორისო წარმომადგენლობის ამ დინამიკას, Visoka (2011, გვ.100) აღნიშნავს:

„დეველოპმენტალური დახმარებების განწევა და ნეოლიბერალური ეკონომიკის აგება საშუალებას აძლევს საერთაშორისო მოთამაშეებს, იხირონ ვაჭრობით, სესხებით და სხვა ინვესტიციებით. რეჟიმების ცვლილება და დემოკრატიის მშენებლობა ქმნის ახალ პარტნიორობებს, უსაფრთხოების კავშირებს და ლოიალობებსა და სივრცეს უსაზღვრო ექსპლუატაციისთვის. სამხედრო შენაერთების გაგზავნა ასევე იძლევა სახიფათო ტერიტორიებში ჯარის განვრთვის და თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიების თუ დოქტრინების გამოცდის საშუალებას. კანონის უზენაესობის დამყარება თავიდან იცილებს ტერორიზმს, ორგანიზებულ დანაშაულს, ტრეფიკინგს და თავშესაფრის მთხოვნელებს“.

რამდენადაც ნეოლიბერალური გლობალიზაცია კულტურის, პოლიტიკის და ბაზრების სექსუალიზებას ახდენს, ის წარმოქმნის ევროკავშირის შიდა და გარე პერიფერიების გაკონტროლების ახალ მეთოდებს. ლიბერალური მულტიკულტურალიზმის ლეგიტიმაციის პროცესში, ფოკუსი გამუდმებით ინაცვლებს ერთი ჯგუფიდან მეორეზე. Haritaworn (2012, გვ.138) აღნიშნავს, რომ „მრავალფეროვნების სიმბოლო, ამ დისკუსიაში, ინაცვლებს გარასობრივებული სხეულიდან (რომელიც „ემიგრანტ ჰომოფობად“ იქცევა) სექსუალიზებულ სხეულამდე (რომელიც ხდება „ტრავმირებული ჰომოსექსუალი“ ვინც „ემიგრანტი ჰომოფობისგან“ დაცვას საჭიროებს). ამ ახალ რეალობაში, ქვიარ სუბიექტებს ეძლევათ საშუალება, ევროკავშირში და აშშ-ში თავშესაფარი მიიღონ, გუანტანამოს ყოფილ პატიმრებს კი ალბანეთში საცხოვრებლად გზავნიან (Golden, 2007). თუკი „ტრავმირებულ ჰომოსექსუალს“ ევროკავშირის მფარველობის ქვეშ შეუძლვებიან, ემიგრანტი სხვა საფრთხედ აღიქმება. „ძალადობრივი მიგრაცია“



ციის მიმოხილვის“ ერთ-ერთი ანგარიში აღნიშნავს, რომ [თავშესაფრის მთხოვნელი] კოსოვოელების უმეტესობა – სჯერა რა, რომ თუ განაცხადს სექსუალური უმცირესობის სტატუსით შეიტანს, თავშესაფრის მიღების შანსები გაიზრდება – აცხადებს რომ ქვიარია (Fauchie, 2013). ამავდროულად, უნგრეთში არსებულ დაკავების ცენტრებში 600-ზე მეტი არაქვიარი კოსოვოელია, ვისაც ევროპაში თავშესაფარზე უარი უთხრეს.<sup>17</sup>

Kosovo 2.0-ზე თავდასხმების გამოძიებისას, EULEX-მა და კოსოვოს სახელმწიფო პროკურატურამ სამ ადამიანს წარუდგინა ბრალი „ძალადობის გავლევებისთვის, კოსოვოელ მოქალაქეთა თანასწორი სტატუსის დარღვევისთვის, საჯარო გამოსვლის შეფერხებისა და ქონების დაზიანებისთვის“ (EULEX, 3 მარტი, EULEX, 2014a, EULEX, 2014b). „სხეულის უმნიშვნელო დაზიანებების“ ბრალდება მოიხსნა მტკიცებულებების ნაკლებობის გამო. თავდასხმამ ქვიარ თემი, Kosovo 2.0-თან ერთად, მონიშნა როგორც თავისი საზოგადოების მონყვლადი მსხვერპლი და ასახა მუსლიმური თემი როგორც ჰომოფობიური, ექსტრემისტული, ფუნდამენტალისტური და როგორც წინაღობა ევროპეიზაციისთვის. ქვიარ თემის აღქმა მონყვლად მსხვერპლებად გზას ხსნის ევროკავშირის შემდგომი ჩარევებისათვის, რაც იმეორებს ოჯახური ზრუნვის ჰეტერონორმატიულ სცენარს, რომლის პირობებშიც, ბავშვს სჭირდება მშობლების მზრუნველობა, სანამ სრულ პოლიტიკურ იდენტობას და სუბიექტურობას შეიძენს. ევროპეიზაციის დისკურსის ეს ტელეოლოგიური პროცესი, რომლის შიგნითაც ევროკავშირი წარმოადგენს და იცავს ქვიარს, როგორც ძალადობის მსხვერპლს, კვებავს „ვალის წრეს“, სადაც ქვიარებმა მხარი უნდა დაუჭირონ ევროკავშირში ინტეგრაციას და იმ სუბიექტების დისციპლინირებას, ვინც ამ პროცესს საფრთხეს უქმნის. ის, თუ როგორ იყენებენ ჰეგემონიური ძალები მონყვლად სექსუალიზებულ სხეულებს ნეოკოლონიალიზმის ამოცანებისთვის, უკვე კარგად განხილულია.<sup>18</sup> ამ პროცესში ქალების ან ქვიარების გამოცალკევება და შეთვისება შესაძლებელს ხდის „მორალურ ესენციალიზმს“, რომელშიც ცივილიზაციურ მისიასთან კოოპერაცია ხდება საკუთარი თავის „კარგ ადამიანად“ ასაგებად (Mindy, 2001, გვ. 1202). ქვიარ პოლიტიკური ფორმაციები, შედეგად, მიესაღმებინ ევროპეიზაციას და ლეგიტიმიზებენ [ევროპის] ნეოკოლონიალურ წარმომადგენლობას კოსოვოში და, ამავდროულად, პოზიციონირდებიან როგორც გარეგანები თავიანთ-

სავე საზოგადოებაში. განსხვავებით დანარჩენი კოსოვოელებისგან, ვინც კვლავაც ორაზროვან სუბიექტებად რჩებიან ევროპეიზაციის პროცესში, ქვიარები წარმოდგებიან როგორც უკვე ევროპელები. ქვიარ უფლებები ხდება „ხაზი“ ფრონტზე, სადაც „იდენტობა ვერ გადაისინჯება“ და სადაც „მთლიანობა შიგნით იქმნება, იმათი ექსკლუზიის ხარჯზე, ვინც გარეთაა“ (Hudson, 2008, გვ.38). „გარეთ, კოსოვოს შემთხვევაში, ექსტრემისტი მუსლიმები არიან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მონყვლად ქვიარ სუბიექტებს და, ამიტომაც, უნდა დისციპლინირდნენ. აგრძელებს რა ჟიჟეკის არგუმენტს წიგნიდან „ძალადობა: ექვსი ცალმხრივი რეფლექსია“, Wessels (2011, გვ. 7) ამტკიცებს, რომ „ექსტრემიზმი“ არის: „კატეგორია, რომელიც მიანიშნებს ზედმეტ და არასათანადოდ დისციპლინირებულ სუბიექტურობაზე. „ექსტრემიზმის“ იარლიყი აღნიშნავს სიამოვნების ისეთ გამოხატულებას, რომელმაც ლეგიტიმური მოქალაქეობის გეზიდან გადაუხვია. ექსტრემისტი მეტისმეტად სიამოვნებს, მეტისმეტად შორს მიდის, მაგრამ ინარჩუნებს პოტენციალს, დაბრუნდეს ეროვნული კუთვნილების საზღვრებში“<sup>19</sup>.

თუმცა, კოსოვოში მუსლიმების გასხვავება ახალი ფენომენი არ არის; ის სტაბილურად გვხვდება თანამედროვე ერი-სახელმწიფოების აგებისას, როდესაც მუსლიმები გამუდმებით ინარმოებიან როგორც შეუთავსებლები ევროპულ მოდერნულობასთან და ევროპულ სეკულარიზმთან. ადგილობრივი ელიტების და მათი ევროკავშირელი კოლეგების მტკიცედ გამჭდარი ორიენტალისტური შფოთვები და ისლამოფობია იწვევს იმას, რომ ისინი დარწმუნებულნი არიან: თუ კოსოვო ევროკავშირის ნაწილი გახდება, მისი მუსლიმი სუბიექტები უნდა მულტიკულტურალიზდნენ; სხვა სიტყვებით, ისინი უნდა ასიმილირდნენ და მოერგონ იდენტობის წინასწარგანსაზღვრულ მანდატს, რომელიც შეთავსებადია ევროკავშირის მულტიკულტურულ პოლიტიკასთან.

რაკი ევროკავშირთან ინტეგრაციის ისტორიულ უეჭველობად წარმოდგენა ხდება, იგივე პროცესი მიმდინარეობს მუსლიმების ასიმილაციის შემთხვევაშიც. ქვიარ უფლებების ნარატივი აქ გამოიყენება, ერთი მხრივ, ევროპის შიგნით ევროპელობის არტიკულირებისთვის და, მეორე მხრივ, კოსოვოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის და საპოლიციო მისიების, როგორც ევროკავშირში შესვლისთვის აუცილებელი ევროპეიზა-

ციის პროცესის ნაწილის ლეგიტიმაციისთვის. ევროპული გაფართოების პოლიტიკა და მისი ჩართულობა დროის იერარქიას ეფუძნება. ევროკავშირის ამჟამინდელი წევრები, მიაღწიეს რა ქვიარ უფლებების პროგრესის დრომდე, ახლა ქვიარ უფლებების დისკურსს აქცევენ დროით ტელეოლოგიაში, რომელიც ადგენს მათ ამ პროგრესის ექსპერტებად, რომლებიც [ევროკავშირში] მიღების მსურველ, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს ასწავლიან, თავადაც როგორ მიაღწიონ ამ დრომდე. ბატლერი (2008, გვ.1) ამტკიცებს, რომ „იმ გზებში, რომლებითაც სექსუალობის პოლიტიკაზე დებატების კონტურები მოიხაზება, უკვე ჩაქსოვილია დროის, და კერძოდ, პროგრესის პრობლემა და გარკვეული კონცეფციები იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს მომავალი თავისუფლების დროში გამოშლა“. მეტიც, ის ამბობს, რომ „პროგრესის ჰეგემონიური კონცეფციები „განსაზღვრავენ იმ პრემოდერნულ დროითობასთან მიმართებით და წინააღმდეგ, რომელსაც თავად აწარმოებენ საკუთარ თვითლეგიტიმაციისათვის“. ამ კონტექსტში, ქვიარი კოსოვოელები, მიაღწიეს რა ამ დრომდე, იქცვიან ჯარისკაცებად, რომლებიც არამხოლოდ მიუძღვებიან თავიანთი საზოგადოების დანარჩენ ნაწილს პროგრესისკენ, არამედ ლეგიტიმიზებენ და კვლავ ამტკიცებენ თავად ევროკავშირის მიღწევებს სექსუალურ უფლებებში.

## დასკვნა

Kosovo 2.0-ზე თავდასხმის საქმე არის მაგალითი გზებისა, რომლითაც ლიბერალური „სამოქალაქო საზოგადოება“, კოსოვოს ადგილობრივი ხელისუფლება და ევროკავშირი განსაზღვრავენ კოსოვოელ მუსლიმებს და ქვიარებს ერთმანეთთან ფუნდამენტურად დაპირისპირებულებად. ინციდენტი გამოიყენება როგორც საშუალება, რომ კოსოვოელი ქვიარები წარმოდგინდნენ ალყაში მოქცეულებად, მსხვერპლებად, რომელთაც შველა ესაჭიროებათ. ის ასევე ოპერირებს აღმოსავლეთ ევროპელი მუსლიმური თემების, როგორც ჩამორჩენილების, არატოლერანტულების, ტრადიციულების და არარაციონალურების დისციპლინირებისა და განდევნისთვის იმის ფონზე, რომ ევროკავშირი ნატურალიზდება როგორც ტოლერანტული, პროგრესული, მოდერნული და რაციონალური. ევროკავშირს დიდად არ ეტყობა, რომ კოსოვოში

ლგბტქ თემების (ან თუნდაც მუსლიმების) უფლებებზე ღელავდეს; ამის მაგივრად, მისთვის მნიშვნელოვანია გააკონტროლოს ევროკავშირის სივრცის სიმბოლური საზღვრები და გამოიყენოს თავისი ძალაუფლება (მაგალითად, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობაზე თავისი რიტორიკა) მულტიკულტურული და სეკულარული ევროპის იმიჯის ასაგებად და შესანარჩუნებლად – ფინქვოშინგის ეს ფორმა, ანუ ის, რასაც მე „ევროვოშინგს“ ვუნოვებ, ახალი ორიენტალისტური და ისლამოფობიური დისკურსია, რომელსაც ტრანსნაციონალური და უსაფრთხოებისა და მორგებული ევროპული წესრიგი, ევროპა 2.0 აწარმოებს. რეალური ალყა, რომელშიც კოსოვოელი ქვიარები მოექცნენ, არის საფრთხე, რომ მოუწევთ პოლიტიკური აგენტობა გადააბარონ ძალთა საერთაშორისო კოალიციას (EULEX, UN), რომელიც სახავთ მათ ნაგულისხმევად ირაციონალური, პატრიარქალური, ჰომოფობიური, ფუნდამენტალისტური ისლამის მსხვერპლებად. ევროკავშირის მცდელობა, გადაარჩინოს ქვიარები კოსოვოში, საკუთარ თავზე მიმართული მისიაა, გადაიარჩინოს თავი საკუთარი ჰომოფობიური წარსულისგან და ამავდროულად, გაფართოების პროცესში შეინარჩუნოს ტრადიცია/პროგრესის ბინარულობები, რომლებიც აძლევენ მას საშუალებას, დაუკავშიროს თავი პროგრესს და მოდერნულობას. რომ დავამატოთ, ამით ევროკავშირი არამხოლოდ ჩამოირეცხავს მის საზღვრებს შიგნით ქვიარ თემებთან ჰომოფობიურ ურთიერთობებს, არამედ სოციალიზმის და ოსმალური იმპერიის ისტორიასაც შლის მესხიერებიდან. თავის ტერიტორიულ საზღვრებში, ევროკავშირი ინარჩუნებს ფიქცია, რომ განწმენდილი და შეუღახავია სოციალიზმის და ისლამის ისტორიისგან; სხვა სიტყვებით, მათზე გამარჯვებული.

## გამოყენებული ლიტერატურა

Amato, G., & International Commission on the Balkans. (2005). *The Balkans in Europe's Future*. Sofi a, Bulgaria: Centre for Liberal Strategies.

Ambrose, D. (2009). *Beyond the Kosovo rainbow: Today's gay people trapped in a deadly past*. Retrieved from <http://dominicambrose.wordpress.com/2009/05/09/beyond-the-kosovo-rainbow>

Atanasoski, N. (2013). *Humanitarian violence: The US deployment of diversity*. Minneapolis, MN: University of Minnesota Press.

Ayoub, P. & Paternotte, D. (Eds.) (2014). *LGBT activism and the making of Europe: A rainbow Europe?* London: Palgrave Macmillan

Birca, M. (2009). *EU visa policy accused of creating Muslim ghettos*. Retrieved from <http://eurasia.ro/?p=26791>

Bolton, G., & Visoka, G. (2010). *Recognizing Kosovo's independence: Remedial secession or earned sovereignty?* SEESOX Occasion Paper No. 11/10. Retrieved from <http://doras.dcu.ie/17126/>

Buruma, I. (2006). *Murder in Amsterdam: The death of Theo van Gogh and the limits of tolerance*. New York: Penguin Press.

Butler, J. (2008). Sexual politics, torture, and secular time. *British Journal of Sociology*, 59, 1–23.

Chamseddine, R. (2013). Amnesty International: NATO, 'Keep The Progress Going'. *Collateral Damage Magazine*. Retrieved from <http://collateraldamagemagazine.net/2013/11/02/amnesty-international-nato-keepthe-progress-going>

Council of the European Union. (2013). Guidelines to promote and protect the enjoyment of all human rights by lesbian, gay, bisexual, transgender and intersex (LGBTI) persons. Retrieved from [http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms\\_Data/docs/pressdata/EN/foraff/137](http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_Data/docs/pressdata/EN/foraff/137)

El-Tayeb, F. (2011). *European others: Queering ethnicity in postnational Europe*. Minneapolis, MN: University of Minnesota Press.

El-Tayeb, F. (2012). 'Gays who cannot properly be gay': Queer Muslims in the neoliberal European city. *European Journal of Women's Studies*, 19, 79–95.

Embassy of the United States in Pristina, Kosovo. (2012, December, 17). U.S. Embassy Statement Concerning Violence Targeting LGBT Community. Retrieved from [http://pristina.usembassy.gov/statement\\_concerning\\_violence\\_targeting\\_lgbt\\_community.html](http://pristina.usembassy.gov/statement_concerning_violence_targeting_lgbt_community.html)

EULEX. (2014a). *Indictment filed in Kosovo 2.0 case*. Retrieved from <http://www.eulex-kosovo.eu/en/pressreleases/0482.php>

EULEX. (2014b). *Kosovo 2.0 verdict*. Retrieved from <http://www.eulex-kosovo.eu/en/pressreleases/0568.php>

European Union Office in Kosovo. (2014). *Challenging homophobia: Building support systems for LGBT people in Kosovo*. Retrieved from <http://www.kosovoprojects.eu/en/content/challenging-homophobia-building-supportsystems-lgbt-people-kosovo>

Éwanjé-Épée, F. B., & Magliani-Belkacem, S. (2013). *The empire of sexuality: An interview with Joseph Massad*. Retrieved from [www.jadaliyya.com](http://www.jadaliyya.com)

Fauchier, A. (2013). Kosovo: What does the future hold for LGBT people? Retrieved from <http://www.fmreview.org/sogi/fauchier>

Foucault, M. (1999). The incitement to discourse. In A. Jaworski & N. Coupland (Eds.), *The discourse reader* (pp. 514–522). London: Routledge.

Fowler, A. (2014). *Same-sex marriage legal in Kosovo?* Retrieved from <http://www.hrc.org/blog/entry/same-sex-marriage-legal-in-kosovo>

Global Detention Project. (2014). *Hungary detention details at the Global Detention Project*. Retrieved from <http://www.globaldetentionproject.org/countries/europe/hungary/introduction.html>

Golden, T. (2007, June 10). Chinese leave Guantánamo for Albanian limbo. *New York Times*. Retrieved from [http://www.nytimes.com/2007/06/10/world/europe/10resettle.html?pagewanted=all&\\_r=0](http://www.nytimes.com/2007/06/10/world/europe/10resettle.html?pagewanted=all&_r=0)

Halberstam, J. (2013). The wild beyond: With and for the undercommons. In S. Harney & F. Moten (Eds.), *The undercommons: Fugitive planning & black study* (pp. 2–14). Brooklyn, NY: Autonomedia.

Haritaworn, J. K. (2010). Queer injuries: The racial politics of „homophobic hate crime” in Germany. *Social Justice*, 12, 69–89.

Haritaworn, J. K. (2012). Wounded subjects: Sexual exceptionalism and the moral panic on „migrant homophobia” in Germany. In M. M. Boatcă, S. Costa, & E. G. Rodríguez (Eds.), *Decolonizing European sociology: Transdisciplinary approaches* (pp. 135–152). Surrey, BC, Canada: Ashgate.

Heiland, A., Comet, T., & Reintke, T. (2013). *Anne, Teo and Terry go to Kosovo: What can possibly go wrong?* Retrieved from <http://www.fyeg.org/news/anne-teo-and-terry-go-kosovo—what-can-possibly-go-wrong>

Hudson, G. M. (2008). Europe with America. In M. Miessen (Ed.), *East Coast Europe* (pp. 37–52). Berlin, Germany: Sternberg Press.

- Ker-Lindsay, A. & Economides, S. (2012). Standards before status before accession: Kosovo's EU perspective. *Journal of Balkan and Near Eastern Studies*, 14, 77–92.
- Kovacevic, N. (2008). *Narrating post/communism: Colonial discourse and Europe's borderline civilization*. New York: Routledge.
- Kulpa, R. (2014). Western leveraged pedagogy of Central and Eastern Europe: Discourses of homophobia, tolerance, and nationhood. *Gender, Place & Culture: A Journal of Feminist Geography*, 21, 431–448.
- Kuus, M. (2004). Europe's Eastern expansion and the reinscription of Otherness in East-Central Europe. *Progress in Human Geography*, 28, 472–489.
- Luçi, B. (2013). *The sex issue, one year later: The debate is more important than the attack*. Retrieved from <http://www.kosovotwopointzero.com/en/article/935/the-sex-issue-one-year-later-the-debate-is-more-important-than-the-attack>
- Manalansan IV, M. F. (2003). *Global divas: Filipino gay men in the diaspora*. Durham, NC: Duke University Press.
- Mapschen, P., Duyvendak, J. W., & Tonkes, E. (2010). Sexual politics, orientalism and multicultural citizenship in The Netherlands. *Sociology*, 44, 962–979.
- Marku, H. (2014). The enemy within: Kosovo's moral crusaders. *Kosovo 2.0*. Retrieved from <http://www.kosovotwopointzero.com/en/article/1027/theenemy-within-kosovos-moral-crusaders>
- Massad, J. (2004). *Desiring Arabs*. Chicago: University of Chicago Press.
- Mindry, D. (2001). Nongovernmental organizations, „grassroots”, and the politics of virtue. *Signs: Journal of Women in Culture and Society*, 26, 1187–1211.
- Papantonopoulou, S. (2014). „Even a freak like you would be safe in Tel Aviv”: Transgender subjects, wounded attachments, and the Zionist economy of gratitude. *Women's Studies Quarterly*, 42, 278–293.
- Puar, J. K. (2007). *Terrorist assemblages: Homonationalism in queer times*. Durham, NC: Duke University Press.
- Puar, J. K. (2013). Rethinking homonationalism. *International Journal of Middle East Studies*, 45, 336–339.

- Pugh, M. (2004). Peacekeeping and critical theory. *International peacekeeping*, 11, 1, 39–58.
- Quinones, M. (2013). *Kosovo 2.0: Defining a new nation*. Retrieved from <http://thenewcontext.milanoschool.org/kosovo-2-0-defining-a-new-nation>
- Rahman, M. (2014). Queer rights and the triangulation of Western exceptionalism. *Journal of Human Rights*, 13, 274–289.
- Rao, R. (2012). On 'gay conditionality,' imperial power and queer liberation. *Kafi la*. Retrieved from <http://kafila.org/2012/01/01/on-gay-conditionality-imperial-power-and-queer-liberation-rahul-rao/#more-11088>
- Richmond, O. P. (2009a). Becoming liberal, unbecoming liberalism: Liberallocal hybridity via the everyday as a response to the paradoxes of liberal peacebuilding. *Journal of Intervention and Statebuilding*, 3, 324–344.
- Richmond, O. P. (2009b). The romanticisation of the local: Welfare, culture and peacebuilding. *International Spectator*, 44, 149–169.
- Richmond, O. P. (2011). Failed statebuilding versus peace formation. *Cooperation and Conflict*, 48, 378–400.
- Robelli, E. (2012). Faith led astray. *Kosovo 2.0*. Retrieved from [http://issuu.com/vanlennep/docs/religion\\_english?e=0/1100072#search](http://issuu.com/vanlennep/docs/religion_english?e=0/1100072#search)
- Robelli, E. (2013). *A place for space*. Retrieved from <http://www.kosovotwopointzero.com/en/article/876/a-place-for-space>
- Rudaku, A. (2012). „*The night of sex*” and the LGBT cultural conflict. Retrieved from <http://www.kosova-sot.info/print/nata-e-seksit-dhe-konflikti-kultuormbi-lgbtne>
- Schellhaas, C., & Seegers, A. (2009). Peacebuilding: Imperialism's new disguise? *African Security Studies*, 18, 2, 1–15.
- Scott, J. W. (2011). *The fantasy of feminist history*. Durham, NC: Duke University Press.
- Seyward, D. (2013). *Kosovo's homophobia*. Retrieved from <http://www.kosovotwopointzero.com/en/article/665/kosovos-homophobia>
- Tekin, A. (2005). Future of Turkey–EU relations: A civilisational discourse. *Futures*, 37, 287–302.



- Todorova, M. N. (1997). *Imagining the Balkans*. New York: Oxford University Press.
- Visoka, G. (2011). International governance and local resistance in Kosovo: The thin line between ethical, emancipatory and exclusionary politics. *Irish Studies in International Affairs*, 22, 99-125.
- Wessels, E. (2011). Becoming Žižek's neighbor: Alterity, affect, and network in popular culture and policy at the 10th anniversary of 9/11. *International Journal of Žižek Studies*, 6, 1-26.
- Woodcock, S. (2004). Globalisation of LGBT identities: Containment masquerading as salvation, or why lesbians have less fun. In M. Frunzã & T. E.
- Văcărescu (Eds.), *Gender and the (Post) „East”/“West” Divide* (pp. 1-13). Cluj-Napoca, Romania: Limes.
- Xharra, B. (2014). *Radical Islam: The next blow to Kosovo*. Retrieved from <http://zeri.info/artikulli/35849/islami-radikal-goditje-e-radhes-ndaj-kosoves>
- Zeqiri, B. (2014). *Documentary: STIGMA*. Produced by Blerta Zeqiri. Retrieved from <http://www.eulex-kosovo.eu/en/news/000495-a.php>
- Žižek, S. (2008). *Violence: Six sideways reflections*. London: Profile Books.
- Zuin, M. & Apostolidis, K. (2008). On constitution writing: The case of Kosovo—Interview with Professor Louis Aucoin. *Praxis*, 23, 123-128.

## შენიშვნები

- 1 ამ თავის მიზნებისთვის, „ქვიარს“ ვიყენებ როგორც ქოლგა ცნებას, რომელიც მოიცავს ყველა არა-ჰეტეროსექსუალ და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანს.
- 2 მაგალითად, იხ. ევროსაბჭოს ბოლოდროინდელი სახელმძღვანელოები (2013)
- 3 ამ საკითხზე მეტი იხ. რექსეპი (ქვევით)
- 4 იხ. მაგ. El-Tayeb (2011); Haritaworn (2010), და Buruma (2006).
- 5 ამ საკითხზე მეტი იხ. Massad (2004) და Éwanjé-Épée and Magliani-Belkacem (2013)

6 კოსოვოს სუვერენიტეტის ვრცელი განხილვისთვის იხ. Bolton and Visoka (2010)

7 იხ. მაგ. Fowler (2014)

8 ამ საკითხებზე დეტალური ანგარიშისთვის იხ. Zuin and Apostolidis (2008). სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ დაცვა გახდა კოსოვოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ნაწილიც. მეტი იხ. Fauchier (2013)

9 იხ. Tekin ( 2005 ); Kuus ( 2004 ) და Kovacevic (2008).

10 მაგალითად, „ახალგაზრდა ფედერალისტა ევროპულმა მოძრაობამ“ დაადასტურა ევროკავშირი, რომ ის ქმნის ახალ მუსლიმურ გეტოებს ახალი სავიზო რეჟიმით, რომელიც საშუალებას აძლევს მაკედონიის, სერბეთის და მონტენეგროს, მაგრამ არა – ბოსნია და ჰერცეგოვინას, თურქეთის, ალბანეთის და კოსოვოს (ყველა ამათგანი მუსლიმური უმრავლესობის ქვეყანაა) მოქალაქეებს, იმოგზაურონ ევროკავშირში. დეტალური აღწერისთვის იხ. Birca (2009).

11 კოსოვოსთვის ევროკავშირის მიერ წაყენებული პირობების დეტალური განხილვისთვის იხ. Ker-Lindsay and Economides (2012).

12 იხ. მაგ. Richmond (2009a, 2009b, 2011).

13 იხ. მაგ. Heiland, Comet, and Reintke (2013)

14 თარგმანი ალბანურიდან. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ყველა თარგმანი ჩემი გაკეთებულია (ავტორის შენიშვნა).

15 დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. [www.eulex-kosovo.eu](http://www.eulex-kosovo.eu) და <http://www.euforbih.org>.

16 „სტაბილიზაციისა და ასოციაციის შეთანხმება და პროცესი“ შეგიძლიათ მოიპოვოთ აქ : [http://ec.europa.eu/enlargement/policy/glossary/terms/saa\\_en.htm](http://ec.europa.eu/enlargement/policy/glossary/terms/saa_en.htm)

17 იხ. მაგ. Global Detention Project (2014).

18 იხ. Rao (2012)

19 ასევე. იხ. Žižek (2008)

# ტრანს წინააღმდეგობის მეთოდოლოგიები

## დინ სპეიდი

*მთარგმნელი: ლაშა ქავთარაძე*

## შესავალი

გასული ათი წლის განმავლობაში, ტრანს საკითხები და ტრანს აქტივიზმი გასცდა იურისპრუდენციის, კულტურის თუ აქტივიზმის სფეროს და ახალი ენერჯითა და ხილვადობით წამოიჭრა. სწრაფი ტემპით იზრდება ტრანს უფლებების დაცვის გარანტიები კანონმდებლობაში. აშშ-ის 7 შტატში ტრანს იდენტობის ან გამოხატვის საფუძველზე დისკრიმინაცია უკვე შტატის მასშტაბით არის ცალსახად აკრძალული დისკრიმინაციის კატეგორიებს შორის<sup>1</sup>. თუკი, 2000 წელს, ანტი-დისკრიმინაციული კანონი გენდერული იდენტობის გამოხატვასთან დაკავშირებით მოსახლეობის მხოლოდ 5,3%-ს შეეხებოდა, 2005 წლისთვის ეს რიცხვი 28 %-მდე გაიზარდა<sup>2</sup>. ამავდროულად, მრავალფეროვანი გახდა მედიაში ტრანსრეპრეზენტაციის ფორმები – ტრანს პერსონაჟები გასცდნენ ტრადიციულ, კრიმინალის თუ მკვლელობის მსხვერპლის როლებს (მაგალითად, ფილმებში Boys Don't Cry და Law and Order) და გაცილებით ნაკლებ სადავო პერსონაჟებად მოგვევლინენ, მაგალითად, TransGeneration-ში თუ Transamerica-ში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი, შტატის თუ სახელმწიფოს მასშტაბის ტრანს აქტივიზმი ცვლის აქტივისტურ მოძრაობებში ჩართული ადამიანების სტატუსებს. ორგანიზაციებმა, რომლებიც, ტრადიციულად, მხოლოდ სექსუალური ორიენტაციის საკითხებზე იყვნენ ფოკუსირებულნი, დაიწყეს ტრანს ინკლუზიური ენის გამოყენება თავიანთ მისიის განაცხადებში და, რაც შემთხვევაში, თავიანთ სახელებშიც. ზოგიერთ ქალაქში კი, ორგანიზაციები, რომლებიც ტრანს თემს სერვისებს აწვდიან, უფრო და უფრო ინტენსიურად იყენებენ ტრანს ინკლუზიურ ენას შიდა

მოხმარების ფორმებში, კითხვარებსა თუ სხვა ხელსაწყოებში. ზოგადად, ტრანს აქტივისტები და ჩვენი მოკავშირეები დღის წესრიგში აყენებენ ტრანს ადამიანებისთვის პირველადი საჭიროებების ხელმისაწვდომობის თუ პოლიტიკურ მოძრაობებში მონაწილეობის საკითხებს, იქნება ეს შპრიცების გაცვლის ან უფასო საუნივერსიტეტო კლინიკების პროგრამებში თუ სათემო ცენტრებისა და გრასრუთ აქტივისტების შეხვედრებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა.

ამავდროულად, ცხადი წინსვლის მიუხედავად, ტრანს თემისადმი დისკრიმინაციისა და ძალადობის პრობლემა კვლავაც მთელი სიმძაფრით დგას. ლესბოსელთა უფლებების ეროვნული ცენტრისა და ტრანსგენდერთა სამართლებრივი ცენტრის მიერ 2003 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ თითქმის ყოველ მეორე რესპონდენტს გამოცდილი აქვს გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია დასაქმების ადგილებზე; ყოველ სამ ადამიანში ერთზე მეტ რესპონდენტს განუცდია დისკრიმინაცია საერთო საცხოვრებლებში; თითქმის ყოველი მესამე ადამიანი გამხდარა დისკრიმინაციის მსხვერპლი საცხოვრებლის შოვნისას; რესპონდენტების 30%-ზე მეტი ყოფილა დისკრიმინირებული ჯანდაცვის სერვისების მიღებისას; ყოველ ოთხ ადამიანში, ერთზე მეტი რესპონდენტი გამხდარა პოლიციის ოფიცრების მხრიდან შევიწროების თუ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი; ყოველი მეხუთე რესპონდენტი გამხდარა დისკრიმინაციის მსხვერპლი სოციალური სერვისების მიმწოდებლისგან; ხოლო რესპონდენტების 14%-ს განცდილი აქვს დისკრიმინაცია წინასწარი დაკავების იზოლაციორებსა და ციხეებში.

ამასთან, ტრანს უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროში ისე გადაიდგა ნაბიჯები უკან, რომ ამ პროცესებს მხოლოდ და მხოლოდ მცირე დისკუსია მოჰყვა და მას არ დათმობია სათანადო ყურადღება. საიდენტიფიკაციო დოკუმენტების რეგულირებასთან დაკავშირებით შესულმა ცვლილებებმა და ბუშის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული „ტერორიზმის წინააღმდეგ ომის“ ფარგლებში გაზრდილმა თვალთვალმა საფრთხე შეუქმნა ტრანს ადამიანების შესაძლებლობებს, მიგველო გენდერისა და იდენტობის შეცვლასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რაც ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს უსაფრთხო გარემოში ცხოვრებისა და მუშაობისთვის. ბოლო დროს, იმიგრაციის კანონში შესულმა ცვლილე-

ბებმა, აშშ-ში იმიგრაცია გაურთულა იმ ტრანს ადამიანებს, რომელთაც ემუქრებათ დევნა თავიანთ ქვეყანაში. ამ თემას დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ. ასევე, ქვეყნის მასშტაბით კანონისა და პოლიტიკის მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა, რაც ძირითადად საფრთხეს უქმნიდა ღარიბებსა და იმ ადამიანებს, რომლებიც სისხლისსამართლის თუ იმიგრაციის სისტემის სამიზნეებს წარმოადგენენ, არაპროპორციული გავლენა იქონია ტრანს ადამიანებზე. ამის მიზეზი ჩვენი სიღარიბისა და პოლიციის მხრიდან ჩვენზე ძალადობის თუ დაპატიმრების არაპროპორციულად მაღალი საფრთხეა. ასეთი ცვლილებები იყო, მაგალითად, „კეთილდღეობის რეფორმა“, 1996 წელს შესული ცვლილებები ფედერალურ საიმიგრაციო კანონში, „სამი შეცდომის კანონი“ (three-strikes law) და „ნარკოტიკების წინააღმდეგ ომის“ ფარგლებში შემუშავებული ტაქტიკები. ამ და სხვა კონსერვატიულმა, რასისტულმა, იმიგრანტებისა და ღარიბების წინააღმდეგ მიმართულმა ინიციატივებმა ფედერალური მთავრობის მხრიდან მავნე გავლენა იქონია ყველაზე მოწყვლად ტრანს თემებზე გასული ათწლეულის მანძილზე.

ამ კომპლექსურ, წინააღმდეგობრივ კონტექსტში, სადაც ტრანს ადამიანები დაცვის, ძალადობისა და რეპრეზენტაციის სამიზნეები არიან, სხვა სოციალური მოძრაობებისთვის დამახასიათებელი არაერთი სადავო საკითხი წამოიჭრა. ეს საკითხებია: ვის ვგულისხმობთ ტერმინში „ტრანსი“? რა ურთიერთობაა გენდერულ იდენტობაზე ორიენტირებულ სოციალურ ცვლილებაზე მუშაობას, ჩაგვრის გამოხატვასა და სექსუალური ორიენტაციის დათრგუნვას შორის? ტრანს იდენტობასთან დაკავშირებული რა ტიპის ნარატივები უნდა უნდა გამოვიყენოთ აქტივიზმში? როგორ არის რასიზმისა და თეთრკანიანთა უპირატესობის რწმენის ანალიზი ჩართული ან გამოტოვებული ტრანს საკითხებში? რა ურთიერთმიმართება არსებობს გენდერულ იდენტობასა და გამოხატვას, ჩაგვრის წინააღმდეგ მუშაობასა და ფემინიზმს შორის? ვისთნ უნდა ვიყოთ მოკავშირეები? ჩვენი მუშაობის რომელი ნაწილი და „ტრანს თემის“ ნებისმიერი ტიპის განსაზღვრების რომელი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს ჩვენი პრიორიტეტი? როგორი მიდგომა უნდა გვქონდეს გენდერის განსაზღვრის ლეგალურ და სამედიცინო რეგულაციებთან დაკავშირებით, კონკრეტულად კი, ტრანს ადამიანებთან მიმართებით, ვინაიდან გარკვეული ცვლილებების მიღწევას

ცვდილობთ? რა ტიპის დამატებით ცვლილებებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება და რა ტიპის დამატებითი ცვლილებები უნდა ავირიდოთ თავიდან, რათა ჩვენი ჩავკრა არ გაძლიერდეს?

ხშირად, ეს საკითხები „მოდრობის ხედვების“ შესახებ არსებული დებატების გარშემო ორგანიზდება ხოლმე. როგორც ამას არაერთი მკვლევარი თუ აქტივისტი აღნიშნავს, გასული 25 წლის მანძილზე, აშშ-ში კონსერვატიზმის მზარდმა ტალღებმა შეუძლებელი გახადა არსებული ძალაუფლებრივი მიმართებების, ეკონომიკური და რასობრივი სტრუქტურების ალტერნატივების წარმოდგენა<sup>3</sup>. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ დისკუსიებში მორალის ქრისტიანული, კონსერვატიული ვერსია დომინირებს, ხოლო სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებზე, ღარიბი ადამიანებისა და მიგრანტების უფლებებზე გამუდმებული თავდასხმების საპასუხოდ, საზოგადოებრივი ნარატივი უფრო და უფრო რეაქციონერულია და მხოლოდ „არ წამართვა ეს უფლებების“ მოთხოვნაზე ორიენტირებული, ნაცვლად ძალთა ხელახალი გადანაწილების შესახებ პოზიტიური ხედვის ჩამოყალიბებისა. ეს ყველაფერი კი, ხშირად, თავად მოძრაობებში კონსერვატიული დღის წესრიგისკენ შებრუნებას ნიშნავს<sup>4</sup>. აღნიშნულ დღის წესრიგს მისი მხარდამჭერები ხშირად აუცილებლად მიიჩნევენ, მაგრამ არაერთი კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ იგი ყველაზე მარგინალიზებული ადამიანებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს არ ითვალისწინებს<sup>5</sup>. ამ წინააღმდეგობების ფონზე, შეკითხვები ჩნდება მუშაობის მასშტაბსა და პრიორიტეტებზე, ისევე როგორც ხელმძღვანელობისა და გადაწყვეტილებების მიღების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით.

ამ ესეში, მინდა, განვიხილო ხედვასა და სტრატეგიასთან დაკავშირებული საკითხები, რამდენადაც ისინი გენდერულ იდენტობასა და გამოხატვასთან დაკავშირებული სოციალური ცვლილებებისთვის საჭირო სამუშაოს განწევას შეეხებიან. აღნიშნულ საკითხებს ვუდგები როგორც აქტივისტი და პრაქტიკოსი იურისტი, რომელიც სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით ცდილობს, შეამციროს და აღმოფხვრას სახელმწიფოს მიერ გენდერთან დაკავშირებული სხვადასხვა რეგულაცია და იძულება. ასევე, აქ, გამოვიკვლევ არსებულ წინააღმდეგობებსა და უხერხულობებს, რათა შემოგთავაზოთ ხედვა და ანალიზის მეთოდი იმ კომპლექსური, ყოველდღიური სირთულეების შესასწავლად, რომლის გადალახვაც უწევთ გენდერული რეგულაციებისა და ჩავკ-

რისთვის წინააღმდეგობაში ჩაბმულ ინდივიდებსა თუ ორგანიზაციებს. ასეთი შეთავაზებები ყოველთვის არაადეკვატური და პერსპექტივაზე მიბმულია, თუმცა მსგავსი ანალიზის მცდელობის გარეშე, მოგვიწევს, რომ კონსერვატიულ ნორმებს დავემორჩილოთ, რაც კარგს არაფერს გვიქადის.

სირთულეები, რომელიც თან ახლავს ელემენტარულ თვითგადარჩენის, უსაფრთხოებისა და პოლიტიკური ჩართულობისათვის ბრძოლას, საზოგადოების იმ ნაწილის, რომელიც გამუდმებით მარგინალიზებული, კრიმინალიზებული და სისასტიკის მსხვერპლი ვართ, ხშირად შესაძლებლობას გვართმევს, რომ განზე გავდგეთ და კითხვა დავსვათ მიზნის მიღწევის მეთოდების შესახებ. ვშიშობ, ტრანს აქტივიზმი ხშირად სტრატეგიებს სესხულობს კარგად ჩამოყალიბებული და ხილვადი გეი და ლესბი აქტივიზმისგან, მათი წარმატებულობის გამო, თუმცა ასეთ დროს, ვერ ვხედავთ იმ ნაკლოვანებებს, რაც ამ შესაძლებლობების უპირობოდ გადმოღებას შეიძლება მოჰყვეს. ჩავგრის საწინააღმდეგო კონკრეტული სტრუქტურების შესწავლით, რომლებიც სხვა მოძრაობებს მუშაობის წარმართვაში ეხმარებათ, ვიმედოვნებ, რომ შემოგთავაზებთ ერთგვარ ათვლის წერტილს იმ ეკლიან ტერიტორიაზე ორიენტირებისათვის, რომლის ფარგლებშიც გვიწევს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამუშაოს განწევა ტრანს ადამიანების გადარჩენისთვის.

ჩემი ანალიზისთვის ჩარჩოს ჩელა სანდოვალისგან ვსესხულობ, რომელიც მან ჩაგრულთა მეთოდოლოგიაში წარმოადგინა<sup>6</sup>. დავეყრდნობი რა ცნობიერების ხუთი ფორმის ანალიზის სანდოვალისეულ მეთოდს, რომელიც გასული ნახევარი საუკუნის განმავლობაში, სოციალური სამართლიანობის მოძრაობებში აღმოცენდა, ამ ესეში გამოვიკვლევ მის მტკიცებას, რომ „დიფერენციალური ცნობიერება“ არის საუკეთესო პარადიგმა, რათა მოძრაობებმა მათი წინააღმდეგობის ნარატივის კონტურები მოხაზონ და გამოიყენონ ეფექტურად ორიენტირებისთვის, როდესაც ჩავგრის საწინააღმდეგო კონკრეტულ ქმედებაში არიან ჩაბმულები. ყურადღებას გავამახვილებ სამ რელევანტურ მაგალითზე, რომელიც ბოლო ხანებში ტრანს აქტივისტების ბრძოლას უკავშირდება: 2005 წელს მიღებული ნამდვილი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აქტი, გენდერული იდენტობის საკითხის შეტანა ადგილობრივი სამართალდამცავი სისტემების გაძლიერების აქტში (რომელიც სენატმა 2005 წელს დაამტკიცა, გენდერული იდენტობის საკითხთან ერთად), და ბოლო ხანებში (2006) მიმდინარე განხილვა ნიუ



იორკში არსებული პრაქტიკის აღმოფხვრაზე, როდესაც ტრანსგენდერ ქალებს უსახლკარო კაცების თავშესაფარში ათავსებენ. ამ სამ მაგალითზე დაყრდნობით, შემოგთავაზებთ კრიტერიუმებს ტრანს აქტივისტებისთვის, რომლებიც ცხად ხედვასთან ერთად თუ როგორ სამყაროში გვინდა ცხოვრება, დაგვეხმარება, რომ შევაფასოთ კონკრეტული პოლიტიკური აქტის პოტენციალი ჩაგვრისთვის წინააღმდეგობის გასაწევად და კამპანიებისადმი განსხვავებული მიდგომის ჩამოსაყალიბებლად.

## ოპოზიციური ცნობიერების ოთხი ფორმა

*ჩაგრულთა მეთოდოლოგიაში* სანდოვალი გამოყოფს დამორჩილებული კლასის სურვილს, თავად იპოვოს წინააღმდეგობის სუბიექტური ფორმები, რომლებიც განსხვავებულია თავად სოციალური წყობით განსაზღვრული ფორმებისაგან. სანდოვალი გვაძლევს ხელსაყრელ ანალიტიკურ ჩარჩოს ამერიკულ სოციალურ მოძრაობებში წინააღმდეგობის ცნობიერების (resistance-conscious) სხვადასხვა ფორმის გასაანალიზებლად. იგი გამოყოფს ოთხ ფორმას თუ ტაქტიკას, რომელსაც სოციალური მოძრაობები იყენებენ და აღწერს ბზარებს თავად მოძრაობების შიგნით, რომელიც ხშირად ჩნდება შიდა დაპირისპირებისას, იმასთან დაკავშირებით თუ რომელი ფორმა უნდა იქნას გამოყენებული და რომელი სტრატეგია უნდა იყოს ექსკლუზიური. შემდეგ კი, იგი აყალიბებს მეხუთე ფორმას, „დიფერენციალურ ცნობიერებას,“ რომელსაც, მისი აზრით, იყენებდა ამერიკული მესამე ტალღის ფემინიზმი და რომელიც მთლიანად ცვლის პარადიგმას, ვინაიდან აღიარებს ოთხივე ფორმის ვარგისიანობას ისე, რომ არც ერთ მათგანს არ ანიჭებს უპირატესობას. მისი აზრით, დიფერენციალური ცნობიერება იძლევა ახალ მოდელს სოციალური მოძრაობების მუშაობისთვის, გზას უხსნის ახალ შესაძლებლობებს ეფექტური კოალიციური მუშაობისთვის, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წინააღმდეგობის მოძრაობებისთვის, რომლებსაც ოპერირება უწევთ პოსტმოდერნულ ტრანსნაციონალიზაციის კლიმატის პირობებში (54).

სანდოვალი ცდილობს, ჩამოაყალიბოს მეცნიერული ხედვა ოპოზიციური იდეოლოგიის შესახებ და გამოყოფს ფორმებს „ოპოზიციაში მყოფი



იდეოლოგიისა, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვან ან კოორდინირდნენ თვითცნობიერების ძიებაში მყოფი კლასების მიერ, დომინანტ სოციალურ წყობასთან მიმართებით ეფექტური განმათავისუფლებელი პოზიციების ძიებისას“ (43,44). მისი თეორია ეფუძნება ალთუსერის ნაშრომებს და აღნიშნავს, რომ მოქალაქე-სუბიექტი ყოველთვის იდეოლოგიური გადმოსახედის საუბრობს, თუმცა მას ასევე შეუძლია „იდენტიფიცირება მოახდინოს, განავითაროს და გააკონტროლოს იდეოლოგიის ხერხები... ისე, რომ გამოიყენოს ცოდნა „იდეოლოგიისაგან თავის დასაღწევად“ (44). მისი ანალიზი ეფუძნება ხუთ მთავარ კატეგორიას, რომლის გარშემოც ორგანიზდება ოპოზიციური ცნობიერება, რომელსაც მოძრაობები იყენებენ ძალთა ურთიერთმიმართების ტრანსფორმირებისთვის. ესენია: „თანასწორი უფლებების“, „რევოლუციური“, „უპირატესობის რწმენის“, „სეპარატისტული“ და „დიფერენციალური“ (44). მთავარ მაგალითად მას მოჰყავს 1970-იანებისა და 80-იანი წლების ფემინისტური მოძრაობები, რათა ნათელი გახადოს ცნობიერების ხუთ ფორმა. თუმცა, სანდოვალი ამტკიცებს, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, ყველა აქტიური ამერიკული განმათავისუფლებელი მოძრაობა იყენებდა ზემოთ ნახსენებ ხუთ ფორმას.

ასე ახასიათებს სანდოვალი წინააღმდეგობის ცნობიერების პირველ ოთხ ფორმას:

1. თანასწორი უფლებების ფორმა: ეს ფორმა ამბობს, რომ „ჩვენც ისეთები ვართ, როგორც შენ.“ „ესთეტიკურად, ცნობიერების თანასწორი უფლებების მეთოდი ილტვის დუბლირებისკენ, პოლიტიკურად – ინტეგრაციისკენ, ფიზიკურად კი ასიმილაციისკენ (56). ცნობიერების ეს ფორმა ცხადად ამბობს, რომ განსხვავება ჩაგრულ ჯგუფსა და დომინანტ ჯგუფს შორის ზედმეტად აქცენტირებული იყო და რომ ჩაგრულ ჯგუფს უნდა მიეცეს საშუალება რომ მოქალაქეობას მიაღწიოს იმ ფორმით, რა ფორმითაც ის ამჟამად არის დომინანტი სისტემისაგან განსაზღვრული;

2. რევოლუციური ფორმა: ეს ფორმა ამტკიცებს, რომ განსხვავებების ასიმილაცია ამჟამინდელი სოციალური წყობის ფარგლებში არის შეუძლებელი. იგი მიუთითებს საზოგადოების რესტრუქტურისაციის საჭიროებაზე, რათა შეიცვალოს ის, რაც განმტკიცებული და დაფასებულია გაცილებით უფრო ღრმა შრეებში, ვიდრე თანასწორობის ფორმაა. მისი საბოლოო მიზანია, მოაშოროს საზოგადოება დომინაცია/სუბორდინაციის ძალაუფლების ღერძებს;

3. უპირატესობის რწმენის ფორმა: ამ ფორმაში, ჩაგრულ ჯგუფებს უჩინდებთ პრეტენზია, რომ მათმა განსხვავებულობამ მათ ევოლუციური განვითარების გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე მისცათ წვდომა და აამაღლა მათი ეთიკური და მორალური პოზიცია სოციალური ძალაუფლების მპყრობელებთან შედარებით;

4. სეპარატისტული ფორმა: ამ ფორმის მიზანია, რომ „დაიცვას და გაუფრთხილდეს განსხვავებებს, რაც განსაზღვრავს ამ ფორმის მხარდამჭერებს, გაბატონებული სოციალური წყობისგან სრული გამიჯვნის მეშვეობით“ (56).

თანასწორი უფლებებისა და რევოლუციური ფორმების მეტოქეობა გაცილებით უფრო მეტად იქცევდა საზოგადოების ყურადღებას და ქმნიდა ხშირად განმეორებად კონფლიქტებს იმ აქტივისტებს შორის, რომლებიც ჰეტეროსექსიზმის გამონწვევას ცდილობდნენ. ქორწინებასა და სამხედრო სამსახურში ჩართვის შესახებ დებატები ამ განხეთქილების კარგი მაგალითია. მტკიცედ დაფუძნებული, ეროვნულ დონეზე მომუშავე გეი და ლესბი ორგანიზაციები<sup>7</sup>, რომლებიც კანონმდებლობაზე აკეთებდნენ აქცენტს, მხარს უჭერდნენ ამ ორ მთავარ დღის წესრიგს და ფოკუსირდებოდნენ მიზანზე, რომ გეებსა და ლესბოსელებს საშუალება ჰქონოდათ, ჩართულიყვნენ ქორწინების ინსტიტუტსა და სამხედრო სამსახურში. მათი მთავარი არგუმენტები კი იყო, რომ „ჩვენი ოჯახები ზუსტად ისეთია, როგორიც თქვენი“ ან „ჩვენც ისევე ღირსეულად შეგვიძლია სამხედრო სამსახურში მსახურება, როგორც ჰეტეროსექსუალებს“. სარგებელი, რომელზეც ამ პოზიციის მხარდამჭერები აპელირებდნენ, აქცენტს აკეთებდა არა მხოლოდ იმაზე, რომ აღნიშნულ ინსტიტუტებში ჩართულობა გააჩენდა გეებისა და ლესბოსელებისთვის ეკონომიკურ შესაძლებლობებს (დასაქმება სამხედრო სამსახურში, საერთო დაზღვევის სიკეთეებზე წვდომა ან ქორწინებასთან დაკავშირებული სხვა ეკონომიკური ბენეფიტები), არამედ იმაზეც, რომ ეს პროცესები შეცვლიდა გეებისა და ლესბოსელებისადმი დამოკიდებულებას. ქორწინებასა და სამხედრო სამსახურს ისინი ხედავდნენ ერთგვარ გასაღებად სრულყოფილი მოქალაქეობის აღიარებისთვის, რასაც საშუალება უნდა მიეცა გეებისა და ლესბოსელებისთვის, თანასწორად მიეღწიათ მოქალაქეობისათვის სამხედრო სამსახურის გავლით და მათი ოჯახური ფორმაციის ჰეტეროსექსუალი ოჯახების თანასწორად აღიარებით.

აქტივისტები, რომლებიც მუშაობდნენ სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული ჩაგვრის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ეწინააღმდეგებოდნენ ამ დღის წესრიგს, იყენებდნენ რევოლუციურ ფორმას. მათი ხედვით, ქორწინებისა და სამხედრო სამსახურის ინსტიტუტები თავის თავში ატარებდნენ ჰეტერონორმატიულობას და მოითხოვდნენ, რომ ქვიარ-ხედვა გაფართოებულიყო მოთხოვნამდე, რომ სახელმწიფოს შეეწყვიტა ოჯახის კონკრეტული ფორმების სანქცირება (სხვა ფორმების დასჯის პარალელურად) და ამოეყირავებინა სამხედრო სამსახურის ტრადიციული, მასკულინური და ჰეტეროსექსისტური ინსტიტუცია<sup>8</sup>. ეს აქტივისტები ამტკიცებდნენ, რომ ამ ინსტიტუტებში ჩართულობისკენ სწრაფვა იწვევდა მათ კიდევ უფრო მეტად ლეგიტიმიზაციას, ზრდიდა ინსტიტუტებისაგან გარიყული სუბიექტების მარგინალიზების დონეს<sup>9</sup>, ამცირებდა აღნიშნული ინსტიტუტებისაგან დაზარალებულებთან კოალიციის შექმნის შესაძლებლობას უფრო მასშტაბური ცვლილების მისაღწევად და უფრო დიადი მიზნის ლიკვიდირებას ახდენდა, რომ ქვიარ ბრძოლას უნდა ჩამოეშალა ჰეტერონორმები, რომლებიც ჩაგრავენ ქვიარებსა და სხვა ჯგუფებს.

დებატები მათ შორის, ვინც იყენებდა თანასწორობაზე ფოკუსირებულ და რევოლუციურობაზე ფოკუსირებულ ოპოზიციურ ცნობიერებას, იყო უმთავრესი ლესბოსელ და გვი აქტივისტთა შიდა დისკუსიების დღის წესრიგში. ეს დებატები ხაზს უსვამდა არსებით სხვაობას ხედვებთან დაკავშირებით, რაც ხშირად ემთხვეოდა რასობრივ, გენდერულ და კლასობრივ განსხვავებებს. თანასწორობის ხედვა ალბათ საუკეთესოდ გადმოსცა ენდრიუ სალივანის წინააღმდეგობრივმა განცხადებამ, რომ „როდესაც ჩვენ მივიღებთ გვი ქორწინებას და კიდევ რამდენიმე სხვა რამეს, ჩავბარგდეთ მთელი მოძრაობა და წავიდეთ სახლებში<sup>10</sup>.“ ეს ხედვა სამყაროს აღიქვამს ადგილად, სადაც სექსუალური ორიენტაციის ნიშნით განსხვავებულობა არც ისე მნიშვნელოვანია, ხოლო სახელმწიფო პოლიტიკა არ განასხვავებს გვი, ლესბოსელ და ჰეტეროსექსუალ ადამიანებს. “ქვიარ“ ცნობიერების ხედვა კი გაცილებით უფრო სიღრმისეულ ცვლილებას ითხოვს, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ სექსუალური და ოჯახური ურთიერთობის კონკრეტული ფორმების პრივილეგიების მოსპობას სხვა ტიპის ურთიერთობებთან შედარებით, რათა ადამიანებს ჰქონდეთ საშუალება ისე შექმნან ოჯახი ან ჰქონდეთ სექსი, როგორაც თავად სურთ, კონკრეტული ფინანსური სას-

ჯელისა თუ ნახალისების გარეშე. იგი ასევე მოიცავს მილიტარიზმისთვის საფუძვლის გამოცლას, რათა დასრულდეს სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსი, რომელიც მოიცავს სექსუალურ ძალადობას, როგორც საკუთარ რიგებში, ასევე სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობას იმათ მიმართ, ვისაც აშშ ამოიღებს ხოლმე მიზანში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ბოლო რამდენიმე წელია, ამ დებატების ხილვადობა, თავად ლესბოსელთა და გეი წრეშიც კი, შემცირდა, ვინაიდან გაიზარდა მოთხოვნა ერთიანი ფრონტის აუცილებლობაზე, განსაკუთრებით მზარდი მემარტყვენე კონტრ-მოძრაობების წარმატებული ნაბიჯების ფონზე. ეს ნაბიჯები დაიწყო ლესბოსელებისა და გეი მამაკაცების (განსაკუთრებით არათეთრკანიანი ლესბოსელების<sup>11</sup>) გამორიცხვით სამხედრო სამსახურიდან და დასრულდა საკანონმდებლო ინიციატივებით, რომლებმაც არამხოლოდ შეაფერხა ერთი და იმავე სქესის მქონეთა შორის ქორწინება, არამედ, ზოგ შემთხვევაში, ძირი გამოუთხარა მშობლობასთან დაკავშირებულ, უკვე არსებულ უფლებებს ერთი და იმავე სქესის მქონე პარტნიორებისთვის<sup>12</sup>. მიუხედავად ამისა, თანმდევი დაპირისპირება, იმ სტრატეგიებს შორის, რომელიც ერთი მხრივ, ფოკუსირდება ინსტიტუტებისადმი ხელმისაწვდომობაზე, როგორც მოქალაქეობის გაგების მნიშვნელოვან ნაწილზე და მეორე მხრივ, რომელიც ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების რესტრუქტურიზაციაზე, რათა აღმოიფხვრას მჩაგვრელი იერარქიები, კვლავაც ცენტრალურად რჩება ჰეტეროსექსიზმის აღმოფხვრის შესახებ საკითხთა პრიორიტეტულობაზე დებატებისას.

## მესუთე ფორმა: დიფერენციალური ცნობიერება

ზემოთ აღწერილ ოთხ ფორმას, სანდოვალის მტკიცებით, წარმატებით იყენებდნენ სოციალური მოძრაობები აშშ-ში, გასული 50 წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, ამ ფორმებმა მაინც გააჩინა განხეთქილებები მოძრაობებში, რისი მაგალითიცაა ზემოთ აღწერილი ქორწინებასთან/სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული დებატები, ვინაიდან ჯგუფები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ეს ფორმები ურთიერთგამომრიცხავი იყო. სანდოვალი გვთავაზობს „დიფერენციალურ“ ფორმას როგორც ამ ყველაფრის ალტერნატივას.

სანდოვალი „დიფერენციალურ ცნობიერებას“ აღწერს როგორც სხვა დანარჩენებისგან განსხვავებულ ფორმას, რომელიც კალეიდოსკოპის ფუნქციას ასრულებს მათთან მიმართებაში, როგორც „კინეტიკური მოძრაობა, რომელიც მანევრირებს, პოეტურად გარდაიქმნება, ორკესტრირებს მაშინ, როდესაც როგორც მაყურებლებისგან, ისე პრაქტიკოსებისგან მოითხოვს გაუცხოებას, გადახრასა და რეფორმაციას“. სანდოვალისათვის, ეს არის სუბიექტის ახალი პოზიცია, რომელსაც, ალთუსერის მიხედვით, შეუძლია იფუნქციონიროს როგორც დომინანტი იდეოლოგიის ფარგლებში, ასევე მის მიღმა (44). სანდოვალი დიფერენციალური ცნობიერების გამოხატულებას აშშ-ის 1970-იანი და 1980-იანი წლების მესამე ტალღის ფემინიზმში ხედავს.

აღწერს რა ფერადკანიან ფემინისტთა ისტორიას, 1970-იანი და 1980-იანი წლების თეთრკანიან ფემინისტთა საპასუხოდ, სანდოვალი კრიტიკულად აანალიზებს მოთხოვნილებას ჰომოგენურობაზე, რაც ჩავგრის ვექტორს ექსკლუზიურად გენდერზე ავლდება. ის აღწერს თუ როგორ დაარქვეს მისი სახელი ამ ფენომენს ფერადკანიანმა ფემინისტებმა, როდესაც განაცხადეს, რომ ფერადკანიან ქალთა გამოცდილება არ იყო არც თეთრი ქალების გამოცდილების და არც ფერადკანიანი მამაკაცების გამოცდილების მსგავსი. მათი თქმით, ფერადკანიანი ქალები არსებობდნენ როგორც „შუალედი ნორმალიზებულ სოციალურ კატეგორიებს შორის“ ან როგორც სულ სხვა გენდერული კატეგორია. ეს ანალიზი „დაჟინებით მოითხოვს მესამე, განსხვავებული, შემავსებელი კატეგორიის აღიარებას სოციალური იდენტობისთვის“, რასაც სანდოვალი „შუალედურ სივრცეს“ და „მესამე გენდერულ კატეგორიას“ უწოდებს (46-7). თეთრკანიანი ფემინისტების დაჟინებული მოწოდება „ერთიანობისკენ“, რომელიც ექსკლუზიურად სწორებას აკეთებდა მათი როგორც ქალების ჩავგრაზე და უარს ამბობდა ყოველგვარ ინტერსექციურ ანალიზზე, რასიზმისა და თეთრკანიანთა უპირატესობის რწმენის მნიშვნელობას კი მთლიანად აუქმებდა. გამოწვევები, რომლებიც ფერადკანიანმა ქალებმა მოიტანეს ამ გაუქმების ადგილებში, ხშირად იგნორირებული იყო, მათი ანალიზი ხშირად უარყოფილი იყო, როგორც უბრალოდ მათი გამოცდილების აღწერა, და არა როგორც პარადიგმის ცვლილება ოპოზიციურ ცნობიერებაში (47). თეთრკანიან ფემინისტთა „უუნარობა, შეეთავსებინათ ის გამოწვევები, რაც აშშ-

ში ფერადკანიანმა ფემინისტებმა წამოჭრეს, მიუთითებდა სტრუქტურულ ნაკლოვანებაზე ფემინისტურ პრაქსისში“ (50).

იმისათვის, რომ გამოვიკვლიოთ თუ როგორ განავითარეს დიფერენციალური ცნობიერება, როგორც ახალი ფორმის ოპოზიციური ცნობიერება ფერადკანიანმა ფემინისტებმა, სანდოვალი უბრუნდება აიდა ჰურტადოსა და ჩერი მორაგას ნამუშევრებს. ჰურტადო და მორაგა ამტკიცებენ, რომ ფერადკანიან ქალებს, პარტიზანი მებრძოლების მსგავსად, ყოველდღიურად უწევთ სახელმწიფო აპარატთან ბრძოლა, რათა გადარჩნენ (59-60). ეს ბრძოლა მოითხოვს გამუდმებით შეფასებას იმისას თუ ვის ენდო და ვისთან შევრა კავშირი, რა თქვა და რა გააკეთო, ზოგჯერ კი გინევს გამოიყენო წინააღმდეგობრივი სტრატეგიები და ნარატივები რათა გადარჩე. კავშირები ფერადკანიან ქალებს შორის, რომელსაც ეს მწერლები გადმოსცემენ და რომლებიც მოიცავს კავშირებს კულტურათა, ენათა, რასებს, სექსუალურ ორიენტაციასა და კლასს შორის, არის კავშირები, რომლებიც არ მოითხოვენ ჩაგვრასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მსგავს გამოსავლებს. ნაცვლად ამისა, ისინი ყველა ტაქტიკურ პოზიციონირებას ხედავენ როგორც, ოდრი ლორდეს აღწერით, „საჭირო პოლარულობების მარაგი, რომელთა შორისაც ჩვენი კრეატიულობა გაკრთება ხოლმე როგორც დიალექტიკა.“ ამ დიფერენციალურ ფორმაში, სხვადასხვა იდეოლოგიური პოზიცია დანახულია როგორც „პოტენციური ტაქტიკები, რომლებიც წარმოიშობა დაუსრულებელი ინტერვენციული მარაგისგან, რომლის შინაარსიც ხელთავიდან უკეთებს მობილიზებას ძალაუფლებას“ (60). დიფერენციალური ცნობიერება წარმოიშობა თვითგადარჩენის უნარიდან, რომ

შეგეძლოს, თავი მიუძღვნა ნათლად განსაზღვრულ იდენტობის სტრუქტურას ერთი საათით, დღით, კვირით, თვით, წლით; გარდაქმნა ეს იდენტობა საპირისპირო იდეოლოგიური ტაქტიკის აუცილებელი ელემენტების მიხედვით, თუკი ძალთა ფორმაციის გაგება ასე მოითხოვს, ... აღიარო აღიანსი სხვა, ასევე ევალიტარული სოციალური ურთიერთობისათვის თავდადებულებთან ... როდესაც ძალთა ეს სხვაგვარი გაგება მოითხოვს ალტერნატიულ, დაპირისპირებულ პოზიციას (60).

დიფერენციალური ცნობიერება საფუძველს აცლის პარადიგმას, რომელზეც არის დაშენებული დანარჩენი ოთხი ფორმა, ვინაიდან იგი ამ ფორმებიდან არც ერთს არ ანიჭებს პრივილეგიას. ნაცვლად ამისა, ის ქმნის „ცნობიერებას წინააღმდეგობაში“, რომელიც სანდოვალის თქმით, არის „განსაკუთრებულად ეფექტური გლობალური გვიანი კაპიტალიზმისა და პოსტმოდერნული კულტურის პირობებში“ (55). დიფერენციალური ფორმით ნასაზრდოები რაიმე ტიპის ანალიზის გარეშე, რომელიც

უარყოფს რომელიმე ერთ კონკრეტულ იდეოლოგიას როგორც ერთადერთ, სწორ კონსტრუქციას, სადაც სიმართლეა წარმოდგენილი, ... ნებისმიერი „განთავისუფლება“ თუ სოციალური მოძრაობა საბოლოოდ განწირულია, რომ გაიმეოროს მჩაგვრელი ავტორიტარიზმის ფორმა, რომელსაც ის თავად ცდილობს რომ გაექცეს. საბოლოოდ კი, ის სიმართლისთვის ბრძოლის ხაფანგში ექცევა, რისი შედეგადაც იგი თავად იწყებს დომინაციას (59).

დიფერენციალურობა არის „ტაქტიკური სუბიექტურობა“, რომელიც იყენებს სხვადასხვა ფორმას, რათა გამოიწვიოს ძალაუფლება. დიფერენციალურობა არის მნიშვნელობათა სამყაროში მოგზაურობა, გადაადგილება იდენტობის სისტემებსა და გაგებებს შორის, ნარატივების სტრატეგიული ჩართვა, რომელსაც მეგზურად გასდევს ეთიკური ვალდებულება, გაათანაბროს ძალთა გადანაწილება საზოგადოების შემადგენელ ნაწილებში (61). დიფერენციალური ცნობიერება ოთხივე ტაქტიკას – თანასწორობის, რევოლუციურ, უპირატესობის რწმენისა და სეპარატისტულ ცნობიერებას – უყურებს როგორც ტექნოლოგიას ძალაუფლებისთვის, რომელიც მათ იყენებს როგორც „ცვალებად სოციალურ ნარატივებს, რომლებიც არსებობენ, რათა ჩაერიონ რეალობაში სოციალური სამართლიანობის სახელით“ (61). იგი უარყოფს მოთხოვნას იდენტობისა და ძალაუფლების შესახებ ერთი კონკრეტული ნარატივის ძიებაზე და მოიცავს არ-ნარატივებს, სადაც „ნარატივები დანახულია როგორც მხოლოდ და მხოლოდ საშუალება მიზნის მისაღწევად – დომინაციის დასასრულებლად“ (63). სანდოვალის მტკიცებით, დიფერენციალური ფორმა კოალიციურ ცნობიერებას უხსნის კარს ახალი შესაძლებლობებისკენ, საშუალებას იძლევა, აღმოაჩინონ „მსგავსებები განსხვავებულ



მიდგომებში, რათა წინააღმდეგობის კოალიციებში მოიზიდონ, შეაჯერონ და შეაკავშირონ ახალი მონაწილეები“ (63).

## თანასწორობისა და რევოლუციური ცნობიერება ტრანს პოლიტიკაში

რთულია იკვლევდე კანონმდებლობას და გქონდეს რადიკალური პოლიტიკა ან იყო რადიკალური იურისტი ისე, რომ არ წააწყდე რთულად საპასუხო შევითხვას – რა ჭობია, ჩაგვრის სისტემების რეფორმირება თუ მათი გადატრიალება? ხშირად, კანონმდებლობის კუთხით უფლებებზე მომუშავე ანტი-ოპრესიული მოძრაობები ზემოთ ნახსენებ თანასწორობის ფორმის არტიკულირებას ახდენენ<sup>13</sup>. ჩაგვრის აღმოფხვრაზე მუშაობისას, ისინი იყენებენ „დისკრიმინაციის“ ფორმალურ გაგებას, რაც არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი. კრიტიკული რასის თეორეტიკოსებმა სიღრმისეულად გააანალიზეს თანასწორობის ფორმალური გაგების შეზღუდულობა თეთრი რასის უპირატესობის რწმენასთან კავშირში, როდესაც საუბარია ძალაუფლებათა ხელახალ გადანაწილებაზე. გასული რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, სამოქალაქო უფლებების, ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა მოძრაობისთვის საკანონმდებლო გარანტიების ხელიდან გამოცლის ისტორია, ცხადყოფს თუ რამდენად უსუსურია თანასწორობის ფორმალური საკანონმდებლო გაგება საიმისოდ, რომ რეალურად დაამარცხოს რასიზმი, სექსიზმი და ეიბლიზმი, რაც კვლავაც აქტუალურ პრობლემად რჩება აშშ-ში<sup>14</sup>. ამ მოძრაობების აქტივისტები ხშირად აღნიშნავენ, რომ ამერიკული კანონმდებლობის სტრუქტურა ფოკუსირებულია ინდივიდუალურ მოსარჩევეებზე, ხშირად არ შეუძლია გაიაზროს ჩაგვრა, რომელიც მთელს თემს ან პოპულაციას შეეხება და როგორც წესი, აწარმოებს პრობლემათა გადანაცვლებასთან დაკავშირებულ შეზღუდულ ცვლილებებს. გარდა ამისა, იურისპრუდენციაში დომინირებენ თეთრკანიანი ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ ეკონომიკური პრივილეგიები და ფლობენ გარკვეულ ძალაუფლებებს. საკანონმდებლო რესურსები კი ღარიბი ადამიანებისათვის ძირითადად მიუღწეველი რჩება, ლეგალური წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ძვირი ფასებისა და უფასო იურიდიული სერვისების შემცირების გამო.

ვინაიდან ტრანს აქტივისტები ვსახავთ წინააღმდეგობის სტრატეგიებს და ვახდენთ რესურსების ორგანიზებას ცვლილებებისთვის, საჭიროა ერთგვარი ჩარჩო, რათა დავსვათ არსებითი შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მივუდგეთ ჩვენს სამუშაოს, არსებული კულტურული და პოლიტიკური პირობების გათვალისწინებით. აღნიშნულ შეკითხვებს მე ვსვამ თანასწორობის ფორმის შებლუდული ხედვის მკაცრი კრიტიკის ფონზე, რომელიც, როგორც წესი, დაკავშირებულია ყველაზე ხილვად და მყარად დაფუძნებულ გეი და ლესბოსურ ორგანიზაციებთან. მტკიცედ მნამს, რომ ლესბოსელთა და გეი უფლებების მოძრაობების ისტორია ნამდვილად ყურადსაღებია ჩვენთვის, როგორც ტრანს აქტივისტებისთვის, თუმცა იგი ნამდვილად არ არის ჩვენი აქტივისტური მუშაობის სახელმძღვანელო რუკა. ჩემი ინტერესია, გავიაზროთ თუ რა ადგილებში შეიძლება თანასწორობის ცნობიერებიდან წარმოშობილი ნარატივების გამოყენება, თუმცა ამავდროულად, ვალიართ ის შებლუდვები, რასაც ეს სააზროვნო ჩარჩო გვიწესებს. ამ დისკუსიას შეუძლია ბოლო მოუღოს მცდარ შეხედულებას, რომელიც არსებობს აქტივისტებს შორის, სანდოვალის მიერ აღწერილი ოთხი ტაქტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, ერთადერთი „ეფექტური“ მიდგომა სოციალური ცვლილებების მისაღწევად არის თანასწორობის ჩარჩო და რომელიც ნებისმიერ უფრო რადიკალურ შეხედულებას სამყაროზე იდეალისტურად და შეუძლებლად სახავს. ნაცვლად ამისა, ჩემი შემოთავაზება იქნება, რომ ჩვენს პოლიტიკურ კლიმატში, სადაც თანასწორობის ნარატივები მთავარ როლს ასრულებენ სოციალური ცვლილების სტრატეგიებში, ისე რომ არ გააჩნიათ ხედვა არც უფრო ფართო ცვლილებებზე და არც მოვალეობის შეგრძნება, რომ თავიდან აირიდონ „რეფორმები“, რომლებიც აღნიშნულ ხედვას საფრთხეს უქმნიან, ჩვენ ისლა დავგრჩენია, რომ დომინაციის ამჟამინდელი სისტემების შესუსტება მცირეოდენი კორექტირებებით მოვახდინოთ, რათა გაიზარდოს იმ ყველაზე პრივილეგირებული და ნაკლებად მონყვლადი ადამიანების ინკლუზია, რომლებზეც ასევე ახდენს ზეგავლენას ჰომოფობია და ტრანსფობია.

თანასწორობის ტაქტიკის საპასუხოდ, ფემინისტური მოძრაობის მთავარი კრიტიკა შეეხებოდა თეთრკანიანი ქალების გამოცდილების „ქალთა გამოცდილებად“ გენდერულ უნივერსალიზებას (45). ფერადკანიანი ფემი-

ნისტი მწერლები აღნიშნავენ, რომ თუკი გავაანალიზებდით გენდერს, როგორც ჩავგრის ერთადერთ კატეგორიას, „ქალთა დომინირებულ თეთრკანიანთა ამერიკა“<sup>15</sup> იყო ხედვა, რომლისკენაც მისწრაფოდნენ თეთრკანიანი ფემინისტები, რაც საერთოდ არ იყო დამაკმაყოფილებელი ფერადკანიანი ფემინისტებისთვის (46). თეთრკანიანი ქალების უნივერსალიზაციის კრიტიკას, ხშირად, საპასუხოდ ელობებოდა ბრალდებები, რომ ფერადკანიანი ქალები მოძრაობას „ხლეჩდნენ.“

ცალ-ვექტორიანი პოლიტიკის მსგავს კრიტიკას ჰქონდა ადგილი ლესბი და გეი უფლებების მოძრაობებში და კრიტიკოსებს ამ მოძრაობებშიც ხშირად უწოდებდნენ „გამხლეჩებს“. იან ბარნარდის პროვოკაციული სტატია „Fuck Community or Why I Support Gay-Bashing“, რომელიც 1996 წელს გამოქვეყნდა, განიხილავს ამ ფენომენს. ბერნარდი ლესბი და გეი პოლიტიკას, ისევე როგორც ქვიარ პოლიტიკას თეთრკანიანებზე ორიენტირებულად აცხადებს და აღნიშნავს

„ნებისმიერი ტიპის პოლიტიკა აშშ-ში, მნიშვნელობა არ აქვს რამდენად კოალიციურად განხორციელდება ის, რომლის იდენტიფიცირებაც ხდება გენდერის ან/და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით (“lesbian separatism“, „Queer Nation“, „Lesbian and Gay Studies“) იქნება თეთრკანიანებზე ორიენტირებული და მათი დომინაციის ქვეშ არსებული პოლიტიკა, ვინაიდან მხოლოდ თეთრკანიან ადამიანებს აქვთ იმის საშუალება ამ საზოგადოებაში, რომ უგულებელყონ რასა, როგორც ანალიზის არარელევანტური ქვეკატეგორია“<sup>16</sup>.

ბერნარდი გამოთქვამს აღშფოთებას, რომ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც აკრიტიკებს თეთრ ლესბი/გეი/ქვიარ გამოცდილების ერთიან ნარატივს, ბრალს სდებენ „გამხლეჩაობაში“. ამის ილუსტრირებისთვის კი, მას მაგალითად მოჰყავს ციტატა თეთრი ტრანს ქალის წერილიდან ქვიარ პოლიტიკის შესახებ, რომელი სან დიეგოს გეი გაზეთში დაიბეჭდა. კონი ნორმანი წერს:

„აბა მეგობრებო, არ ფიქრობთ, რომ დროა თავი დავიცვათ? სულ ცალ ფეხზე მკიდია თუკი „მკვიდრ ხალხებს“ არ მოსწონთ რომ ვიყენებ იდიომს „Circle the wagons“. საერთოდ არ მადარდებს, რომ ეგ ფრაზა თეთრი

იმპერიალისტების ბატონობის დროინდელია და ამიტომ რასისტული კონოტაცია აქვს და რომ ენობრივი იარაღია დასავლური კულტურის, რომელიც ჩაგრადა ფერადკანიანებს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ და გააპოლიტიკორექტულე ის და გაამულტიკულტურალურე ეს და საერთოდაც, ყელშია ეს ყველაფერი! როდის უნდა ვიქცეთ ნამდვილ თემად და დავიწყოთ ბრძოლა ნამდვილ მტერთან, *კომოზიზტან!*<sup>17</sup>

რა თქმა უნდა, ნომანის შეხედულება, რომ რასიზმისა და იმპერიალიზმის ანალიზი არარელევანტურია ქვიარ და ტრანს თემების ერთიანობის საჭიროებისათვის, რათა შეებრძოლონ ჩაგვრას, იმაზე უფრო ცხადადაა გადმოცემული, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. მიუხედავად ამისა, მისი მესიჯის არსი და თვალთახედვის არე, რომ მოძრაობები უნდა ფოკუსირდნენ ქვიარ და ტრანს ადამიანების ჩაგვრის აღმოფხვრაზე, ყველასთვის ნაცნობია. ეს დისკუსიები გამუდმებით იჩენდა ხოლმე თავს იმასთან დაკავშირებით თუ რა უნდა იყოს ლგბტ ორგანიზაციების პრიორიტეტი<sup>18</sup>; როგორი მოთხოვნები უნდა გვქონდეს იმ კანდიდატების მიმართ, რომლებიც ხმას აძლევენ ანტი-დისკრიმინაციულ კანონებს, ან კანონებს რომლებიც ქვიარ ოჯახების აღიარებას ახდენს, მაგრამ ამავდროულად ხმას აძლევენ სხვა ტიპის მჩაგვრელი პოლიტიკის განხორციელებასაც<sup>19</sup>; რომელი კატეგორიის დისკრიმინაციის აკრძალვა გვსურს კანონით და რომელი კატეგორიის არა<sup>20</sup>; რა ტიპის ურთიერთობები უნდა ჰქონდეს ჩვენს ორგანიზაციებს კომპანიებთან, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას საზიანო საქმიანობას სჩადიან<sup>21</sup>; ვინ უნდა იყოს მმართველი სექსუალურ ორიენტაციაზე და გენდერულ იდენტობაზე ფოკუსირებულ ორგანიზაციებში<sup>22</sup>; და ბოლოს, უნდა ჰქონდეთ თუ არა ღარიბ, უსახლკარო და ახალგაზრდა ქვიარ და ტრანს ადამიანებს წვდომა სივრცეებზე „გვი სამეზობლოებში“<sup>23</sup>.

მთავარი შეკითხვა, რომელიც გაჩნდა ლგბტ პოლიტიკის ცალკეული საკითხების კრიტიკისას, არის „ვინ სარგებლობს ქვიარ ან/და ტრანს პოლიტიკასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების გადანყვეტისას?“ კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ გვი და ლესბი (ზოგჯერ ბი და ტრანს) თანასწორობა, ასეთი ცალკეული საკითხების აქტივიზმთან (single-issue activism) ერთად, მხოლოდ და მხოლოდ იმათთვის არის ხელსაყრელი, ვინც ისედაც რასობრივად და ეკონომიკურად პრივილეგირებულია. ასეთი დღის წესრიგი ვერ

პასუხობს გაცილებით უფრო ფართო მასშტაბიან ჩაგვრასთან დაკავშირებულ გამოწვევას, რომელიც აზარალებს ღარიბ ქვიარ და ტრანს ადამიანებს, ფერადკანიანებს, იმიგრანტს და სახელმწიფო ძალადობის თუ სიმდიდრისა და ძალთა უთანასწოროდ გადანაწილების სხვა მსხვერპლებს. იგი მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანების დაკვეთაა, რომლებიც ფლობენ სხვა პრივილეგიებს, გარდა სექსუალურ ორიენტაციასთან ან/და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული პრივილეგიებისა. ეს არის დაკვეთა იმ ადამიანებისა, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ ადეკვატურ საცხოვრისზე და დასაქმებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქვიარები ან ტრანსები არიან, რომლებსაც წვდომა აქვთ ჯანმრთელობის კერძო დაზღვევაზე, რომლის პარტნიორთან გაზიარებაც სურთ, რომლებსაც სურთ, რომ თავიანთი მოქალაქობრივი სტატუსი გაუზიარონ ერთი და იმავე სექსის პარტნიორებს, რომლებიც თავს უსაფრთხოდ გრძნობენ არსებულ სისხლისსამართლის სისტემაში და აქვთ წვდომა მის სიკეთეებზე, რათა დასაჯონ თუკი ვინმე ზიანს მიაყენებს მათ<sup>24</sup>. გვიანი კაპიტალიზმის პირობების გათვალისწინებით, რომელშიც ვცხოვრობთ და სადაც სიმდიდრე უფრო და უფრო კონცენტრირებული ხდება, სიღარიბე კი უფრო და უფრო ფართოდ გავრცელებული როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე, სტრატეგიის სისწორე, რომელიც გარანტირებულ უფლებებს მხოლოდ და მხოლოდ კარგად დაბინავებულ, დასაქმებულ და სახელმწიფოსგან დაცულ ქვიარ და ტრანს ადამიანების მცირე ზომის კლასს ანიჭებს, ნამდვილად აჩენს ეჭვებს<sup>25</sup>.

ცალ-ვექტორინი მოძრაობების დამკვიდრებული, ფორმალური თანასწორობის შეზღუდულობის კრიტიკას მნიშვნელოვანი გამოხმაურებები მოჰყვა ტრანს პოლიტიკაზე ბოლო ხანებში მიმდინარე დისკუსიებში. ისევე როგორც იმ საკითხების განხილვისას, რომლებიც დასაწყისში გამოვყავი ტრანს განთავისუფლების ხედვის მასშტაბთან დაკავშირებით.

ახლა კი, მინდა, გამოვიკვლიო სამი შემთხვევა ტრანს პოლიტიკის ისტორიიდან, როდესაც ეს საკითხები წამოიჭრა. ამით, მსურს, პასუხი გავცე შეკითხვებს, რომლებიც სანდოვალმა დასვა იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც გაჩნდება ხოლმე ცალ-ვექტორიან პოლიტიკის დროს ტრანს კონტექსტში. ასევე, მსურს, გამოვიკვლიო რამდენად გამოსადეგია დიფერენციალური ტაქტიკა ძალადობრივი გენდერული სისტემების აღმოსაფხვრელად.

## 2005 წლის ადგილობრივი კანონი სამართალდამცავი სისტემის გაძლიერების შესახებ

2005 წელს, ტრანს აქტივისტებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმეს, როდესაც აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში გავიდა კანონი ადგილობრივი სამართალდამცავი სისტემის გაძლიერების შესახებ (LLEEA). აღნიშნულ კანონს უნდა დაერეგულირებინა ფედერალური კანონი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ, ხოლო აქტივისტებმა იზეიმეს ის ფაქტი, რომ პალატაში გასულ ვერსიაში გენდერული იდენტობა შევიდა იმ კატეგორიათა ჩამონათვალში, რომლის საფუძველზეც წინასწარგანწყობებით მოტივირებული დანაშაული ისჯება კანონით<sup>26</sup>. აღნიშნული კანონით უნდა გამოყოფილიყო სახსრები სახელმწიფოსთვის, რათა მას გამოეძიებინა წინასწარგანწყობებით მოტივირებული დანაშაულები და ეწარმოებინა სათანადო სისხლისსამართლის დევნა. კანონი ასევე იძლეოდა საშუალებას, რომ ფედერალურ მთავრობას გამოეძიებინა და ეწარმოებინა სისხლისსამართლის დევნა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე, თუკი ადგილობრივი მთავრობები ვერ შეძლებდნენ დანაშაულის ადეკვატურად გამოძიებას<sup>27</sup>. კანონის მხარდამჭერთათვის, კერძოდ, National Center for Transgender Equality-ისა და Human Rights Campaign (HRC)-ისთვის, ეს ფაქტი ორი რამის გამო იყო მნიშვნელოვანი – პირველი, ეს იყო კანონის რეალური მიზნები და მეორე იყო ის ფაქტი, რომ თუკი კანონს მიიღებდნენ, ეს იქნებოდა პირველი ფედერალური კანონი, რომელიც ცალსახად განაწესებდა ჩაგრული ჯგუფების დაცვის გარანტიებს გენდერული იდენტობის ნიშნით ჩაგრულ ადამიანებზეც.

ქვიარ და ტრანს აქტივისტები და ორგანიზაციები კი, რომლებიც ოპონირებას უწევდნენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კანონს, აკრიტიკებდნენ ამ მიდგომას და აღნიშნავდნენ, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კანონი ზრდიდა სისხლისსამართლის სისტემების დამსჯელ ძალაუფლებას, რაც პირველ რიგში, მიზანში ამოიღებდა ფერდაკანიანებსა და ღარიბებს და არაპროპორციულად მკაცრად დასჯიდა ქვიარ და ტრანს ადამიანებს<sup>28</sup>. მათი ანალიზით, იმედის დამყარება სისხლისსამართლის სისტემებზე, რომ ისინი გადაჭრიან ქვიარ და ტრანს ადამიანებზე ძალადობის პრობლემას, არასწორად იგებდა თუ როგორ

მუშობს ძალადობა ჩვენს კულტურაში, ვინაიდან იგი ყურადღებას ამახვილებდა ინდივიდუალურ სამართალდამრღვევებზე, ნაცვლად ჩაგვრის სისტემური პირობებისა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოს ხელით ხდებოდა ჩვენი თემების ჩაგვრა, განსაკუთრებით იმ ადამიანების, რომლებიც პოლიციას ჰყავს მიზანში ამოღებული ან რომლებიც დაპატიმრებულები არიან. ძალადობის საკითხის ასეთი გადააზრება ყურადღებას ამახვილებს, რომ სისხლისსამართლის სისტემების ძალაუფლების გაზრდა დამატებით საფრთხეს ქმნის, ნაცვლად დაცვისა, გენდერული და სექსუალური აუთსაიდერებისათვის, მით უმეტეს მაშინ, როცა არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების კანონი რეალურად ამცირებს წინასწარგანწყობით ჩადენილ დანაშაულებს. გარდა ამისა, კამპანია, რომელიც აღნიშნული კანონის პალატაში გასვლას უჭერდა მხარს, ახალისებს იდეას, რომ ჰომოფობიითა და ტრანსფობიით მოტივირებული ძალადობა ძირითადად ინდივიდუალურად მოძალადე ადამიანებთან დაკავშირებული საკითხია და არა სისტემური წინაპირობებთან, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვიარ და ტრანს ადამიანებს. კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ ეს განსაკუთრებულად თეთრკანიანთა პერსპექტივა იყო, რომელიც სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს ქვიარ და ტრანს პოლიტიკის პრიორიტეტად სახავდა და რომელიც თეთრი და მაღალი კლასს მიკუთვნებული ადამიანების გამოცდილებით იყო მოტივირებული, რომლებიც სისხლისსამართლის სისტემას და პოლიციას ენდობიან და მათგან მოელიან დაცვას. ამის საპირისპიროდ, ფერადკანიანი და ლარიბი ქვიარ და ტრანს ადამიანები, რომლებიც შესაძლოა პოლიციის სამიზნეები იყვნენ და რომლებსაც შესაძლოა პირადად ან მათი ოჯახის წევრების მაგალითზე ჰქონდეთ გამოცდილი სისხლისსამართლის სისტემის ძალადობა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ აღნიშნული სისტემის გაძლიერებას როგორც მათი ძალადობისაგან დაცვის საშუალებას ხედავდნენ.

საინტერესოა, რომ როდესაც დრო მოვიდა LLEEA-სათვის სენატში ხმა მიეცათ, Human Rights Campaign-სა და კანონის მხარდამჭერ სენატის სპონსორებს შორის საიდუმლო მოლაპარაკებების შედეგად, კანონიდან ტერმინი „გენდერული იდენტობა“ საერთოდ გაქრა. ეს ნამდვილად არ იყო შოკი ტრანსი ადვოკატებისათვის. ჯერ კიდევ HCR-ის მიერ, დასაქმების



ადგილას დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ აქტი გენდერული იდენტობის გამორიცხვის ხანგრძლივმა ისტორიამ, ბევრს გაუჩინა შეკითხვები თუ რამდენად დაინტერესებული იყო ეს ორგანიზაცია ტრანს ინკლუზიით. პრინციპში, საკითხი – უნდა იყოს თუ არა გენდერული იდენტობა დაფიქსირებული სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებში – ბევრ სხვადასხვა შემთხვევაში იყო წყალგამყოფი. გეების მართული ჯგუფები ხშირად ამტკიცებდნენ, რომ გენდერული იდენტობის ამოღება ერთადერთი შანსი იყო საიმისოდ, რომ კანონი საერთოდ მიეღოთ, რითაც პასუხისმგებლობას არიდებდნენ არჩეულ ოფიციალურ პირებს. ამის საპასუხოდ, ტრანს ადამიანები კითხულობდნენ თუ რატომ იყო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ვაჭრობა ასეთი იაფფასიანი და ხომ არ არსებობდა სხვა სტრატეგიები, რომლებსაც სხვა შედეგების მოტანა შეეძლოთ<sup>29</sup>.

LLEEA-ისთან დაკავშირებული ამბავი, მათ შორის, მისი კრიტიკის ანალიზი და გენდერული იდენტობის სრული გამორიცხვა კანონიდან იძლევა სივრცეს, რომ გამოვიკვლიოთ სანდოვალისეული მოდელის თავსებადობა ტრანს პოლიტიკაში. ზემოთ მოტანილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების კანონის კრიტიკა ცხადყოფს თანასწორობის ფორმასა და რეგოლაციურ ფორმას შორის არსებულ დაპირისპირებაზე, რაზეც სანდოვალი საუბრობს. კანონის მხარდამჭერები იყენებდნენ თანასწორობის ჩარჩოს და აღნიშნულ კანონს მათ წინააღმდეგ არსებული ძალადობისგან თავის დახსნის საშუალებად მიიჩნევდნენ. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კანონის მისაღებად კამპანიის მესიჯი შემდეგნაირად შეიძლება ფორმულირდეს – „ჩვენ ვართ ადამიანები, ჩვენც ისევე ვიმსახურებთ, რომ დაცულები ვიყოთ იმისაგან, რასაც კულტურა ძალადობად განსაზღვრავს, როგორც სხვა დანარჩენი ადამიანები.“ კამპანიები, როგორც წესი, ყურადღებას ამახვილებდნენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის თეთრ მსხვერპლებზე, როგორებიც იყვნენ მეთიუ შუპარდი და ბრენდონ ტინა. ისინი ცდილობდნენ, თემის მიღმა არსებული ადამიანების თანაგრძნობა დაემსახურებინათ, რომლებსაც გაუჩნდებოდათ მსხვერპლებისადმი თანაგანცდა, რომლებიც მათ ასე ძალიან ჰგავდნენ ყველაფერში, გარდა სექსუალური ორიენტაციისა.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების კანონის მოწინააღმდეგეები კი მოითხოვდნენ უფრო ფართო რეფორმირებას და ყურადღებას ამახ-

ვილებდნენ იმაზე, რომ ჩაგვრის მნიშვნელობა არ უნდა იყოს დაკნინებული მხოლოდ ძალადობის ბოლოდროინდელ და სისხლისსამართლის სისტემის მიერ პროპაგანდირებულ კრიმინალის გაგებამდე. ისინი ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ დანაშაულს ხედავენ როგორც განუყოფელს თანამედროვე სისხლისსამართლის სისტემისაგან და ფართოდ გამოყენებულს სახელმწიფოსაგან სხვადასხვა სფეროში. ისინი მხარს უჭერენ ცვლილების ისეთ ხედვას, რომელიც დაფუძნებულია ყველაზე უფრო მონყვლადი, სახელმწიფოს მიერ მრავალმხრივ ჩაგრული ადამიანების გამოცდილებებზე.

აზრთა სხვადასხვაობა ამ ორ ოპოზიციურ ცნობიერებას შორის, როგორც სანდოვანი აღნიშნავს, ნაწილობრივ ხსნის „გახლეჩილობას“, ვინაიდან თითოეული შეხედულება საკუთარ პოზიციას ხედავს მეორის ურთიერთ-გამომრიცხავად. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების კანონის მომხრეების პერსპექტივიდან, ცვლილება, რომ გენდერული იდენტობა გაჟღერებული ყოფილიყო ფედერალურ კანონში და ხოლო ფედერალურ კანონს ელიარებინა ტრანს ადამიანების ადამიანური არსი და სახელი მათი დაცვის გარანტი, იყო გადამწყვეტი ნაბიჯი სხვა ცვლილებებისაკენ. მთლიანი სისტემის ცვლილება არარეალისტურია. განსაკუთრებით კი ამჟამინდელ პოლიტიკურ კლიმატში გამართლებულია, რომ კავშირი შეკრა სოციალური პრობლემების „კანონითა და წესრიგით“ მოგვარების პოპულარულ მიდგომასთან, რათა მიაღწიო გარკვეულ შედეგს. რევოლუციური პერსპექტივიდან კი, თვალი დახუჭო რასისტულ, სექსისტურ, ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ სისხლისსამართლის მიდგომებზე ტრანსფობიისა და ჰომოფობიისადმი, ტკივილს აყენებს როგორც ტრანს და ქვიარ ადამიანებს ინდივიდუალურად, ასევე აძლიერებს სისტემას, რომელიც გვჩაგრავს, მაშინ როდესაც საერთოდ არ გვთავაზობს რაიმე სანუგეშოს იმ ძალადობის საპირისპიროდ, რომლის წინაშეც გვიწევს ყოფნა.

LLEEA-დან ტრანს ადამიანების სრულად გამორიცხვას მე პოლიტიკურ მიზანშეწონილობას მივანერდი, რაც ხშირად თანასწორობის ფორმისთვისაა დამახასიათებელი, რომლის დემონსტრირებასაც გამუდმებით ახდენდა HRC. მათი მთავარი ზრუნვის საგნად კვლავაც სექსუალური ორიენტაცია რჩება, ხოლო ბრძოლა იმ ადამიანების „ინკლუზიისათვის“ რომლებიც საზოგადოების ზიზღსა და რისხვას განვიციდით, ვინაიდან სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებულ ნომრებთან ერთად, გენდე-

რულ ნორმებსაც ვარდევით, მათი ცალ-საკითხიანი პოლიტიკა ჯერაც არ გაფართოებულა. მათი დღის წესრიგი კვლავაც ვინრო საკითხებზე რჩება ფოკუსირებული – არიან თუ არა გეები და ლესბოსელები ჰეტეროსექსუალების თანასწორი ადამიანები. მათი მხრიდან ტრანსი ადამიანების განგრძობითი გარიყვა ხაზს უსვამს მათ ჩამოუყალიბებლობას თუ რამდენად უნდათ, რომ იმუშაონ საზოგადოების ტრანს ნაწილისათვის. მათი რიტორიკა კვლავაც ეტაპობრიობასა და მიზანშეწონილობაზეა ფოკუსირებული – სჭობს, გამოვიყენოთ ეს შანსი, რათა ჩვენ მივიღოთ რაიმე სარგებელი, თქვენთვის კი მალე დავბრუნდებით. საინტერესოა, რომ მიუხედავად იმისა, HRC ყველაზე კარგად დაფინანსებული ლგბ ორგანიზაციაა ქვეყანაში, მას არასოდეს გაუტანია თუნდაც ერთი ფედერალური კანონი, რომლის პოლიტიკური მიზანშეწონილობაც გამართლებული იქნებოდა.

## ნამდვილი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აქტი

მეორე ლოკაცია, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია დავინახოთ, როგორ ოპერირებენ წინააღმდეგობის ცნობიერების ეს ფორმები ქვიარ და ტრანს პოლიტიკაში, არის 2005 წელს ნამდვილი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აქტის მიღება. ეს ახალი კანონი არის ნაწილი „ტერორიზმის წინააღმდეგ ომის“ კანონისა და პოლიტიკის ცვლილების, რომელიც მიზნად ისახავდა იმიგრანტების დამატებით მარგინალიზებასა და კრიმინალიზებას. იგი მიღებულ იქნა საინფორმაციო ორომტრიალში, როდესაც ახალი ამბები გადმოსცემდნენ თუ როგორ შეეძლოთ ტერორისტებს ყალბი ინფორმაციის გამოყენება მართვის მონუმობის მისაღებად. ნამდვილი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აქტს ორი საამაყო მიღწევა მოჰყვა, რომელიც აქ უნდა აღვნიშნოთ. პირველი, მან გაზარდა ბარიერები თავშესაფრის მაძიებელთათვის. ნამდვილი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აქტი ცვლის თავშესაფრის მიღების პროცედურას, რითაც თავშესაფრის ოფიცერს აძლევს უფლებას მოითხოვოს, რომ აპლიკანტმა საკუთარი დევნის დამადასტურებელი საბუთი უნდა მიიღოს მისი მშობლიური ქვეყნის მთავრობისაგან. იგი ასევე ამცირებს მოსამართლის უფლებამსოილებას, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს თავშესაფრის ოფიცრების გადაწყვეტილება აპლიკანტის სანდოობასთან

დაკავშირებით, რითაც აპლიკანტს, რომელსაც უსამართლოდ მოექცნენ, ურთულდება, რომ წარმატებას მიაღწიოს გასაჩივრებისას<sup>30</sup>. დამატებით, ნამდვილი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აქტი ფუნქციურად ასრულებს ეროვნული საიდენტიფიკაციო ბარათის შექმნის პროცესს, რისი პირდაპირი გზით განხორციელებაც პოლიტიკურად არაპოპულარული გადაწყვეტილება იქნებოდა. ეს კი განხორციელდა ერთიანი სტანდარტის შემუშავებით ავტომობილების დეპარტამენტისთვის (DMVs) მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელიც მოითხოვდა, რომ ყველა შტატში ერთიანი DVM ID-ბარათები დაემზადებინათ, რათა ეს ბარათები გამოყენებული ყოფილიყო როგორც „ფედერალური ID-ბარათები“, მაგალითად, ფედერალურ შენობებში შესვლისას, თვითმფრინავებში ჩასხდომისას და ა.შ. კანონმა შექმნა ფედერალური სტანდარტი თუ რა ტიპის დოკუმენტი შეიძლება რომ გამოიყენებოდეს, რათა მხარი დაეჭირათ ID ბარათების მოხმარებისათვის და მოეთხოვათ, რომ სახელმწიფო ფლობდეს ყველა იმ დოკუმენტის ელექტრონულ ასლს, რომლის გამოყენებაც ხდება. აღნიშნული ელექტრონული ასლები კი ეროვნული მონაცემთა ბაზის ნაწილი ხდება და ხელმისაწვდომია სამართალდამცავებისთვის.

აღნიშნულ ცვლილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვიარ და ტრანს ადამიანებისათვის. თავშესაფარი არის უმნიშვნელოვანესი ეტაპი იმიგრაციის გზაზე ბევრი ქვიარ და ტრანს ადამიანისთვის, რომლებიც აშშ-ში ჩამოდიან, მას შემდეგ, რაც მათ მშობლიურ ქვეყნებში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით სასტიკი ძალადობა და დევნა დაემუქრებათ. ამასთან, ცვლილებებს საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, რომელიც ამცირებს ცალკეული შტატის შესაძლებლობას, დაანესოს საკუთარი რეგულაციები და რომელიც მოითხოვს დოკუმენტაციის შეგროვებას მონაცემთა ეროვნულ ბაზაში, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს ტრანსგენდერ ადამიანებზე. ბოლო ხანებში, DVM-ის წესები სქესის შეცვლის აღიარების შესახებ საკმაოდ განსხვავებულია ქვეყნის მასშტაბით და ხშირად დამოკიდებულია იმაზე თუ რომელ შტატზეა საუბარი და რისი მიღწევა შეძლეს ადგილობრივმა ტრანსგენდერმა აქტივისტებმა. ზოგიერთ შტატში, ადამიანს შეუძლია, შეიცვალოს სქესი DVM ID-ბარათში, თუკი იმის დემონსტრირებას მოახდენს, რომ მან გაიარა გენიტალიური ქირურგიული ჩარევა. ზოგან, DVM ID-ბარათში სქესის შეცვლას მაშინ ახერხებს ადამიანი, თუკი მას შეცვლილი აქვს დაბადე-

ბის მოწმობა. ზოგან კი მხოლოდ ექიმის წერილიც საკმარისია, სადაც მითითებულია, რომ პიროვნება ტრანსგენდერია და მისი მართვის მოწმობა უნდა შეიცვალოს ისე, რომ ასახავდეს პიროვნების იმჟამინდელ გენდერს. ასეთი ჭრელი პოლიტიკა არის უსამართლო და პირობითი და საფრთხეს უქმნის ბევრი ტრანსგენდერის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. მიუხედავად ამისა, ის მაინც გაცილებით უკეთესია, ვიდრე ერთიანი ეროვნული პოლიტიკა, რომელმაც, აღსრულებისდა მიხედვით, შესაძლოა გააუარესოს უფლებები და დააწესოს ეროვნული სტანდარტი, რომელიც ერთიანად გაავრცელებს რომელიმე შტატში არსებულ ცუდ სტანდარტს ან რომელიც საერთოდ აკრძალავს სქესის შეცვლის აღიარებას<sup>31</sup>. ამასთან, მართვის მოწმობის მიღებისათვის გამოყენებული დოკუმენტების მონაცემთა ეროვნულ ბაზაში განთავსებას შესაძლოა საყურადღებო შედეგები მოჰყვეს ტრანს ადამიანებისთვის, რომლებსაც ხშირად უწევთ, წარადგინონ წერილები ძალიან პირადი სამედიცინო პროცედურების შესახებ, ისევე როგორც წინა იდენტობასთან დაკავშირებული დოკუმენტების სია აპლიკაციის პროცესში. მაგალითად, ადამიანს, რომელიც ცდილობს მიიღოს მართვის მოწმობა შესაძლოა მოუწიოს დაბადების მოწმობის წარდგენა, რომელშიც დაფიქსირებულია მისი ძველი სახელი და დაბადების გენდერი, სახელის შეცვლის ბრძანებულება სასამართლოსგან და წერილი სამედიცინო პროვაიდერის ან ქირურგისაგან, რომელიც განიხილავს თუ რატომ უნდა ჩაენეროს მას დაბადების მოწმობაში მითითებულისგან განსხვავებული გენდერი. ამ დოკუმენტებზე იმ ფედერალური თუ შტატის მოხელისათვის წვდომა, რომელმაც ამ პიროვნების მართვის მოწმობას უნდა დაარტყას მაგნიტური ზოლი, რათა ბარათი ვალიდური გახდეს, განსაკუთრებულად ზრდის ტრანს ადამიანების მოწყვლადობას და ამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ თავად გადაწყვიტოთ თუ ვის გვინდა რომ გავუმხილოთ ჩვენი ტრანსგენდერის იდენტობა თუ ისტორია. ბევრი ჩვენგანისათვის, სწორედ პოლიციელები არიან ის ადამიანები, ვის ხელშიც ჩვენ შესახებ ინფორმაციის მოხვედრისაც გვეშინია ყველაზე მეტად<sup>32</sup>.

ლგბტ კონტექსტში ცალ-ვექტორიანი პოლიტიკის შესახებ ზემოთ მოყვანილი ანალიზის მეშვეობით შეგვიძლია, დავაკვირდეთ თუ როგორ ვერ იქცა 2005 წელს ნამდვილი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აქტის მიღება „გვი საკითხად“, მიუხედავად იმისა, რომ იგი ბევრი მემარცხენე

მოძრაობის კონცენტრირებული პოლიტიკური წინააღმდეგობის ფოკუსად იქცა. აქტის მიღების შემდეგ, საპასუხოდ, რამდენიმე დისკუსია შედგა, ძირითადად ქვიარ პოლიტიკურ სივრცეებში საკონფერენციო პანელების სახით. თუმცა, საერთო ჯამში, ეს საკითხი არასოდეს ყოფილა და არც ახლაა ქცეული ეროვნული ქვიარ პოლიტიკის განსჯის საგნად, რომელიც რესურსებით კარგად აღჭურვილი, წამყვანი ორგანიზაციების გეი პოლიტიკის დღის წესრიგში დაიკავებდა ადგილს.

რესურსებით მდიდარი გეი და ლესბოსური ორგანიზაციების მიერ ტრანს ადამიანების, ფერადკანიანების, ღარიბების, იმიგრანტების და სხვა სახელმწიფოსგან სანქცირებული ჰომოფობიისა თუ ტრანსფობიისადმი განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების გაუთვალისწინებლობა ახალი ნამდვილად არაა. იგივე შეიძლება ითქვას გეი სიჩუმის შესახებ კეთილდღეობის რეფორმასთან დაკავშირებით ერაყის ოკუპაციაზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებების გაფართოებაზე, უსახლკარობაზე და კიდევ არაერთ საკითხზე. წყალგამყოფები ყოველთვის წარმოიშობოდა ხოლმე ამ საკითხებთან მიმართებაში, განსაკუთრებით, როდესაც მარგინალიზების პროცესი ცალსახად ხილული ხდებოდა, მაგალითად, უსახლკარო ქვიარ ახალგაზრდებისთვის სან ფრანცისკოს გეი სამეზობლოში, კასტროში, თავშესაფრის გახსნაზე უარის თქმისას ან ფერადკანიანი ქვიარ და ტრანს ახალგაზრდების გაძევებისას ნიუ იორკში Christopher Street-ის ბურჯების მიმდებარე ტერიტორიებიდან, მაღალი კლასის წარმომადგენელი გეი, ლესბოსელი და ჰეტეროსექსუალი ადამიანების ერთობლივი ძალისხმევით.

არჩევანი, თუ რა უნდა შევიდეს „გეი დღის წესრიგში“, პრინციპში, არის არჩევა იმისა თუ ვისგან უნდა შედგებოდეს გეი უფლებების მოძრაობა და რა უნდა იყოს მოძრაობის მიზნები. რევოლუციური ცნობიერების მქონე აქტივისტები, რომლებიც აკრიტიკებენ გეი პოლიტიკის დუმილს ამ თემებზე, ამტკიცებენ, რომ გეი მოძრაობის ხედვა, რომელიც შემოიფარგლება ქორწინება/სიძულვილით მოტივირებული დანაშაული/სამხედრო სამსახური/EDNA-ით, არის ფუნდამენტურად არა დამაკმაყოფილებელი, ვინაიდან მისი სტრატეგია მხოლოდ და მხოლოდ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით „დისკრიმინაციის“ არტიკულაციაზე აკეთებს აქცენტს და არ გააჩნია გაცილებით უფრო ღრმა რედისტრიბუციული მიზნები. ცალ-ვექტორი-



ანი პოლიტიკა განწირულია საიმისოდ, რომ პრეტენზია განაცხადოს რამე უფრო სიღრმისეულზე ან რადიკალურზე, გარდა იმისა, რომ თქვას „ჩვენი ჯგუფური იდენტობა არის ადამიანი“ („our identity group is human.“).

## დიფერენციალური ცნობიერების შესაძლებლობები ტრანს პოლიტიკისთვის

ეროვნული ტრანს პოლიტიკის ასპექტები, რომელთა შესახებ საუბარიც იმ ისტორიებიდან გამომდინარეა შესაძლებელი, რომლებიც 2005 წელს ნამდვილი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აქტსა და LLEEA-ის უკავშირდება, ცხადყოფს თუ როგორ ოპერირებს თანასწორობის ცნობიერება (დომინანტი სტრატეგია, რომელსაც მხარს რესურსებით ყველაზე კარგად აღჭურვილი ლგბ(ტ?) ორგანიზაციები უჭერდნენ) და მისი რევოლუციური ცნობიერებით მოტივირებული კრიტიკოსები. მაშინ როდესაც ლგბ(ტ?) მოძრაობის სტრატეგიებისა და ტაქტიკის ეროვნულ დონეზე საჯარო განხილვა საერთოდ აღარ არსებობს, თანასწორობის ტაქტიკები დომინანტ ჩარჩოდ იქცა, მოძრაობის სივრცეებსა და ქვიარ და ტრანს პოლიტიკის თეორეტიკოსებს შორის კი განხეთქილება ძალზე შესამჩნევი გახდა. ეს საკითხები განსაკუთრებით მწვავედ წამოიჭრა ტრანს პოლიტიკაში, ვინაიდან ტრანს ბრძოლა უფრო და უფრო ინსტიტუციონალიზებული ხდება და შესაბამისად, კარგად ნაცნობი შევითხვები პრიორიტეტებთან, ხელმძღვანელობასთან და ექსკლუზიასთან დაკავშირებით კვლავაც აქტუალური ხდება.

დიფერენციალურ ცნობიერებას შეუძლია, შემოგვთავაზოს ალტერნატივა უკვე ნაცნობი თანასწორობა-რევოლუციას შორის დებატების გამეორების ნაცვლად. ეს დებატები ხშირად გადაიზრდება ხოლმე ეტაპობრიობა/პოლიტიკური მიზანშეწონილობასა და იდეალიზმს შორის დაპირისპირებად, როგორც ამას წარმოაჩენენ თანასწორობის მომხრეები, ან მჩაგვრელი ინსტიტუტების ლეგიტიმიზაციასა და სიღრმისეულ რეფორმას შორის დაპირისპირებად, როგორც ამას რევოლუციური ცნობიერების მომხრეები აფორმულირებენ. ასეთი დებატის მაგალითია მიმდინარე დისკუსია ჯანდაცვის სისტემის რეფორმაზე, რომელმაც უნდა მოიცვას ტრანს ჯანმრთელობაც. ვივინე ნამასტემ, თავის ბოლო წიგნში „სქესის ცვლილება, სოციალური



ცვლილება“, ისევე როგორც თავის სიტყვით გამოსვლაში, 2005 წელს, მონრეალის გვი და ლესბოსელთა სამედიცინო ასოციაციათა კონფერენციაზე, გააკრიტიკა ტრანს უფლებადამცველების მცდელობები, უზრუნველყოთ ტრანს ჯანდაცვის საკითხები ჯანმრთელობის დაზღვევის სარგებლის ფარგლებში<sup>33</sup>. ნამასტე განიხილავდა 2001 წელს, სან ფრანცისკოში, ტრანს აქტივისტების წარმატებულ კამპანიას, რომლის შედეგადაც, ქალაქის ადმინისტრაციამ ტრანს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯები ქალაქში მომუშავეთა ჯანმრთელობის დაზღვევის სარგებლის ფარგლებში მოაქცია. ცვლილებებზე მომუშავე ერთ-ერთი აქტივისტის, ჯეიმს გრინის 2001 წელს გამოქვეყნებული სტატიის მაგალითზე, ნამასტე ბრალს სდებდა კამპანიის გამარჯვების ზეიმს, უნივერსალური ჯანდაცვის ბრძოლისთვის ძირის გამოთხრაში და მას სტრატეგიულ შეცდომას უწოდებდა, ვინაიდან რეფორმის დამსახურებით ჯანმრთელობის დაზღვევას მოსახლეობის მხოლოდ ვიწრო, დასაქმებული სეგმენტი მიიღებდა<sup>34</sup>. ნამასტესათვის, რომელიც რევოლუციური ცნობიერების ჩარჩოდან უყურებს პროცესებს, ბრძოლა ჯანმრთელობის დაზღვევის პოლიტიკის შესაცვლელად, რომელიც მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილს შეეხება, ნიშნავს სისტემის გაძლიერებას, რომელიც ჯანდაცვაზე წვდომას არ აძლევს მოსახლეობის უმეტესობას და ამერიკელი ტრანს აქტივისტების არასწორ პრიორიტეტიზაციას, რომლებიც ჯობს შეუერთდნენ უნივერსალური ჯანდაცვის სისტემისთვის ბრძოლას, რომლითაც ყველა ისარგებლებს.

აქტივისტებისათვის, რომლებიც ბრძოლაში არიან ჩაბმულები, რათა ტრანს ჯანდაცვის საკითხები ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამებში მოხვდეს, ნამასტეს კრიტიკა მთლიანად ყურადღების მიღმა ტოვებს იმ არაერთ ბენეფიტს, რომლებიც ამ ეტაპით მიიღწევა. ნიკ გორტონი, ტრანს სამედიცინო ექსპერტი და ექიმი, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მუშაობს მსგავს კამპანიებზე, აღნიშნავდა, რომ სან ფრანცისკოს კამპანიის ნამდვილი გამარჯვება ის კი არ იყო რომ შეზღუდული ოდენობის ადამიანი ისარგებლებდა შეცვლილი პოლიტიკით, არამედ ის, რომ ეს გამარჯვება გახდებოდა არსებითი მაგალითი მთავრობის მხრიდან ტრანს ჯანდაცვის საკითხების ლეგიტიმურობის აღიარებისთვის<sup>35</sup>. თავად ექიმი გორტონი საკუთარ თავს უნივერსალური ჯანდაცვის სისტემის მხარდამჭერად მიიჩნევს, ისევე როგორც აქტივისტად, როდესაც საქმე მიდგება ღარიბი

ადამიანებისა და სახელმწიფო მეურვეობის ქვეშ მყოფთათვის ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობაზე. ექიმი გორტონი სან ფრანცისკოს კამპანიების მსგავს გამარჯვებებს მიიჩნევს გადამწყვეტად, რათა შეიქმნას პრეცედენტები, რომ სახელმწიფომ აიღოს პასუხისმგებლობა, რათა უზრუნველყოს ამ ტიპის დაცვა. მისი ეს მოსაზრება ჯერ კიდევ ცხარე განსჯის საგანია იმ კონტექსტებში, სადაც შტატებს აქვთ ცალსახად გამორიცხული ტრანს ჯანდაცვა უფასო და შეღავათიანი სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამებიდან და პატიმარი, გაშვილებული ან პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვან ტრანს ადამიანებს გამუდმებით უარს ეუბნებიან ჰორმონების მიღებასა და სხვა გენდერულად სპეციფიკურ ჯანდაცვის სერვისებზე. ყოველი ასეთი გამარჯვება, მისი გადმოსახედიდან, პრეცედენტს ქმნის რათა ამ ტიპის ჯანდაცვა მოხვდეს ამაჟამად არსებულ პროგრამებში და ამასთან, ეს პრეცედენტები ზრდიან შესაძლებლობას, რომ როდესაც აშშ მიიღებს უნივერსალური ჯანდაცვის სისტემას, ტრანს საკითხები მასში აუცილებლად გათვალისწინებული იქნება, რაც ჯერაც პრობლემურია კანადის არაერთ პროვინციასა და ევროკავშირის ქვეყნებში<sup>36</sup>.

ამ ტიპის დებატები მიმდინარეობს ტრანს პოლიტიკის ბევრ მსგავს საკითხთან დაკავშირებით: გენდერული იდენტობის დარღვევა (გენდერული დისფორია) უნდა იქნას თუ არა ამოღებული ფსიქიკური აშლილობის (DSM) დიაგნოსტიკისა და სტატისტიკის სახელმძღვანელოდან, ვინაიდან ის გენდერული ვარიაციის პათოლოგიზებას ახდენს თუ ეს არის ტრანს ჯანდაცვის არსებითი ხელსაწყო? უნდა გამოიყენონ თუ არა ადვოკატებმა შებღვალის შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის სარჩელები ტრანსებთან დაკავშირებულ შემთხვევებში, ვინაიდან ასეთი ქეისები უფრო ადვილად მოხვდება სასამართლოებში ვიდრე გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის სარჩელები, თუ უნდა მოვერიდოთ ამ ყველაფერს, ვინაიდან ისინი ეყრდნობა სამედიცინო საფუძვლებს, რაც გენდერულ იდენტობას ისე წარმოაჩენს, რომ ბევრი ტრანს ადამიანის გამოცდილებას გამორიცხავს? უნდა იბრძოლონ თუ არა იურისტებმა იმ ჰეტეროსექსუალი წყვილების ქორწინების აღიარებისთვის, რომელთაგან ერთ-ერთი ტრანსია, თუ უნდა იბრძოლონ ისეთი კანონისათვის, რომელიც აღმოფხვრიდა ზოგიერთი ტრანს ადამიანის პრივილეგიას იმიგრაციის, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და ოჯახებად აღიარების საკითხებთან მიმართებაში?

უნდა იბრძოლონ თუ არა ტრანს აქტივისტებმა ციხეების რეფორმირებაზე პატიმარი ტრანსების უსაფრთხოების გაზრდისთვის თუ ენერჯია საერთოდ ციხეების გაუქმებისკენ უნდა მიმართონ, ვინაიდან ნებისმიერი რეფორმა ამყარებს ციხის სისტემას და რესურსების მობილიზებას ახდენს, რათა შეიქმნას და შენარჩუნდეს ციხეები?

დიფერენციალური ცნობიერება, როგორც ანალიზის მეთოდი, გვთავაზობს საშუალებას, რომ გავცდეთ თანასწორობა vs რეგოლუციურობის ჩაკეტილ არჩევანს და იმედია, დაგვეხმარება, გავცდეთ ერთმანეთისათვის „გაყიდულის/არარეალისტი იდეალისტი“ სახელების დაძახებას. დიფერენციალურობა გვაძლევს საშუალებას, რომ ჩავერთოთ ტაქტიკურ წინააღმდეგობაში, რომელიც გაათავისუფლებს ტრანს აქტივისტებს ზედმეტი პრეტენზიებისგან ჭეშმარიტებაზე, რომლებიც სანდოვალისეულ ოთხი ფორმის საფუძველში დევს. ნაცვლად ამისა, იგი საშუალებას იძლევა, ჩავგრის წინააღმდეგ ჩვენს პასუხისმგებლობაზე ვფოკუსირდეთ. დიფერენციალური ცნობიერება განსაკუთრებით მიმზიდველია, ვინაიდან ქმნის პირობებს ტრანს თვითგადარჩენისა და ტრანს აქტივიზმისთვის, რაც აშშ-ის მესამე ტალღის ფემინიზმთან ერთად, ანალიზის განხორციელების საშუალებას იძლევა. ტრანს ადამიანები გამუდმებით იბრძვიან სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის წინააღმდეგ, რაც ხშირად იწვევს და სრულდება ჩვენი არაპროპორციული გადარიბებით და თავისუფლების აღკვეთით. როგორც გენდერული აუტსაიდერები, ტრანს ადამიანები აწყდებიან მთავრობის მხრიდან აულიარებლობას, არ აქვთ წვდომა იდენტობის დამადასტურებელ დოკუმენტებზე და სხვა ელემენტარულ საჭიროებებზე, რაც მუშაობის საშუალებას მისცემდა მათ. გარდა ამისა, ხშირად ხდება ტრანსების არასწორი კლასიფიკაცია თავშესაფრებში, საერთო საცხოვრისებში, საპატიმროებსა და ციხეებში, სადაც ძალიან ბევრი ჩვენგანი ხვდება.

ჩვენი წინააღმდეგობის ისტორია ცხადყოფს, რომ ჩვენ გამუდმებით ვაწყდებოდით უარყოფას ჩვენს მშობლიურ თემებსა და აქტივისტურ მოძრაობებში, თეთრკანიანი ფემინისტების ზოგიერთი ფრთა კი საერთოდ „მამაკაცური პრივილეგიების“ მქონე სექსისტების იარაღისა და გვანებებდა<sup>37</sup>; მეინსტრიმი გვი და ლესბი უფლებების მოძრაობები ახდენდნენ ჩვენს მარგინალიზებას და ამოშლას, ვინაიდან ჩვენი მათთან ასიმილირება

შეუძლებელი იყო; გვინევდა გამუდმებული ურთიერთობა სამედიცინო ისტებლიშმენტთან, რომლებიც ჩვენს გაქრობას ცდილობდნენ, რისთვისაც ხან ტრანს ჯანდაცვაზე გვეუბნებოდნენ უარს, ხანაც მას ისეთ პირობებში გვანვდიდნენ, რომელთა გადალახვასაც ჩვენ, როგორც უკვე არა-ტრანს ადამიანები ვცდილობდით, ტრანზიციის შემდეგ<sup>38</sup>. ტრანს გადარჩენა ითხოვს მრავალგვარი ნარატივების გამოყენებას ჩვენი იდენტობების, ჩვენი გენდერისა და სხეულების შესახებ რწმენების, ჩვენი სექსუალური პრაქტიკებისა და მისწრაფებების, ოჯახებთან ჩვენი ურთიერთობების და სხვა არაერთი ინფორმაციის შესახებ, რომელთა დამალვასა და უარყოფასაც გამუდმებით გვთხოვს კულტურა. ჩვენ, შესაძლოა, აღგვიქვან მამაკაცებად მატარებელში, ქალებად სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ოფისში, მამაკაცებად აეროპორტებში, ქალებად კლინიკებში, გენდერულად ახირებულებად ციხეებში და სახიფათო გენდერის მქონეებად თავშესაფრებში. იმისათვის, რომ გადავრჩეთ ძალაუფლების სხვადასხვა ინსტიტუტთან ყოველდღიური ინტერაქციისას, რომელიც ჩვენს კლასიფიცირებას სხვადასხვანაირად ახდენს და ამავდროულად, გვეპყრობა სექსისტურად და ტრანსფობიურად, რომ აღარაფერი ვთქვათ რასიზმზე, ქსენოფობიაზე, შებლუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციასა და ეიჯიზმზე, რასაც ყველაზე მონყვლადი ტრანს ადამიანები აწყდებიან, ჩვენგან მოითხოვს, რომ ჩვენი გამოცდილებებისა და იდენტობის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო უამრავ ნარატივს შორის პოზიციები ვიცვალოთ. სანდოვალი აღწერს თუ როგორ აღმოცენდება დიფერენციალური ცნობიერება იმ ფერადკანიანი ქალების გამოცდილებებიდან, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან ძალადობას აწყდებიან და უწევთ, ოსტატურად გასწიონ წინააღმდეგობა ცნობიერების სხვადასხვა ფორმის გამოყენებით. ეს პირობები გამოძახილს ჰპოვებს ბევრი ტრანსის გამოცდილებაში, განსაკუთრებით იმათ გამოცდილებებში, ვისაც ხშირად უწევს პოლიციის და სახელმწიფო ძალადობისა თუ კონტროლის წინაშე წარდგომა: ღარიბები, ფერადკანიანები, იმიგრანტები და დაპატიმრებულები.

დიფერენციალური ცნობიერება ასევე თავსდება უფრო ფართო სურათში, ტრანს გადარჩენის აქტივიზმის კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმაზე, თუ როგორ უნდა იყო დანახული და გააზრებული გენდერი, რატომ არიან ადამიანები ტრანსგენდერები,

როგორ უნდა მიუდგნენ ტრანსგენდერი ადამიანები ჩვენს ცხოვრებას, რაც მანიფესტაციას ჰპოვებს ხოლმე ტრანს თემის შიგნით კონფლიქტებში, ტრანს აქტივისტებს მაინც უწევთ, რომ განსხვავებების მიუხედავად, საერთო მიზნებისთვის ერთად იმუშაონ. ათობით ტრანს აქტივისტურ სივრცესა და კამპანიაში მიმუშავია, სადაც ადამიანები, რომლებიც საკუთარ იდენტობას პოსტმოდერნული გენდერის დეკონსტრუქციის ჩარჩოდან უყურებდნენ, მუშაობდნენ ადამიანებთან, რომლებიც ტრანს იდენტობას ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევად მიიჩნევდნენ, ანდა რომლებიც ტრანს იდენტობას გენეტიკურ მოვლენად აღიქვამდნენ. აზრთა ასეთმა (და კიდევ არაერთმა) სხვადასხვაობამ, რა თქმა უნდა, შესაძლოა, გამოიწვიოს გარდაუვალი კონფლიქტები სხვადასხვა საკითხზე, მაგრამ ძალიან ხშირად ტრანს ადამიანები, გენდერისა და საკუთარი ცხოვრების განსხვავებული გაგებით ახერხებდნენ, რომ შეთანხმებულიყვნენ საერთო ნარატივსა და სტრატეგიაზე, რათა მიეღწიათ მიზნებისთვის, რომელიც ყველა ტრანსისათვის სარგებლის მომტანი იქნებოდა. მაგალითად, სამედიცინო ხელმისაწვდომობაზე, პირადი იდენტიფიკაციის დოკუმენტების ხელმისაწვდომობაზე ან მზარდ მგრძობელობასა და ცნობიერებაზე მნიშვნელოვან ინსტიტუტებში. ამას გარდა, სწორედ ამ განსხვავებულ და კონფლიქტურ შეხედულებებს ვიყენებთ ჩვენ ძალიან ხშირად სასურველი ცვლილების მისაღწევ ტაქტიკებად.

დიფერენციალური მუშაობის ერთი ასეთი მაგალითი ბოლო ხანებიდან, რომელიც ტრანს პოლიტიკის განხილვას შეეხებოდა, უკავშირდება კამპანიას ნიუ იორკში ტრანს ადამიანებისათვის თავშესაფრების ხელმისაწვდომობისთვის. ნიუ იორკის უსახლკართოთა სერვისების დეპარტამენტს (DHS) არ ჰქონდა წერილობით განცხადებული პოლიტიკა ტრანს ადამიანების თავშესაფრებში განთავსების შესახებ<sup>39</sup>. როგორც წესი, ეს ინსტიტუცია ტრანს ადამიანებს დაბადების გენდერი მიხედვით ათავსებს და გადაჰყავს თავშესაფრში და მხოლოდ ამის შემდეგ აღმოაჩენენ ხოლმე, რომ პიროვნება ტრანსია. თავშესაფრის ყოფილი მაცხოვრებლები, განსაკუთრებით ტრანს ქალები, იტყობინებიან გაუპატიურებისა და სექსუალური შევიწროების შესახებ მამაკაცთა თავშესაფრებში, სადაც მათ ათავსებენ ხოლმე. შედეგად, უამრავ ტრანს ადამიანს ეშინია, შევიდეს თავშესაფრების სისტემაში და რჩება უსახლკაროდ ქუჩაში, ვინაიდან ისი-

ნი ვერ აკმაყოფილებენ DHS-ის ხანგრძლივი საცხოვრისების პროგრამის მოთხოვნებს. აქტივისტები მუნიციპალიტეტის ყურადღების ამ პრობლემაზე მიქცევას ცდილობდნენ, როგორც მინიმუმ, ათწლეულის მანძილზე, ისე რომ ვერავითარ ცვლილებას ვერ მიაღწიეს პოლიტიკაში. 2003 წელს, აქტივისტების ახალმა ჯგუფმა დაიწყო მოლაპარაკებები DHS-თან იმ მიზნით, რომ ჩამოეყალიბებინათ პოლიტიკა, რომელიც თვითიდენტიფიცირებას და ტრანს ადამიანების უსაფრთხოებას აქცევდა გადამწყვეტ საფუძვლად თავშესაფრების სისტემაში ადგილების გამოყოფისას. შეხვედრები Sylvia Rivera Law Project-ის, The New York City Lesbian, Gay, Bisexual, Transgender Community Services Center-ის, Queer for Economic Justice-ისა და DHS-ის წარმომადგენლებს შორის ორი წლის მანძილზე მიმდინარეობდა, ხშირად მტრულ გარემოში, რომლის დროსაც, DHS მერყეობდა მათი პრაქტიკის შეცვლასთან დაკავშირებით სრულ უარსა და სპეციალური პოლიტიკის შემუშავებას შორის. DHS-ის კონტრარგუმენტები იოლად გამოსაცნობი იყო: (1) არა-ტრანს ქალები თავს არაკომფორტულად იგრძნობდნენ იმ ტრანს ქალებთან, რომლებსაც გენიტალიური ოპერაცია გაკეთებული არ ჰქონდათ ან რომლებიც „გამოიყურებოდნენ როგორც კაცები“, ამიტომ პატივი უნდა ვცეთ მათ უფლებებს; (2) ჩვენ ვერ შევძლებთ, რომ გავარჩიოთ ვინაა ნამდვილი ტრანსი და ვინ იტყუება, რათა მოხვდეს ქალების თავშესაფარში; (3) ეს არ არის რეალური პრობლემა; (4) ჩვენი კომპიუტერული პროგრამა მოძველებულია და მასში გენდერის ცვლილება შეუძლებელია. ამავდროულად, შესაძლოა შემოეთავაზებინათ, რომ ისინი დათანხმდებოდნენ ქალების თავშესაფრებში ისეთი ტრანს ქალების განთავსებას, რომლებსაც ფემინური გარეგნობა ანდა გენიტალიური ოპერაცია ჰქონდათ გაკეთებული.

კოალიციამ არაერთგზის გააბათილა DHS-ის არგუმენტები, ხაზს უსვამდა, რომ ოპერაციასთან დაკავშირებული სტატუსი არარელევანტური იყო, რომ უსახლკარო ადამიანებს მათი კლასობრივი კუთვნილება უნესებდა ზღვარს, რომლის გადალახვასაც ისინი ვერ ახერხებდნენ, რომ უსახლკარო ადამიანებს არ ჰქონდათ იმის საშუალება, რომ მათი გარეგნობის ფემინიზება მოეხდინათ, რომ არაეთიკური იყო ტრანს ქალებთან დაკავშირებით სხვა ქალების მიუხვედრელობით გადაწყვეტათ ტრანს ქალებისთვის თავშესაფრის მიცემა და რომ ზოგიერთი ადამიანის თაღ-



ლითობა ან სექსუალური ძალადობის განზრახვა არ უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი უსახლკარო ადამიანების მონაცვლადი ჯგუფის თავშესაფართან დაკავშირებული პოლიტიკის განმსაზღვრელი. თანმდევი გამოწვევა იყო მოლაპარაკებების დროს გამოჩენილი სიჭიუტე და უნდობლობა, რაც ზოგჯერ DHS-ის იურისტებსა და ჩემ შორის შელაპარაკებებით სრულდებოდა ხოლმე, ვინაიდან მათ ფუნდამენტურად არ სჯეროდათ, რომ ჩვენ შეგვეძლო სასამართლო სარჩელის მოგება ამ საკითხთან დაკავშირებით და ამის გამო, არც სურდათ რეალური ცვლილება განეხორციელებინათ.

2005 წელს, კოალიციამ გააფართოვა თანამშრომლობა სხვა ლგბტ და სიღარიბეზე მომუშავე ორგანიზაციებთან, რის შემდეგაც დაიწერა წერილი მერის სახელზე, სადაც საუბარი იყო DHS-ის უუნარობაზე, მოეხდინა ცვლილება, რასაც მერმა სათანადო ყურადღება მიაქცია. სასწაულებრივად, წერილს მოჰყვა დაუყოვნებლივი მოქმედებები – DHS-მა აიღო პოლიტიკის მოდელი, რომელიც კოალიციამ მიაწოდა აშშ-ისა და კანადის მთავრობას და მის მიხედვით შეიქმნა ძალიან კონსერვატიული პირველადი ვერსია. შემდეგ შეხვედრაზე მათმა წარმომადგენლებმა თავდაცვის ტონით წავიკითხეს მთავარი პუნქტები მათი პირველადი ვერსიის, რითაც გვაგრძნობინეს, რომ ისინი ხედავდნენ ჩვენს უნდობლობას, ვინაიდან მათ მაღლა მდგომ ინსტიტუციებს მივმართეთ და აღარ ჰქონდათ პოლიტიკაზე ერთად მუშაობის სურვილი. პოლიტიკის დოკუმენტი შეიცავდა არაერთ ანტი-ტრანს და უსახლკართა წინააღმდეგ მიმართულ რამდენიმე ელემენტს იმ პოლიტიკების მაგალითებიდან, რომლებიც ჩვენ გავუზიარეთ. დოკუმენტში გამოყენებული იყო სან ფრანცისკოს პოლიციის წარმომადგენლების ენა, რომელიც ამბობდა „კლიენტმა არ უნდა იცვალოს გენდერი მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მას თავშესაფრის მიღება სურს“<sup>40</sup>. შეხვედრებისას, კოალიციის წევრები იყენებდნენ ცვალებად არგუმენტებს, რათა DHS-ისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ, რა დროსაც ზოგჯერ თანასწორობის ცნობიერების პოზიციას იკავებდნენ, ზოგჯერ კი რევოლუციურს. DHS-ის თანამშრომლები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ DHS-მა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ დააყენა ლგბტ ადამიანებისათვის ცალკე თავშესაფრის აშენების საკითხი, თუმცა, ვინაიდან ჯერაც ვერ გამოიძენა ასეთი თავშესაფრის ასაშენებელი რესურსი, მათი ბრალი აღარაფერი იყო და მათ ამ საქმეში საკმარისი გააკეთეს. ამ შემთხვევაში,



კოალიციის წევრები იყენებდნენ თანასწორობის არგუმენტებს და აღნიშნავდნენ, რომ სპეციალური თავშესაფრის აშენება, რომელიც უსახლკარო ტრანსების უმნიშვნელო ნაწილს გასწვდებოდა მხოლოდ, დამაკმაყოფილებელი არ იყო და რომ საჭირო იყო პოლიტიკის ცვლილება, რომელიც უზრუნველყოფდა, რომ ტრანს ადამიანების განთავსების საკითხი მთელს სისტემაში მოწესრიგებულიყო. ჩვენ გამოვარკვით, რომ ყველა ტრანს ადამიანს არ სურს, რომ ლგბტ თავშესაფარში განთავსდეს ან არ ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ლგბტ-ად ან ტრანსად, და ლგბტ თავშესაფრის გახსნა მართალია თავისთავად სასარგებლო მოვლენა იყო, მაგრამ ვერ გადაწყვეტდა იმ საკითხებს, რომლებსაც ჩვენ განვიხილავდით. სხვა შემთხვევებში კი, ჩვენი არგუმენტები უფრო ცალსახად ფოკუსირდებოდა მთლიან სისტემაზე როგორც პრობლემაზე. ვეყრდნობოდით რევოლუციურ ცნობიერებას და ხაზს ვუსვამდით, რომ თავშესაფრების სისტემა, რომელიც მთლიანად ორადაა გაყოფილი ბინარული გენდერული ნიშნით, ქმნიდა ფუნდამენტურ წინააღმდეგობებს უსახლკარო ტრანს ადამიანებისათვის, რაზეც აუცილებლად უნდა ებრუნა ქალაქის მმართველობას. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვსაუბრობდით, რომ ქალაქს უნდა შეექმნა ალტერნატივები თავშესაფარში მიღების დამკვიდრებული იმ სისტემისა, რომლის მიხედვითაც მამაკაცები მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტულ დანესებულებაში უნდა მიეღოთ, ქალი კი სხვებში.

უსახლკარო ტრანს ადამიანების უმეტესობისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საიდენტიფიკაციო დოკუმენტები, რაც დაადასტურებს მათ აშუამინდელ გენდერს, იმ სირთულეების გამო, რომლებიც არსებობს დოკუმენტებში გენდერის შეცვლასთან დაკავშირებით, თავშესაფრებში მიღების სისტემა აძლიერებს გენდერულად არასათანადო მიღების პირობებს. ორად გაყოფილი მიღებისა და განთავსების სისტემით გამოწვეული დაბრკოლებების შესახებ ჩვენი არგუმენტი ნაწილობრივ ნასესხები იყო შებენილი შესაძლებლობის მქონეთა უფლებების მოძრაობისგან. სწორედ მათ წამოიწიეს პირველებმა დისკუსია „ხელმისაწვდომობის“ შესახებ, რომ „გარშემო საგნები ისეა მოწყობილი“, რომ იქმნება ხელოვნური ბარიერები იმ ადამიანების სრული ჩართულობისთვის, რომლებსაც სამართლიანი ცვლილების შემთხვევაში, შეეძლებოდათ, მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა აქტივობაში და ექნებოდათ პრივილეგიები, რისგანაც აშუამად

ისინი გამოირიცხულები არიან. აღნიშნული ხედვა სცდება თანასწორობის მოდელს და გადაიზრდება რევოლუციურ ცნობიერებაში, ვინაიდან იგი მოითხოვს, რომ მოხდეს ცვლილებები იმაში თუ როგორ ოპერირებს სამყარო, რათა აღმოიფხვრას ჩაგვრა. ნაცვლად უბრალო მოთხოვნისა, რომ ადამიანებმა აღმოიფხვრან სამსახურისა და საცხოვრისის მიღების შესაძლებლობების ხელისშემშლელი პირობები შშმ პირებისადმი წინასწარგანწყობების გამო, ეს ხედვა მოითხოვს, რომ საცხოვრისისა და დასაქმების პირობების რესტრუქტურზაცია მოხდეს, რათა აღმოიფხვრას წინააღობები რომლებსაც შშმ პირები აწყდებიან. თავშესაფრის მოთხოვნა, რომელიც ამ გააზრებებზე იყო დაფუძნებული, აცხადებდა, რომ ტრანს ადამიანებს თავშესაფრების კარებიც რომ არ მიუხურონ, ხელმისაწვდომობა მაინც პრობლემურად რჩება, ვინაიდან ისინი ტრანს ადამიანებს ათავსებენ არასათანადოდ და საშიშროებას უქმნიან ჩვენს უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. ლავირება თანასწორობისა და რევოლუციურ ტაქტიკებს შორის იყო გადამწყვეტი DHS-ის თანამშრომლების განათლებისთვის იმ პრობლემების შესახებ, რომელთა შესახებაც მათ შემდეგ ინფორმაცია უნდა მიეტანათ თავიანთ უფროსებთან და დაერწმუნებინათ ისინი ცვლილების აუცილებლობაში, გაემართლებინათ სპეციფიკური პოლიტიკის საჭიროება და ჰქონოდათ გამზადებული პასუხები DHS-ის თავდაცვის სტრატეგიებზე.

როდესაც DHS-მა წარმოგვიდგინა მათი პოლიტიკის პირველადი ვერსია, აღნიშნული დოკუმენტის ფოკუსში თანასწორობის ჩარჩო იყო მოქცეული. კომისრის მოადგილემ, როდესაც საუბარი დაიწყო შენიშვნებზე, განაცხადა, რომ ისინი აპირებდნენ ტრანს ადამიანების თავშესაფრებში განთავსებას თვითიდენტიფიკაციის საფუძველზე და სურდათ, შეექმნათ პოლიტიკა, რომელიც მთელ სისტემაზე გავრცელდებოდა, ვინაიდან იცოდნენ, რომ „გამოცალკევებული, მაგრამ თანასწორი არ ნიშნავს თანასწორს.“ არ იყო გასაკვირი, რომ ისინი ჩაეჭიდნენ ჩვენს შედარებით კონსერვატიულ არგუმენტებს, თაღლითობის რისკზე ფოკუსირებულ უსახლკართოა წინააღმდეგ მიმართულ მაგალითებს იმ პოლიტიკებიდან, რომლებიც ჩვენ მივანოდეთ. მათი პოლიტიკის დოკუმენტის პირველადი ვერსია დიდწილად აქცენტირებას აკეთებდა გარანტიებზე, რომ ტრანს ადამიანებს არ მოეტყუებინათ მათ გენდერთან დაკავშირებით და რომ

იდენტობაზე დაფუძნებული განთავსების სტრატეგია ყოფილიყო მტკიცე. მას შემდეგ, რაც მივალწიეთ დიდი ხნის ნანატრ გამარჯვებას, რომლითაც დაგვთანხმდნენ, რომ შექმნილიყო წერილობითი დოკუმენტი და პატივი ეცათ თვითიდენტიფიცირებისთვის, ნაცვლად დაბადების გენდერის, გარეგნობის და გენიტალიური სტატუსისა განთავსების პროცესში, კოალიციას უკვე შეეძლო, რომ მოლაპარაკებების საგნად ექცია, თუ რას ნიშნავს სრული ხელმისაწვდომობა თავშესაფრებზე და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს სქესის ნიშნით ორად გაყოფილ სისტემად ტრანს ადამიანებისათვის. არგუმენტად მოვიყვანეთ არაერთი საკითხი, მათ შორის ის, რომ ზოგიერთმა ტრანსმა მამაკაცმა შესაძლოა თავი კომფორტულად არ იგრძნოს მამაკაცთა თავშესაფრებში, რომ ადამიანებს სჭირდებოდათ ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ თავშესაფარში ყოფნისას გაიარონ ტრანზიციის პროცესი და რომ საჭიროა ინდივიდუალური გადანაცვლებები იმასთან დაკავშირებით თუ როდის არიან ისინი მზად საიმისოდ რომ დაწესებულებაში ახალი გენდერის ნიშნის მიხედვით მოხვდნენ, რომ ზოგიერთი ადამიანი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ბინარული სისტემის მიღმა ახდენს და რომ მათ სჭირდებოდათ მხარდაჭერა რათა მიიღონ გადანაცვლებები თუ რომელი ტიპის თავშესაფარში იგრძნობენ ისინი თავს უსაფრთხოდ. ჩვენ მოვითხოვდით დამატებით შეხვედრებს რათა გაგვემტკიცებინა პოლიტიკები ერთად და ჩავრთულიყავით DHS-ის თანამშრომლების დატრენინგებაში.

დიფერენციალური ცნობიერების გამოყენება არის პასუხისმგებელი ამ პროცესის წარმატებაზე, ვინაიდან მან საშუალება მისცა კოალიციის წევრებს, რომ ჩამოეყალიბებინათ არგუმენტების მთელი წყება, რამაც ქალაქის მუნიციპალიტეტისგან გარკვეული პასუხისმგებლობების აღებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა, რაც დაგვეხმარა, რომ ჩვენს ძალიან ნათლად დასახულ საერთო მიზანს მივახლოვდით. კოალიციის წევრებს ჰქონდათ ცვალებადი ტაქტიკური მიდგომები და თავდადება, რაც იყო იმ სხვადასხვა წინააღმდეგობის ცნობიერების ფორმების გამოვლინება, რაზეც სანდოვალი საუბრობს. თავშესაფართან დაკავშირებულ სამუშაოსთან მიმართებით, ეს განსხვავებები მოიცავდა თავდადების სხვადასხვა დონეს, რათა მიგვეღწია თავშესაფრის ხელმისაწვდომობისთვის იმ ადამიანებისათვის, რომლებიც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ გენდერული ბინარულობის

მიღმა, აქვთ განსხვავებული იდეები ნიუ იორკში ტრანს სპეციფიკაზე მორგებული თავშესაფრის საჭიროებასა და სასურველობაზე და აქვთ განსხვავებული შეხედულება თუ რამდენად აგრესიული მიდგომა უნდა გვქონდეს ქალაქის მმართველობასთან. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვქონდა საერთო რწმენა, რომ დაბადების სქესის მიხედვით განთავსება მიუღებელია და რომ იდენტობასა და უსაფრთხოებაზე დაფუძნებული განთავსების პოლიტიკის მიღწევა იყო გადამწყვეტი უსახლკარო ტრანს ადამიანების გადასარჩენად ნიუ იორკში. ამან კი საშუალება მოგვცა, რომ გამოგვეყენებინა დიფერენციალური ტაქტიკები ერთობლივად და გადაგველახა ტრანსფობიური და ცვლილების მოწინააღმდეგე ბიუროკრატია, რათა მათთვის მიგვეწოდებინა სამუშაო ჩარჩო, რაც დაეხმარებოდათ რომ გაეგოთ და მხარი დაეჭირათ ჩვენი პოზიციისთვის, რისთვისაც ცვლილებების აუცილებლობის მოთხოვნით სხვადასხვა მხრიდან ვახორციელებდით მათზე წნეხს.

## დასკვნა

სანდოვალის მოდელი არის გასაღები ცნობიერების იმ შტრიხების გამოსაკვეთად, რომელიც ხშირად აზრთა სხვადასხვაობას იწვევს იმ აქტივისტებში, რომლებიც მსგავს ან ურთიერთ გამამკვეთ საკითხებზე მუშაობენ. ქვიარ და ტრანს პოლიტიკის სფეროში, ყველაზე ხშირად, კონფლიქტი თანასწორობისა და რევილუციურ ტაქტიკებს შორის წარმოიშობა ხოლმე. თანასწორობის მომხრე აქტივისტები ეტაპ-ეტაპ ცვლილებისა და მზარდი ნაბიჯების აუცილებლობაზე აპელირებენ, რევილუციურობის მხარდამჭერები კი ხაზს უსვამენ, რომ ეს ეტაპები ხშირად ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს არ ითვალისწინებდა (ფერადკანიანები, უსახლკაროები, ახალგაზრდები, ტრანს ადამიანები, პატიმრები და ღარიბები) და მჩაგვრელი სისტემების (ქორწინების ინსტიტუტი, სამხედრო სამსახური, კერძო ჯანმრთელობის დაზღვევა, სისხლისსამართლის სისტემა) დამატებით ლეგიტიმიზაციას ახდენდა. სანდოვალის ანალიზი ხსნის სივრცეს, რათა ამ კონფლიქტის ალტერნატივები გამოვიკვლიოთ. იგი ტრანს აქტივისტებს გვთავაზობს, რომ ჩვენი წინააღმდეგობაზე ფიქრისას, თავი ავარიდოთ იმ კონფლიქტებსა და შეზღუდვებს, რაც გვი მოძრაობას ჰქონდა და

ნაცვლად ამისა, წინააღმდეგობა დავაშენოთ იმ უნარებზე, რასაც ტრანს ადამიანები ხშირად იყენებენ თვითგადარჩენისათვის, სხვადასხვა ტაქტიკის მობილიზების მეშვეობით, რათა გვექონდეს უფრო ნათელი ხედვა, თუ რა არის ჩვენი მიზანი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლისას.

სანდოვალის აღწერით, მრავალრიცხოვანი ტაქტიკების მიმართვა ჩაგვრის წინააღმდეგ არის ის, რაც დიფერენციალურ ტაქტიკას აერთიანებს. ამ ანალიზის ტრანს პოლიტიკაზე განვრცობით, ვეცდები, კიდევ უფრო მეტად გამოვკვეთო თუ რა ტიპის შეიძლება იყოს ჩაგვრის წინააღმდეგ ეს მიდგომა. მსურს, შემოგთავაზოთ კრიტერიუმები ტრანს აქტივიზმში საკითხთა პრიორიტეტიზაციასთან და ტაქტიკებთან დაკავშირებული გადანყვეტილებების შესაფასებლად. პირველი გადანყვეტი ნაბიჯი, ჩემი აზრით, ეს არის ნათელი ხედვის ქონა იმასთან დაკავშირებით თუ როგორი სამყარო გვსურს, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ხედვა მით უფრო გამოსადეგია, რაც უფრო მოცულობითია და შეეხება მრავალრიცხოვან საკითხებს. მაგრამ ასევე იმის გათვალისწინებით, რომ აუცილებლად წამოიჭრება საკითხები, რომელთა შესახებაც ინდივიდებს, ორგანიზაციებსა და მოძრაობებს ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებიათ შეხედულება. პროგრამა მინიმუმის სახით, გადანყვეტი ტრანსგენდერებისა და გენდერული გაძლიერების სხვა სამიზნეების თვითგადარჩენასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებული ცხადი ხედვის ქონა, ისევე როგორც თანამედროვე, ადგილობრივ თუ გლობალურ სოციალურ სამართლიანობასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა. ეს ხედვა თითქმის აუცილებელია, რომ შეიცავდეს პრინციპებისა და პოზიციის ქონას ანტიდისკრიმინაციული კანონისა და პოლიტიკის რეფორმირებისა და გაძლიერების შესახებ, ტერორიზმის წინააღმდეგ ომისა და ნარკოტიკების წინააღმდეგ ომის ეფექტის შესახებ, იმიგრაციის სისტემის, სისხლისსამართლის სისტემის, სიღარიბისა და კეთილდღეობის სისტემების, გადასახადებსა და სიმდიდრის გადანაწილების, ხმის მიცემის უფლებისა და საარჩევნო სისტემის, ჯანდაცვის, „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებებისა და გლობალური შრომით და გარემოს დაცვის საკითხების შესახებ. ტრანსსპეციფიკური საკითხები, რომლებიც ცხად ხედვას მოითხოვენ, შეიძლება შესწავლილ იქნას პასუხებით შემდეგ შეკითხვებზე: როგორი უნდა იყოს გენდერი? გვჭირდება გენდერული კატეგორიები? ბინარულობა ცვლილების შესაძლებლობით? ორზე მეტი გენდერული კატეგორია? არჩევითი გენდერი?

გენდერის უსასრულო კატეგორიები? გენდერი როგორც გამოხატვა, მაგრამ სახელმწიფოსა და მჩაგვრელი ინსტიტუტებისაგან დაურევულირებელი და მოუხელთებელი? როგორ უნდა შეიცვალოს, თუკი ეს საერთოდ მოხდება, ყველა გავრცელებული ნორმა სქესის მიხედვით სეგრეგირებულ სივრცეებში (სააბაზანოებში, გასახდელეებში, თავშესაფრებში, ჭგუფურ საცხოვრისებში, ციხეებში, საერთო საცხოვრებლებში)? უნდა ჩაითვალოს თუ არა გენდერული აშლილობა ფსიქიკურ შეზღუდულობად? რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ტრანს ადამიანებს ფემინისტურ მოძრაობებთან? როგორი უნდა იყოს მმართველობა ტრანს ორგანიზაციებსა და მოძრაობებში მულტი-გენდერული და მულტი-რასობრივი მოძრაობის შესაქმნელად?

ერთიანი ხედვის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ყველა ან ზოგიერთ ზემოხსენებულ საკითხს, ორგანიზაციებს ან კოალიციებს შეუძლიათ გამოიყენონ ქვემოთ მოტანილი კრიტერიუმები, რათა გაზომონ ჩართულობა პოლიტიკურ ბრძოლაში. იმისათვის, რომ განსაზღვრონ ჩართულობა, ტრანს აქტივისტებმა უნდა დასვან შემდეგი შეკითხვები:

- რა ეფექტი ექნება ამ კამპანიას ან აქტივობას ჩვენი თემის ყველაზე მონყვლად წევრებზე?
- ვინმე ხომ არ განიცდის გარიყულობას თუკი ამა თუ იმ მიზანს ან სტრატეგიას განვახორციელებთ? ჩვენი თემის რომელიმე ნაწილის მარგინალიზება ხომ არ ხდება ამ სტრატეგიის, ჩარჩოს ან რიტორიკის გამოყენებით?
- რამდენად ჭდება ესა თუ ის კონკრეტული კამპანია ჩვენს ზოგად წარმოდგენაში თუ როგორ სამყაროში გვსურს ცხოვრება ან რა კონკრეტული ტიპის სისტემას გვსურს რომ მიემართებოდეს იგი? ამ კითხვით ჩვენ რეფორმა/რევილუციის საკითხს განვიხილავთ: ლეგიტიმიზებას ხომ არ უკეთებს ეს სტრატეგია მჩაგვრელ სისტემას? ღირს თუ არა ეს დათმობა იმ დაუყოვნებლივი შედეგისთვის, რომელსაც ჩვენი ბენეფიციარები მიიღებენ თვითგადარჩენის ან პოლიტიკური ჩართულობის თვალსაზრისით, ვინაიდან აღნიშნული რეფორმა ღირებულება ჩვენი თემის ყველაზე მონყვლადი წევრების უნარების განმტკიცების მხრივ, რაც საშუალებას მისცემს მათ, რომ უფრო სიღრმისეული ცვლილებებისთვის იბრძოლონ და წინააღმდეგობა გაუწიონ მჩაგვრელ ინსტიტუტებს?



ეს შევითხვები, ტრანს მოძრაობის შესახებ უფრო ფართო ხედვასთან ერთად კომბინაციაში, შესაძლოა, დაგვეხმაროს ჩავერის წინააღმდეგ ხედვების ხორცშესხმაში, მიმართულებას მოგვეცემს სხვადასხვა პოლიტიკურ ბრძოლაში ჩართულობაზე დისკუსიებისას, რაც, საბოლოო ჯამში, დაგვეხმარება რომ ამ ბრძოლებში ჩავერით პრინციპულად და არა ინერციულად ან რეაქციონერულად.

აღნიშნული კრიტერიუმების გამოყენების თვალნათლივ წარმოჩენისათვის, შეგვიძლია კვლავ იმ მაგალითებს შევხედოთ, რაზეც ამ სტატიაში გვექონდა საუბარი: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების კანონი, ნამდვილი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აქტი, ტრანს ჯანდაცვის არსებულ ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემაში ჩართვა და უსახლკაროთა თავშესაფრებზე ტრანს ადამიანების ხელმისაწვდომობა. ამ კრიტერიუმის მიხედვით, კამპანია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კანონის შესახებ საერთოდ არ ჩატდება ჩავერის წინააღმდეგ ტრანს კამპანიაში. ეს კანონი ზრდის იმ ტრანს ადამიანების მონყვლადობას, რომლებიც ისედაც სისხლისსამართლის სისტემის სამიზნეები არიან, მაგალითად ღარიბი ან ფერადკანიანი ადამიანები, რომლებსაც პოლიციის მხრიდან ძალადობის ან სისხლისსამართლის ნორმებით დასჯის მოჭარბებული რისკები ემუქრებათ. იგი არ აწვდის ტრანს ადამიანებს დაუყოვნებლივი თვითგადარჩენის საშუალებებს, ვინაიდან ჯერჯერობით არ დადასტურებულა, რომ ეს კანონი ეფექტურია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრევენციისათვის. ნაცვლად ამისა, იგი ზრდის სამართალდამცველთა რესურსებს, რაც საბოლოო ჯამში ისევ ტრანს ადამიანების უსაფრთხოებას ემუქრება.

თუმცა, ნამდვილი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აქტი, გარკვეული თვალსაზრისით, შესაძლოა იყოს ტრანს აქტივიზმის სამიზნე. მისთვის წინააღმდეგობის განწევა სარგებელს მოუტანს ბევრ მონყვლად ტრანს ადამიანს, იმიგრანტებს და იმ ადამიანებს, რომლებსაც პირადი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ხელმიუწვდომლობას მძიმე შედეგები აქვს: ახალგაზრდები, აღურიცხავი ადამიანები, უსახლკარო, ღარიბი და ფერადკანიანი ადამიანები. იქიდან გამომდინარე, რომ ეს კანონი ემუქრება ბევრი მონყვლადი ტრანს ადამიანის უსაფრთხოებას, ხოლო კანონისათვის წინააღმდეგობის განწევა თანხმობაში მოდის შემცირებული მიყურადების პრინციპთან, ტრანს ადამიანების სამედიცინო ისტორიების



კონფიდენციალობის გაზრდასთან და არ ახდენს ინსტიტუციების გაძლიერებას ან ლეგიტიმიზაციას, აღნიშნული საკთხი, შესაძლოა, ჩაითვალოს ტრანს აქტივისტების სწორად შერჩეულ პრიორიტეტად.

გორტონ-ნამასტეს დებატიც შესაძლოა შეფასდეს ამ კრიტერიუმებით. მაშინ, როდესაც ნამასტეს კრიტიკა მკაცრად რევოლუციურ ხედვას გამოხატავს, ზემოთ მოტანილი კრიტერიუმების შუქზე გორტონის არგუმენტები, ქალაქში დასაქმებულთა ჯანდაცვის სისტემაში შეყვანასთან დაკავშირებით, გაცილებით უფრო გასაგები ხდება. გორტონისათვის, ტრანს ჯანდაცვის პრეცედენტის შექმნა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რათა მომავალში მისი ადგილი უნივერსალური ჯანდაცვის სისტემაშიც გამოიძენოს. პრეცედენტი გააძლიერებს არგუმენტს, რომ ამ ტიპის ჯანდაცვა აუცილებლად შევიდეს უფასო და შეღავათიანი სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებისთვის, პატიმრებისთვის, გაშვილებული ახალგაზრდებისთვის და იმ სხვა ადამიანებისთვის, რომლებისთვისაც ტრანს ჯანდაცვა ყველაზე მიუწვდომელი რჩება ხოლმე, როდესაც ის „არჩევითია“ ან არ იფარება დაზღვევით. პრეცედენტის დაშვება არ უკეთებს ლეგიტიმიზაციას არსებულ ჯანდაცვის სისტემას და არც უნივერსალური ჯანდაცვის სისტემის წინააღმდეგ არგუმენტს ქმნის. ფაქტობრივად, ეს არის წინაპირობა საიმისოდ, რომ მივალწიოთ უნივერსალურ ჯანდაცვას, რომელიც მოიცავს ტრანსების ჯანმრთელობაზე ზრუნვასაც.

ამის მსგავსად, თავშესაფარებზე ტრანსების წვდომის საკითხიც ცალსახად პრიორიტეტულია, როდესაც ამ თემას ზემოაღნიშნული კრიტერიუმებით განვიხილავთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კოალიციასა და პასუხისმგებელ ორგანიზაციას აქვთ ხანგრძლივ პერსპექტივაზე განწერილი ხედვა, რომლის მიხედვითაც, სიმდიდრე თანაბრად გადანაწილებულია და ყველას აქვს მუდმივი უსაფრთხო საცხოვრებელი, უსახლკარობისაგან თავის დაღწევა და თავშესაფარზე ხელმისაწვდომობა ცალსახად სასარგებლოა მონყვლადი ტრანს ადამიანებისათვის. ეს საკითხი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მათი გადარჩენისათვის და წარმოადგენს უკიდურეს საშუალებას, რომ მიიღონ მონაწილეობა და ხელში აიღონ მმართველობა საცხოვრისზე თანასწორი უფლებებისათვის მოძრაობაში.

მოსალოდნელია, რომ ეს კრიტერიუმები არ იყოს სრული, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ საწყის ნერტილად მაინც გამოდგება, რითიც ისარგებლებ

ბენ ამერიკელი ტრანს აქტივისტები და ნებისმიერი ტიპის სტრატეგიაში ან კოალიციაში ჩაბმისას, ადგილობრივი იქნება, შტატის თუ ქვეყნის მასშტაბით, დაიწყებენ იმის ნათლად გააზრებასა და გაანალიზებას თუ რატომ ვილტვით სხვადასხვა კამპანიისა და პოლიტიკური ბრძოლისაკენ. მუშაობას ცხადად წარმოდგენილი ხედვით თუ როგორ სამყაროში გვსურს ცხოვრება, დიფერენციალური ცნობიერების გამოყენებას, ექსკლუზიისა და ინკლუზიის, რეფორმისა და რევოლუციის საკითხების გამოკვლევას, შეუძლია უკან მოგვატოვებინოს განმეორებადი კონფლიქტი „ეტაპობრიობასა და იდალიზმს“ შორის და წინ წაგვწიოს არსებითი ცვლილებებისაკენ, რაც გაზრდის იმ ადამიანების პოლიტიკურ ჩართულობას და უსაფრთხოებას, რომლებიც ყველაზე მეტად იტანჯებიან ძალადობრივი გენდერული სისტემებით.

## შენიშვნები

1. Lisa Mottet, Remarks at Creating Change Conference 2005, 10 ნოემბერი 2005, ოკლენდი, კალიფორნია, 79 ქალაქსა და პროვინციას აქვს მიღებული გენდერული იდენტობის ნიშნით სპეციფიკური ანტი-დისკრიმინაციული კანონი.

2. იქვე

3. იხ. Robin D.G. Kelley, „The black Radical Imagination“ (Boston, MA: Beacon Press, 2002); ასევე იხ. Angela Davis, Are Prisons Obsolete (New York: Seven Stories Press, 2003); Chandra Talpade Mohanty, Feminism without Borders: Decolonizing Theory, Practicing Solidarity (Durham, NC: Duke University Press, 2003)

4. იხ. William Saletan, Bearing Right: How the Conservatives Won the Abortion Debate (Berkeley, CA: University of California Press, 2004). წიგნი აღწერს აბორტის უფლების მხარდამჭერმა აქტივისტებმა – ადამიანებმა რომლებსაც სურდათ სოციალური ცვლილება, ქალთა თანასწორობა და ჯანდაცვაზე გაცილებით მეტი წვდომა – როგორ დანერგეს თავიანთი მესიჯი პირადი ცხოვრების კულტის პირობებსა და შეზღუდული მმართველობის პირობებში, როდესაც აბორტის მომხრეთა მოძრაობის შედარებით კონსერვატიული არგუმენტების გამოყენებით ხელში აიღეს მართვის სადავეები და სრულიად შეცვალეს სამუშაო ჩარჩო. საგულისხმოა, რომ წიგნი იკვლევს, აბორტის პირად საკითხად ქცევასთან ერთად, როგორ დარჩა ახალგაზრდებისა და დაბალშემოსავლიანი ადამიანების რეპროდუქციული უფლებები დამცველების გარეშე.

5. იქვე

6. Chela Sandoval, *Methodology of the Oppressed* (Minnesota, MN: University of Minnesota Press, 2000). შემდგომში გვერდების ნომრები მოცემულია ტექსტშივე.

7. ამ ტერმინს ვიყენებ წინასწარ განზრახულად და არა ბოლო ხანებში ორგანიზაციათა სახელებსა და მისიის განაცხადებში დამკვიდრებული ტერმინის მიბადვით, რომ ნომინალურად ახსენონ ბისექსუალები და ტრანსგენდერები, ვინაიდან ძირითადად, ინკლუზიის ეს მცდელობები არ სცდება უბრალო პირფერობას. ამ დრომდე, ბევრი ეს ორგანიზაცია საერთოდ არ ასაქმებს ან ასაქმებს ძალიან ცოტა ტრანსგენდერს, როგორც წესი, არა მმართველ პოზიციაზე და პრობლემები, რომლებსაც ტრანს ბენეფიციარები აწყდებიან მათ დღის წესრიგებში არც კი აისახება ხოლმე.

8. „გზრამდები, რომ ამდენი ლესბოსელი და გეი აქტივისტი იხვენება აშშ-ის სამხედრო აპარატში შეღწევას, რომელიც გამანადგურებელი კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური იმპერიალიზმის აღმასრულებელია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. უნდა ვიზიემოთ როდესაც ქვიარებისთვის ადამიანების დახოცვა ლეგალური გახდება? ნაცვლად ამისა, პლაკატები, რომლის წაკითხვაც გამიხარდებოდა იქნება „განავრცეთ აკრძალვა ჰეტეროსექსუალებზე“, „მასკულიზმის დემილიტარიზაცია“, „აიკრძალოს სამხედრო სამსახური.“ Ian Barnard, „Fuck Community, or Why I Support Gay Bashing,“ in *State of Rage: Emotional Euphoria, Violence and Social Change*, eds. R. Curry and Terry L. Allison (New York: New York University Press, 1996) 74-90.

9. „იმის პარალელურად, რომ ერთი და იმავე სქესის მქონეთა შორის ქორწინება გეებსა და ჰეტეროსექსუალებს შორის უთანასწორობის აღმოფხვრას უწყობს ხელს, ის აღრმავებს უთანასწორობას დაქორწინებულებსა და დაუქორწინებულებს შორის. ის აიძულებს ჰომოსექსუალებს, ჰეტეროსექსუალების მსგავსად, რომ ხელი მოაწერონ სახელმწიფოსგან ნებადართულ, რელიგიაზე დაფუძნებულ, კანონიერი ურთიერთობის გაგებას, თუკი მათ სურთ, რომ ისარგებლონ მშობლობისა და უძრავი ქონებით სარგებლობის სრული უფლებით. აღიარებისა და „ნორმალიზების“ სურვილი, რაც ბევრი მხარდამჭერის მთავარი მოტივია, გარდაუვლად გულისხმობს, რომ დაუქორწინებელთა ურთიერთობა და ისინი, ვინც არ უჭერენ მხარს კონვენციურ „ოჯახურ ღირებულებებს“ ნაკლებად ღირებულები და პატივსაცემები არიან,“ *Can Marriage Be Saved?*“ *The Nation*, July 5, 2004, 16.

10. Alisa Solomon, „State to Church: I Want to Divorce, By the Power vested in US: Civil Unions for All – Gay or Straight, Blessings Optional,“ *Village Voice*, March 3-9, 2004.

11. Servicemembers Legal Defense Network-ის მიხედვით, თითქმის სამჯერ უფრო მეტ აფრო ამერიკელ ქალს ეუბნებიან უარს სამხედრო სამსახურში მიღებაზე, ვიდრე თანხმობას, ლათინო ქალების შემთხვევაში კი ეს რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე სამსახურებში ჩარიცხულების. Servicemembers Legal Defense Network, „Conduct Unbecoming: The Ninth Annual Report on „Don't Ask, Don't Tell, Don't Pursue, Don't Harass“ (2003): 43-4

12. 2004 წელს, ოპიომ მიიღო შტატის მასშტაბით კონსტიტუციური შესწორება, რომელიც კრძალავდა ერთი და იმავე სექსის მქონეთა შორის ქორწინებას, ისევე როგორც სხვა „ლევალურ სტატუსებს,“ რომლებიც მიახლოებულია ქორწინებასთან. უფლებადამცველები შიშობენ, რომ ასეთი კანონი საფრთხეს შეუქმნის ქორწინებაში არ მყოფ ერთი სექსის მქონე პარტნიორთა შეთანხმებებს, რომლებსაც ჰყავთ შვილები.

13. თანასწორობის ლეგალისტური გაგების პრობლემატურობა, ძალთა სისტემურად უთანასწოროდ გადანაწილების გამო, კარგად აქვთ არტიკულირებული კრიტიკული რასის თეორისტებს. იხ. A.D. Freeman, „Legitimizing Racial Discrimination through Antidiscrimination Law: A Critical Review of Supreme Court Doctrine,“ in *Critical Race Theory: The Key Writings that Formed the Movement*, eds. K. Crenshaw, N. Gotanda, G. Peller, and K. Thomas (New York: New Press, 1996): 29-45; C.I. Harris, „Whiteness as Property,“ in *ibid*, 276-91.

14. იხ. ფრიმენის (Critical Race Theory: 29-45) დისკუსია აბორტზე ხელმისაწვდომობის წინააღმდეგ ბოლოდროინდელ თავდასხმებზე, მათ შორის, 2006 წელს, სამხრეთ დაკოტაში აბორტის აკრძალვასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია [www.naral.org](http://www.naral.org) Wendy E. Parmet, „Plan Meaning and Mitigating Measures: Judicial Interpretations of the Meaning of Disability“ *Berkeley Journal of Employment and Labour Law* 53 (2003); 25, Symposium, „Backlash Against the ADA: Interdisciplinary Perspectives and Implications for Social Justice Strategies,“ *Berkeley Journal of Employment and Labour Law* 1 (200): 21.

15. Velia Hancock. „La Chicana, Chicano Movement and Women's Liberation“, *Chicano Studies Newsletter*, University of California, Berkeley (February-March 1971): 3-4.

16. Bernard, „Fuck Community,“ 77

17. ციტირებულია იქვე, 77

18. აღნიშნულ აკრონიმს ბოლო ხანებში აქტიურად იყენებს ბევრი აღიარებული გეი და ლესბი უფლებებზე მომუშავე, ასევე, გარკვეული დოზით, ბისექსუალთა და ტრანსგენდერთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაცია. თუმცა, მე გარკვეული სიფრთხილით ვეკიდები მის გამოყენებას, ვინაიდან ამ აკრონიმში ტრანს ადამიანების არსებობა, ხშირად შეუსრულებელ პირობად რჩება. იხ. Dean Spade, „Fighting to Win,“ in *That’s Revolting: Queer Strategies for Revisiting Assimilation*, ed. Mattilda Syeamore (New York: Softskull, 2004); 31-8

19. გეი უფლებების ბოლო ხანების ისტორიაში არაერთი სადავო შემთხვევაა საფუძვლიანად განხილული იმის შესახებ, თუ როგორ უჭერდნენ მხარს გეი უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები კონსერვატორ, რესპუბლიკელ არჩეულ ოფიციალურ პირებს, იმ ვიწრო ინტერესების გამო, რომელთა წინ წამოწევასაც ისინი ცდილობდნენ. The Human Rights Campaign-ის გადანაცვტილება მხარი დაეჭირა რესპუბლიკელი ალ დამატოსთვის ნიუ იორკის სენატში მოსახვედრად, 1998 წელს და Empire State Pride Agenda-ის გადანაცვტილება, მხარი დაეჭირა ჯორჯ პატაკისთვის 2002 წელს ნიუ იორკის შტატის გუბერნატორის არჩევნებში, იმის სანაცვლოდ რომ ისინი ხელს მოაწერდნენ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის აქტზე (რომელიც იგნორირებას უკეთებდა ნიუ იორკელ ტრანსგენდერებს), ორი ყველაზე გახმაურებული მაგალითია. იხ. Duncan Osborne, „Anger on Eve of Victory, As Gay Rights Vote nears, SONDA and Pride Agenda Have Critics,“ *Gay City News*, December 13–21, 2002, ხელმისაწვდომია ლინკზე [www.gaycitynews.com/gcn29/anger.html](http://www.gaycitynews.com/gcn29/anger.html) Michaelangelo Signorile, „A Boost for D’Amato Brings Headaches,“ *New York Observer*, October 28, 1998, ხელმისაწვდომია ლინკზე [www.signorile.com/articles/nyoamato.html](http://www.signorile.com/articles/nyoamato.html) Charles Kaiser, „The Best Man?“ *New York Magazine*, October 5, 1998, ხელმისაწვდომია ლინკზე [newyorkmetro.com/nymetro/news/politics/columns/citypolitic/3148/](http://newyorkmetro.com/nymetro/news/politics/columns/citypolitic/3148/) GenderPac’s Coors-sponsored reception for a Republican senator at their 2004 Annual Conference on Gender added a highlight from the highest-funded gender-focused organization to the history of this strategy.

20. არსებულმა წინააღმდეგობამ, უნდა შევიდეს თუ არა „გენდერული იდენტობა“ ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის დისკრეციაში, რომელიც ლესბოსური და გეი ორგანიზაციების მიერ იყო წინ წამოწეული, გამოიწვია აბრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა გასულ ათწლეულში. The Human Rights Campaign სულ ახლახან, წლების მანძილზე ტრანსგენდერებისა და ჩვენი პარტნიორების მხრიდან განხორციელებული წნეხის შემდეგ, დათანხმდა, რომ დასაქმებისას არადისკრიმინაციულობის ფედერალურმა აქტმა მოიცვას ის ადამიანებიც, რომლებიც გენდერული იდენტობის ნიშნით განიცდიან დისკრიმინაციას. ანალოგიური წნეხი წარუმატებელი აღმოჩნდა ნიუ იორკის შტატში, სადაც Empire State Pride Agenda-მ წარმატებას მიაღწია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის აქტთან დაკავშირებით 2002 წელს, თუმცა, ეს აქტი ტრანსგენდერ ადამიანებს

არ შეეხო. იხ. Andy Humm, „Unity Eludes SONDA Activists, Gender Identity Protection Divides Duane, Pride Agenda,“ Gay City News, December 13–21, 2002, ხელმისაწვდომია ლინკზე [www.gaycitynews.com/gcn29/unity.html](http://www.gaycitynews.com/gcn29/unity.html)

21. დისკუსიები იმასთან დაკავშირებით თუ როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ სოციალურ ცვლილებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს კორპორაციებთან მუდმივად არსებობდა ლესბი და გეი უფლებების სფეროში. სან ფრანცისკოს ლგბტ ცენტრის ურთიერთობები American Airlines, GenderPac-ის ურთიერთობები IBM-სა და Coors-თან და Natoonal Gay an Lesbian Task Force-ის ორგანიზებული კონფერენციის გამართვა Oakland Marriott-ში ამ დისკუსიების ბოლო დროინდელი მაგალითებია. იხ. Gay Shame, „Are You Ready for Direct Action? Gay Shame, A Virus in the System,“ 2005

22. მმართველების (აღმასრულებელი დირექტორები, მენეჯერები, ადვოკატები) არაპროპორციული რასობრივი, განათლებასა და კლასთან დაკავშირებული პრივილეგიები ლგბტ ორგანიზაციებში, როგორც შტატის, ისე ქვეყნის მასშტაბით უდავოა და დაგვეხმარება იმის გაგებაში თუ რატომ ვერ შეძლებენ ეს ორგანიზაციები, რომ მათმა მუშაობამ ანტი-რასისტული და სიღარიბის საწინააღმდეგო ანალოგიც მოიცვას.

23. აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით თუ ვის უნდა მიუწვდებოდეს ხელი ისტორიულად ან პოლიტიკურად ქვიარ სივრცეებზე კვლავაც დაპირისპირების საგანია ქვეყანაში. 1999 წელს, კასტროს, სან ფრანცისკოს გეი სამეზობლოს მაცხოვრებლებმა და კომერსანტებმა მკვეთრი წინააღმდეგობა გაუწიეს ახალგაზრდების თავშესაფრის გახსნას. იხ. Jason B. Johnson, „Gay Youth Shelter Meets Resistance Castro Residents, Merchants Oppose Plan for Homeless,“ San Francisco Chronicle, February 5, Methodologies of Trans Resistance 259 1999, ხელმისაწვდომია ლინკზე <http://www.sfgate.com/news/article/Gay-Youth-Shelter-Meets-Resistance-Castro-2948527.php> ნიუ იორკში მიმდინარე დაპირისპირება ვეს ვილიჯის მაცხოვრებლებსა და კომერსანტებსა და ფერადკანიან ტრანს და ქვიარ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც აწყდებიან რასობრივ და კლასობრივ დაყოფას აღნიშნული სამეზობლოს ქუჩებში. იხილეთ ახალგაზრდული ორგანიზაციის ვებგვერდი FIERCE! რომელიც იბრძვის ჯენტრიფიკაციისა და პოლიციის მხრიდან ძალადობის წინააღმდეგ ვეს ვილიჯში. 2005 წელს TransJustice-მა, ორგანიზებულმა ჯგუფმა, რომელიც ფერადკანიანი ტრანს და გენდერულად ნონ-კონფორმული ადამიანების პროექტის Audre Lorde-ის მიერ ჩამოყალიბდა, მსგავსი პრობლემა დააყენა ნიუ იორკში LGBT Community Services Center-თან დაკავშირებით, სადაც ისინი ტრანს ადამიანების განდევნისა და მათ მიმართ ძალადობის შემთხვევებს წააწყდნენ. მიმდინარე დისკუსიებმა პრაიდების ძვირადღირებული ღონისძიებებიდან დაბალ შემოსავლიანი ქვიარებისა და ტრანს ადამიანების განდევნის, ასევე ქვიარ სივრცეების თემის შშმ წევრებისათვის ხელმიუწვდომლობის შესახებ, გაააქტუალურა საკითხი თუ ვისთვის არსებობს ქვიარ სივრცეები.

24. იხ. Dean Spade and Craig Willse, „Freedom in a Regulatory State?: Lawrence, Marriage and Biopolitics,“ *Widener Law Review*, 11:2 (2005): 309–29.

25. Fair Economy-ის ცნობებთან ერთად, რომ აშშ ამჟამად ყველაზე უთანასწორო ქვეყანაა ინდუსტრიულ ქვეყანათა შორის, არსებული უფსკრული სიმდიდრის გადანაწილების თვალსაზრისით, უფრო და უფრო იზრდება კონსერვატიული საგადასახადო პოლიტიკის შედეგად, რომელიც უფრო და უფრო ამცირებს სიმდიდრის გადანაწილების გარანტიებს. იხ. United for a Fair Economy, „The Wealth Gap: A Second Gilded Age?“ ხელმისაწვდომია ლინკზე [www.faireconomy.org/estatetax/ETWealth.html](http://www.faireconomy.org/estatetax/ETWealth.html) გაერთომ განაცხადა რომ ქონებრივი უთანასწორობა გლობალურად კიდევ უფრო იზრდება და დაუყოვნებლივი მოქმედებისკენ მოუწოდა ქვეყნებს „Global Wealth Gap Still Widening Says UN,“ *ABC News*, Friday August 26, 2005, ხელმისაწვდომია ლინკზე [www.abc.net.au/news/newsitems/200508/s1446402.htm](http://www.abc.net.au/news/newsitems/200508/s1446402.htm)

26. See National Center for Transgender Equality, [www.nctequality.org/Hate\\_Crimes.asp](http://www.nctequality.org/Hate_Crimes.asp).

27 იქვე

28. იხ. Katherine Whitlock, „In a Time of Broken Bones: A Call for National Dialogue on Hate Violence and the Limitations of Hate Crimes Legislation,“ *An American Friends Service Committee Justice Visions Working Paper*, ხელმისაწვდომია ლინკზე at [www.afsc.org/community/hatecr.pdf](http://www.afsc.org/community/hatecr.pdf) ჩვენება ეროვნულ ციხეებში გაუპატიურების აღმოფხვრის აქტის კომისიის მოსმენებიდან, 19 აგვისტო, 2005, ხელმისაწვდომია [www.nclrights.org/releases/prison\\_testimony\\_081905.htm](http://www.nclrights.org/releases/prison_testimony_081905.htm) (დანვრთილებითი ინფორმაცია ციხეებში ლგბტ ახალგაზრდებისა და სრულწლოვნების პირობების შესახებ). დინ სპეიდი, შენიშვნები“იდენტობის მსხვერპლის“ პანელიდან გენდერის, სექსუალობისა და კანონის მერვე ყოველწლიურ სიმპოზიუმზე „Sex, Gender and Crime: The Politics of the State as Protector and Punisher“ *Georgetown Journal of Gender and the Law*, 7: 255–85, March 2005.; Amnesty International, „Stonewalled – Still Demanding Respect: Police Abuse and Misconduct against Lesbian, Gay, Bisexual and Transgender People in the USA,“ 2005, available at [www.amnestyusa.org/outfront/document.do?id=ENGAMR510262006](http://www.amnestyusa.org/outfront/document.do?id=ENGAMR510262006).

29. ტრანს ინკლუზიისა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისათვის ბრძოლის ფართოდ გაშუქებული ორი მაგალითი უკავშირდება სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის აქტს, რომელიც ნიუ იორკის შტატში 2002 წელს გავიდა და დასაქმებულთა დისკრიმინაციისგან დაცვის ფედერალურ აქტს, რომელიც ჩავარდა. იხ. „NYAGRA’s Response to ESPA’s Open Letter to New York’s LGBT Community on SONDA 25 February 2002“ available at [www.nyagra.com/](http://www.nyagra.com/)



law/SondaOpnLtr020225.html Matt Foreman, „Enda As We Know It Must Die,“ August 2004, available at [www.thetaskforce.org/downloads/OpEdENDAAug2004.pdf](http://www.thetaskforce.org/downloads/OpEdENDAAug2004.pdf)

30. „ნამდვილ საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აქტი: ცული კანონი ჩვენი თემისათვის,“ National Center for Transgender Equality and the Transgender Law Center, ხელმისაწვდომია <http://www.realnighmare.org/images/File/NCTE%20realid.pdf>

31 ჩემი მიზანი არ არის, რომ არასაჭირო განგაშის ზარი შემოვცხო. ამ დროისთვის, ჯერაც არ ვიცი თუ როგორ განხორციელდება აღნიშნული პოლიტიკა და რა გავლენა ექნება მას შტატში არსებული გენდერული პოლიტიკის ცვლილებებზე. თუმცა, გასული რამდენიმე წლის მანძილზე, ფედერალური მთავრობის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოების საბაბით, ტრანს იდენტობისადმი გადაჭარბებული ყურადღების გამახვილება ნამდვილად დამაფიქრებელია. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, ტრანს აქტივისტებმა რამდენჯერმე დააფიქსირეს თავიანთი პრობლემები. სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტმა დააგზავნა გაფრთხილებები აეროპორტებში, რომ თვალყური ედევნებინათ „უბებში გამოწყობილი მამაკაცებისთვის.“ სატრანსპორტო დეპარტამენტმა გასცა განკარგულება შტატის DMV-ებისათვის, რათა გაემკაცრებინათ გენდერის ცვლილება მართვის მოწმობებში. ფედერალურმა საიმიგრაციო სააგენტომ (ყოფილი INS) შეცვალა წესები ქორწინების აღიარების შესახებ იმიგრაციის მიზნებისთვის, რითაც ჩაანაცვლა მანამდე არსებული პოლიტიკა, რომელიც აღიარებდა ჰეტეროსექსუალურ ქორწინებას, როდესაც ერთი პარტნიორი ტრანსი იყო, თუკი შტატი, რომელშიც წყვილი ცხოვრობდა, აღიარებდა მათ ქორწინებას. ახალი პოლიტიკით კი არ აღიარებდა ქორწინებას, რომელშიც ტრანს ადამიანი მონაწილეობდა. ეს ცვლილება კი ცხადყოფდა, რომ თუკი პოლიტიკის მნიშვნელოვანი ცვლილებები, მაგალითად, ნამდვილი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აქტი, ცალსახად მიმართული იყო იმიგრანტებისაკენ, მთავრობამ იცოდა და მხარს უჭერდა აღნიშნული ეფექტის ტრანს ადამიანებზე გავრცელებასაც

32 პოლიციის მიერ ლგბტ ადამიანებისადმი განხორციელებულ სისასტიკებზე მეტი ინფორმაციისთვის იხ, Amnesty International, „Stonewalled.“

33. სექტემბერი, 2005 GLMA კონფერენცია, მონრეალი, კანდა: Viviane Namaste, Sex Change, Social Change: Reflections on Identity, Institutions and Imperialism (Toronto: Women's Press, 2005).

34. Ibid., 107.

35. დისკუსია ნიკ გორტონთან, ივნისი-დეკემბერი 2005.

36. იხ, Universal Health Care Action Network-ის ვებგვერდი, [www.uhcan.org](http://www.uhcan.org)

37. იბ, Janice Raymond, *The Transsexual Empire: The Making of a She-Male* (London: Women's Press, 1980).

38. იბ, See Dean Spade, *Resisting Medicine, Remodeling Gender*, 18 *Berkeley Women's L.J.* 15 (2003).

39. მას შემდეგ, რაც ამ ესეს პირველი ვარიანტი დაინერა, 2005 წლის იანვარში, ტრანს თემმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია DHS-ის პოლიტიკის დოკუმენტის ფინალურ ვარიანტში, ტრანსგენდერებისთვის უსახლკაროთა თავშესაფრის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ახალი პოლიტიკა ვალდებულებას იღებს, რომ ტრანსგენდერ ადამიანებს საცხოვრებელი მისცეს გენდერულ იდენტობაზე დაყრდნობით და უსაფრთხოების საკითხის გათვალისწინებით, ნაცვლად დაბადების სქესისა და ცალსახად აცხადებს, რომ თავშესაფრის მაცხოვრებლებს არ უნდა აიძულონ რომ ჩაიცვას ისეთი ტანსაცმელი, რომელიც მისი დაბადების გენდერს შეეფერება. პოლიტიკის შესახებ მეტი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე [www.srlp.org](http://www.srlp.org).

40 Carolyn Plybon, „Transgender Policy for City-Funded Shelters,“ San Francisco Department of Human Services, October 23, 2003,

# ფემინიზმის ნეოლიბერალური სუბიექტი

იოჰანა ოქსალა

მთარგმნელი: თორნიკე ჭუმბურიძე

*მახსენდება მაისური, რომელსაც 70-იანებში ვიცვამდით  
ბოლმე. მასზე გამოსახული იყო ტეტჩერი და ეწერა სლოგა-  
ნი – „ჩვენ ყველანი პროსტიტუტები ვართ“. იმ დროს გვეგონა,  
ჭკვიანური იყო, გამოგვეხატა გარკვეული მგრძობელობა იმ  
სოციალური და ფსიქოლოგიური ძალების მიმართ, რომლებიც  
ჩვენს ქმედებებს ედო საფუძვლად. ახლა პირიქით ვფიქრობთ.  
თვით პროსტიტუტებსაც კი შეურაცხყოფთ მოსაზრება, რომ  
ისინი არ არიან თავისუფალი აგენტები და არ განსაზღვრავენ  
ურთიერთობის პირობებს.*

**შარლოტ რავინი**

ფუკოს რადიკალური ინტერვენცია ფემინისტურ თეორიაში და ზოგადად პოლიტიკურ აზროვნებაში იყო საკვანძო მტკიცება, რომ ძალაუფლებრივი ურთიერთობების ყველა კრიტიკა უნდა აცნობიერებდეს, როგორ ააგებენ ეს ურთიერთობები იმ სუბიექტებს, რომლებიც მასში არიან ჩართულნი. ძალაუფლება უნდა მოვიაზროთ არა გარეგან ურთიერთობად, რომელიც უკვე აგებულ სუბიექტებს შორის დგება, არამედ ურთიერთობად, რომელიც ააგებს თავად ამ სუბიექტებს: მათი აგებულება შესაძლებელი ხდება მხოლოდ ძალაუფლებრივი ურთიერთობების ცვალებად, მყიფე და სადავო სივრცეში. ამ იდეის ცნობილ ფორმულირებას ჭუდით ბატლერი გვთავაზობს *Gender Trouble*-ის პირველ გვერდებზე: „საკმარისი არ არის, ვიკითხოთ, როგორ შეუძლიათ ქალებს უფრო სრულად იყვნენ წარმოდგენილები ენასა და პოლიტიკაში. ფემინისტურმა კრიტიკამ უნდა გაიგოს

ისიც, როგორ იწარმოება და იზღუდება „ქალის“, ფემინიზმის სუბიექტის, კატეგორია იმ ძალაუფლებრივი სტრუქტურების მიერ, რომელთაც ემანსიპაციის საშუალებებად მოვიზარებთ“.<sup>1</sup>

ძალაუფლების და სუბიექტის ფუკოსეული ანალიზი უნდა წავიკითხოთ როგორც სოციალური სფეროს თანამედროვე პოლიტიზაციისა და საჯაროსა და პრივატულს შორის გამიჯვნის გაქრობის ნაწილი. პირადის პოლიტიკურ ბუნებაზე ფემინისტური აქცენტირების მსგავსად, მისი ანალიზი აჩვენებს, როგორ აიგებიან სუბიექტები ტრივიალური, ყოველდღიური ჩვევებისა და პრაქტიკების მეშვეობით, გარკვეული სახის პოლიტიკურ არსებებად. ინდივიდები არ შედიან საჯარო, პოლიტიკურ არენაზე როგორც სრულად ჩამოყალიბებული სუბიექტები, რომლებიც შემდგომ უფლებებს ითხოვენ და ინტერესებს წარმოადგენენ. მათი არსებობის თითქოსდა პირად ან პრივატულ ასპექტებში გზა უკვე გაკვალული აქვთ ძალაუფლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც არა მხოლოდ ზღუდავენ, არამედ აწარმოებენ კიდევ მათ პოლიტიკურ სუბიექტებად. „დისციპლინა და დასაჯაში“ ფუკო გვაჩვენებს, რომ ლიბერალიზმის აბსტრაქტული პოლიტიკური სუბიექტი, სინამდვილეში, მატერიალურადაა აგებული კონკრეტული და დეტალური დისციპლინური ჩვევებით. ის ამტკიცებს, რომ ცხადი, კოდირებული და ფორმალურად ეგალიტარული საკანონმდებლო ჩარჩოს გამოჩენას – რაც შესაძლებელი გახადა მე-18 საუკუნეში საპარლამენტო, წარმომადგენლობითი რეჟიმის ჩამოყალიბებამ – თან ერთვოდა დისციპლინური მექანიზმების განვითარება და გაფართოება. ეს მექანიზმები იყო დემოკრატიული პროგრესის პროცესების მეორე, ბნელი მხარე.<sup>2</sup>

ამგვარადვე, ფუკოს ნააზრვეის ფემინისტურმა აპროპრიაციებმა აჩვენა, როგორ აიგება ფემინური სუბიექტები პატრიარქალური, დისციპლინური პრაქტიკების მეშვეობით, იმისგან ბევრად განსხვავებულ სუბიექტებად, რასაც ლიბერალური, ავტონომიური მოდელი გვთავაზობს: სუბიექტებად, რომლებიც სხვებზე არიან დამოკიდებულნი; სუბიექტებად, რომლებმაც თავიანთი აგრესია, ეგოისტური ინტერესები და ამბიციები უნდა მოთოკონ და გულისხმიერება თუ მზრუნველობა გამოამჟღავნონ. ამ სტატიის პირველ ნაწილში, მე გავაანალიზებ ამ პროცესს, განვიხილავ რა სანდრა ბარტკის გავლენიან ანალიზს იმისა, როგორ აიგება თვინიერი ფემინური სუბიექტი სილაამზის დისციპლინური პრაქტიკების და ჩვევების მეშვეობით.

თუმცა, პირველი ნაწილი მხოლოდ საფუძველს ამზადებს სტატიის მთავარი არგუმენტისთვის: ბოლო ათწლეულებში გამოჩნდა ახალი და ფუნდამენტურად განსხვავებული მექანიზმები და რაციონალობები, რომლებიც ჩვენს გენდერის ტექნოლოგიებს აყალიბებენ. ჩემი მტკიცებაა, რომ რაკი ამ სუბიექტის აგება ზედმინვნით ისტორიული და ძალიან მყიდვე პროცესია, მასში ცვლილებების აღმოჩენა შესაძლებელია ისეთ მოკლე პერიოდზე დაკვირვებისასაც კი, როგორც უკანასკნელი ოცი ან ოცდაათი წელია. ამ ცვლილებების გასაანალიზებლად, მეორე ნაწილში მივუბრუნდები ფუკოს ლექციებს ლიბერალიზმზე და ნეოლიბერალიზმზე. მე განვავრცობ ფუკოს მოსაზრებას გუვერნმენტალობაზე და კერძოდ ნეოლიბერალურ გუვერნმენტალობაზე, როგორც ახალ ჩარჩოზე დისციპლინირებისთვის, რათა შევისწავლო მართვადი სუბიექტის აგების პროცესი. ბოლო ნაწილში, მე ვამტკიცებ, რომ ამ ჩარჩოს კი არ ჩაუნაცვლებია ის დისციპლინური მექანიზმები, რომლებიც ფემინისტურ სუბიექტს აწარმოებენ, არამედ შეავსო და უფრო ინტენსიური გახადა ისინი. ჩემი მტკიცებაა, რომ ჩვენს საზოგადოებაში დომინანტური ნეოლიბერალური პარადიგმის გაანალიზება გვაძლევს უფრო ამომწურავ კონცეპტუალურ მოდელს, ფემინური სუბიექტის ამჟამინდელი ფორმის აგების პროცესის გასაგებად. მსურს, შემოგთავაზოთ საკამათო მტკიცება, რომ ლიბერალიზმის თითქოსდა მასკულიზურმა კონცეფციამ – სუბიექტი, როგორც თვითდანიტერესებული, ეკონომიკური არსება – უკანასკნელ ათწლეულებში ფემინური სუბიექტიც მოიცვა. ეს კი მოხდა არა ფემინიზმის, არამედ ნეოლიბერალიზმის ტრიუმფის შედეგად.<sup>3</sup>

## ფემინური სუბიექტის დისციპლინური წარმოება

სანდრა ბარტკის გავლენიანი და ხშირად გამოცემული სტატია, „ფუკო, ფემინურობა და პატრიარქალური ძალაუფლება“ (1998) „დისციპლინური ძალადობის“ ფუკოსეული იდეის უშუალოდ ფემინისტური საკითხებისთვის აპროპრიაციის ერთ-ერთი პირველი შემთხვევა იყო.<sup>4</sup> ის გვთავაზობს დამატებელ ანგარიშს იმის თაობაზე, თუ როგორ აიგება თვინიერი, ფემინური სუბიექტი დისციპლინური ჩვევების გაშინაგნების მეშვეობით. საკვანძო მტკიცება, რომელსაც ბარტკი ფუკოსგან ავითარებს არის ის, რომ

ქალების ჩაგვრის ადეკვატური გაგება საჭიროებს აღვიქვათ, რა საზომითაა არა მხოლოდ ქალების ცხოვრება, არამედ მათი უშუალო სუბიექტურობები აგებული დისციპლინური ჩვევების ერთიანობის მეშვეობით.

„დისციპლინა და დასჯაში“ ფუკო ამტკიცებს, რომ დისციპლინა იყო ისტორიულად სპეციფიკური ძალაუფლებრივი ტექნოლოგია, რომელიც მე-18 საუკუნეში გამოჩნდა და რომელიც სხეულის გავლით მოქმედებდა. დისციპლინურ პრაქტიკებში, ჩვევების და ქცევის მოდელები დაიშლებიან და აიგებიან ახალი, თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ამოცანებისთვის უფრო გამოსადეგი გზით. დისციპლინა შედგება სხვადასხვა ტექნიკისგან, რომლებიც მიზნად ისახავენ, გახადონ სხეული ერთდროულად თვინიერიც და სასარგებლოც. მე-18 საუკუნეში, ამტკიცებს ფუკო, პატიმრების, ჯარისკაცების, მუშების და სკოლის მოსწავლეების სხეულები დაექვემდებარნენ ახალი სახის დისციპლინას, რათა ისინი უფრო სასარგებლონი გამხდარიყვნენ მასობრივი წარმოებისთვის და, ამავდროულად, უფრო იოლად გასაკონტროლებლებიც. მათი სხეულების ფუნქციები, მოძრაობები და შესაძლებლობები დაიყო ვიწრო სეგმენტებად, გაანალიზდა დეტალურად და თავიდან შეიკრა უფრო ეფექტური გზით. დისციპლინური ძალადობა არ ასახიჩრებს ან აიძულებს თავის სამიზნეს. ამის სანაცვლოდ, ის დეტალური წვრთნის მეშვეობით, თავიდან ააგებს სხეულს ახალი სახის ჟესტების, ჩვევების და უნარების საწარმოებლად. ინდივიდები, პირდაპირი მნიშვნელობით, გაიშინაგანებენ ძალაუფლების ამოცანებს, რომლებიც მათი არსებობის ნაწილი ხდებიან. ადამიანის სხეული ხდება მანქანა, რომლის ფუნქციონირებაც შეიძლება ოპტიმიზდეს, გამოითვალოს და გაუმჯობესდეს ქცევის სპეციფიკური მოდელის გაშინაგნების გზით.<sup>5</sup>

ბარტკი აღიარებს ფუკოს ანალიზის ძლიერ მხარეებს, მაგრამ ამტკიცებს, რომ ის ბრმაა იმ დისციპლინური [პრაქტიკების] მიმართ, რომლებიც დაქვემდებარების ცალკეულ, ფემინურ მოდალობებს აწარმოებენ. ის აანალიზებს დიეტის და ფიტნეს რეჟიმების მსგავს ჩვევებს, როგორც დისციპლინურ პრაქტიკებს, რომლებიც ქალებზეა თავსმოხვეული, იდეალური ფემინური სხეულის წარმოების მიზნით. ფემინურობის დისციპლინური პრაქტიკები სხეულის ზომის და კონტურების, მისი მადის, პოზების, ჟესტების და სათანადო მოქცევის, ისევე როგორც მისი ყველა ხილვადი ნაწილის იერის, დამღლელ და გამუდმებულ რეგულირებას ეწევიან. ექ-

სპერტული დისკურსები სწორად სიარულის, საუბრის, თმის და კანის მოვლის, მაკიაჟის გაცემების შესახებ ქმნიან ჩვევებს, რომლებიც უფრო ხელსაყრელია თვინიერი ფემინურობის საჭიროებებისთვის: ფემინური მოძრაობა, ისევე როგორც ფემინური სახეები გაიწვრთნება კრძალვის გამოხატვისთვის. ამ დისციპლინური პრაქტიკების რაციონალობის გაგება შესაძლებელია მხოლოდ პატრიარქალური დომინაციის მოდერნიზების გათვალისწინებით. [ეს პრაქტიკები] იქვემდებარებენ ქალებს ნორმალიზაციის, სპეციფიკური სახის სუბიექტად მათი აგების მეშვეობით და არა უბრალოდ მათთვის ძალაუფლების წართმევით. ფემინისტურმა ანალიზმა უნდა ამოიცნოს ფემინური სილამაზის ეს ინდივიდუალური პრაქტიკები, როგორც უფრო ფართო და სისტემატური დისციპლინური რეჟიმის, სექსუალური სუბორდინაციის რეპრესიული და არაეგალიტარული სისტემის ასპექტები. ამ დისციპლინური აპარატის რაციონალობა ცხადია: ის მიზნად ისახავს, გადააქციოს ქალები „კაცების თვინიერ და მორჩილ კომპანიონებად ისევე გარანტირებულად, როგორც არმია ცდილობს ახალწვეულების ჯარისკაცებად ქცევას“.<sup>6</sup>

ბარტკის აწუხებს შეკითხვა, რატომ თანხმდებიან ქალები ამ პრაქტიკებში მონაწილეობას და რატომ ითვისებენ აქტიურად ასეთ მჩაგვრელ და მტკივნეულ ჩვევებს. ის აღიარებს, რომ „იარაღის მუქარის ქვეშ არავინ ნაუყვანიათ ელექტროლიზზე და ისიც შეუძლებელია, რომ არ ვადიაროთ, რამხელა მოტივაციას და მოხერხებულობას ავლენს უამრავი ქალი სილამაზის რიტუალებში დახელოვნების მცდელობისას.“<sup>7</sup> ამ პრაქტიკების დამმორჩილებელ ძალას ბარტკი იმით ხნის, რომ ხაზს უსვამს, როგორ უკავშირდებიან ისინი მძლავრ სანქციებსა და ჭილდოებს. მამაკაცების მიერ დომინირებულ სამყაროში ასეთ პრაქტიკებში მონაწილეობაზე უარის თქმა ნიშნავს, რომ ქალები ძალიან მძიმე სანქციას შეეჩხებებიან: მამაკაცების პატრონაჟის დაკარგვას. ეს შეიძლება გულისხმობდეს ასე საჭირო ინტიმურობის ან თვით ღირსეული ცხოვრების დაკარგვასაც. ამასთან, ქალები ასეთ პრაქტიკებს იღებენ და მათში ერთვებიან ნაკლული სხეულის ყოვლისმომცველი განცდის ფონზე: სირცხვილის განცდა ნორმატიული ფემინური გამოცდილების ცენტრალური კომპონენტია და იმის საზომიც, რამდენად გაიშინაგანა თითველმა ქალმა სხეულის დასაშვებობის პატრიარქალური სტანდარტები. განზოგადებული მამაკაცი-დამკვირვებელი



აყალიბებს ქალის თვითაღქმას სხეულებრივ არსებად და ქალები ხდებიან თვით-მაკონტროლებელი სუბიექტები, რომლებიც დაუღალავ თვითთვალთვალთ არიან დაკავებულნი. მნიშვნელოვანია, რომ ჭილდოები სექსუალურ მიმზიდველობასაც მოიცავს: ფემინური სხეულის ქონა, როგორც წესი, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ქალის მიერ საკუთარი თავის სექსუალურად მსურველ და სასურველ სუბიექტად განცდისთვის. ტკივილი, შეხუთულობა, ნახევრად შიმშილი და გამუდმებული თვითთვალთვალთ უფრო სასურველი არჩევანია, ვიდრე დესექსუალიზაცია და სოციალურად აღიარებული იდენტობის დაკარგვა.

ამგვარად, ნაცვლად იმისა, რომ ცხადი იძულების შედეგად მიიღონ დისციპლინური პრაქტიკები ან თავისუფლად აირჩიონ ისინი, როგორც თვითგამოხატვის სასურველი საშუალებები, ქალები გაიშინაგნებენ მათ როგორც ნორმატიულ ჩვევებს, რომლებიც მათი გენდერული იდენტობის არსებითი ნაწილები ხდებიან. ჩვევის, როგორც გენდერული ჩაგვრის ყოველდღიური საფუძვლის განმმართველი ძალა სწორედ ისაა, თუ როგორ ქმნის ის კონცეპტუალურ ხიდს იძულებას და თავისუფალ ნებას, გენდერის ბუნებაზე დებატების ამ ორ შეურიგებელ უკიდურესობას შორის. გენდერის ფემინისტურმა აღწერებმა სცადეს დაპირისპირებოდნენ ესენციალიზმის ფორმებს, მაგრამ ისინი ასევე უარყოფდნენ გენდერულ ვოლუნტარიზმსაც: ქალებად არ იბადებიან, ქალები ხდებიან, მაგრამ არა გაცნობიერებული არჩევანის შედეგად. ჩვევა აყალიბებს ნორმატიულ მექანიზმს, რომელიც აწარმოებს არსებობის სტაბილურ და გამძლე მოდელს და ქმნის ილუზიას, რომ არსებობს მარადიული გენდერული ბირთვი ან ბუნება. ეს ჰგავს მეორე ბუნებას, რომელიც, პირველი ბუნებისგან განსხვავებით, უშვებს ისტორიულ და კულტურულ ვარიაციასა და ცვლილებას და ამავდროულად, შეითვისებს იმ მუდმივობასა და სტაბილურობას, რომელიც გენდერული იდენტობის ჩვენული განცდისთვისაა დამახასიათებელი.<sup>8</sup>

2002 წელს გამოცემულ სტატიამ „ტანჯვა სილამაზისთვის“ ბარტკი იმეორებს იმავე ცენტრალურ არგუმენტებს, მაგრამ ასევე ცდილობს, თავისი ადრინდელი სტატიის ზოგიერთ კრიტიკას გამოეხმაუროს. ის კვლავაც ამტკიცებს, რომ დისციპლინური პრაქტიკები მნიშვნელოვანწილადაა ჩართული იმ პროცესში, რომლის შედეგადაც, ქალის სხეული „სათანადოდ“ ფემინურ სხეულად იქცევა. თუმცა, ახლა აღიარებს, რომ ადრინდელ

სტატიაში ორი საკითხი არასრულად იყო განხილული. პირველ რიგში, ბარტკის სურს, უპასუხოთ კრიტიკას, რომ მან ნაკლულად განიხილა თეორიულად სიამოვნება, რომელსაც ქალები იღებენ თავიანთი თავის სათანადოდ ფემინურ სუბიექტად ქცევისას, და, ამიტომაც, უფრო დეტალურად განიხილავს ამ სიამოვნებათა ბუნებას. მეორე საკითხი, რომელიც ბარტკიმ ყურადღების მიღმა დატოვა, ამ დისციპლინურ პრაქტიკებთან დაკავშირებული ფსიქიკური არაერთმნიშვნელოვნებაა. უნდა გავაცნობიეროთ, რომ სხეულის დისციპლინური [პრაქტიკები] საკუთარ თავშივე კომპლექსურები არიან და არაერთმნიშვნელოვან საზრისებს ატარებენ.<sup>9</sup>

ამ დამატებებით ბარტკის მძლავრი ანალიზი კიდევ უფრო ნიუანსირებული ხდება, აღიარებს რა ჩაგვრის იმ მექანიზმების კომპლექსურობას, რომლებიც ფემინური სუბიექტების აგებაშია ჩართული. თუმცა, მე მსურს, დავსვა შეკითხვა, ხომ არ საჭიროებს მისი ანალიზი განახლებას ფემინური სუბიექტის აგების გზებში [მომხდარი] იმ ფუნდამენტური ცვლილებების ფონზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ სტატიის ორ ვერსიას შორის შუალედში. ეს ორი სტატია ემთხვევა საინტერესო მომენტებს – 1988 და 2002 წლებს. ბევრი ფემინისტი მოაზროვნე მიიჩნევს, რომ მათ შორის შუალედი ფემინიზმზე მნიშვნელოვანი საპასუხო დარტყმის წლებია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს ის პერიოდია, როცა ნეოლიბერალური ჰეგემონია მტკიცედ დამკვიდრდა როგორც აშშ-ში, ისე ევროპაში. თუკი ვაღიარებთ ფუკოს საკვანძო მტკიცებას ძალაუფლების ფორმებსა და სუბიექტის ფორმებს შორის არსებული, აღმოუფხვრელი კავშირის თაობაზე, მაშინ მმართველობის ტექნიკების ამ ცვლილებას აუცილებლად უნდა გამოეწვია ცვლილება სუბიექტის აგებაში. შემდეგ ნაწილში ვაჩვენებ, რომ ლიბერალიზმის ფუკოსეული ანალიზი გამოირჩევა იმით, რომ ფუკო ლიბერალიზმს განიხილავს არა როგორც, პირველ რიგში, პოლიტიკურ თეორიას, არამედ როგორც მმართველობით პრაქტიკას, რომელიც აგებს ცალკეული ტიპის სუბიექტს, როგორც თავის აუცილებელ თანხვედრას. მისი კრიტიკული ანალიზი აჩვენებს, რომ ნეოლიბერალური გუვერნმენტალობა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც სუბიექტურობის წარმოების ცალკეული სახე: ის აწარმოებს ეკონომიკურ სუბიექტს, რომლის განმსაზღვრელი ტენდენციები, პრეფერენციები და მოტივაციები განსხვავდებიან იმათგან, რომლებიც დისციპლინური თუ სუვერენულობის საზოგადოების პოლიტიკურ ან სამართლებრივ მოქალაქეს განსაზღვრა-

ვენ.<sup>10</sup> ნეოლიბერალური სუბიექტი გაიგება როგორც ატომისტური ინდივიდი, რომლის ბუნებით თვითდანიტერესებას და ეკონომიკური ჯილდოებისთვის კონკურენციაში ჩართვისკენ მისწრაფებას ხელი უნდა შევუწყოთ და გავაძლიეროთ.

## ნეოლიბერალური გუვერნმენტალობა

ფუკოს ლექციების [ციკლი] „ბიოპოლიტიკის დაბადება“, რომელიც მან კოლფუ დე ფრანსში წაიკითხა 1979 წელს, ფოკუსირდება ლიბერალური და ნეოლიბერალური გუვერნმენტალობის დაბადებაზე; პოლიტიკური რაციონალობის იმ ფორმების, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ თანამედროვე სახელმწიფოს მმართველობაზე. ფუკოს მოსაზრებით, ლიბერალური გუვერნმენტალობა უპირისპირდება იმ დამთრგუნველი დისციპლინური საზოგადოების იდეალსა და პროექტს, რომელშიც ინდივიდებში ჩაქსოვილი ლეგალური ქსელი ნორმატიულმა მექანიზმებმა ჩაიკდეს ხელთ და შინაგანად განავრცეს.<sup>11</sup> ამიტომაც, ფუკოს ლექციები ლიბერალიზმზე და ნეოლიბერალიზმზე შეგვიძლია წავიკითხოთ როგორც ერთგვარი თვითკრიტიკა: მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინური ძალაუფლების [ცნება] ფუკოს ძალიან გამოადგა ჩვენს საზოგადოებაში ჯერაც მოქმედი, სუბიექტის აგებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მექანიზმებისგან ზოგიერთის გამოსააშკარავებლად, ბევრი სხვა მექანიზმის გასაგებად ის შესაფერისი არ გამოდგა. ფუკოს აწუხებდა გუვერნმენტალობის ნეოლიბერალური ფორმების აღზევება, რაც დამახასიათებელი იყო მისი ისტორიული გარემოსთვის და ეს ლექციები უნდა წავიკითხოთ როგორც პასუხი ამ წუხილზე (BB, 192).

ფუკოს სამიზნე იყო „სახელმწიფოს ფობია“ რომელიც მისი დროის სოციალურ კრიტიკაში დომინირებდა. მსგავსად მისი ამოცანისა წიგნში „სექსუალობის ისტორია, ტომი I“, სადაც ის მიზნად ისახავდა, ეჩვენებინა, რომ მგზნებარე ძალისხმევა ჩვენი რეპრესირებული სექსუალობის გადარჩენისთვის ფუნდამენტურად იყო გზას აცდენილი, ფუკო ამჯერადაც ცდილობს აჩვენოს, რომ სოციალური და პოლიტიკური კრიტიკის ყველაზე პოპულარული ფორმები სინამდვილეში არასწორ მტერს უტევენ. „ჩვენს

რეალობაში, ამჟამად, პრობლემა არის... არა იმდენად სახელმწიფოს ზრდა... რამდენადაც მისი შემცირება“ [BB 192].<sup>12</sup> ფუკოს [აზრით], პრობლემა არ იყო სახელმწიფოს უსაზღვრო ზრდაში, მის ყოვლისშემძლეობაში ან მის გამუდმებულ და ერთიან ექსპანსიაში. საფრთხე ის არ იყო, რომ სოციალური დაცვის – ან იმ ადმინისტრაციული აპარატის, რომელსაც ის ეფუძნებოდა – უსაზღვრო ექსპანსია აუცილებლად მიგვიყვანდა ნაცისტურის ან სტალინისტურის მსგავს ტოტალიტარულ სახელმწიფომდე. „ყველა, ვინც იზიარებს დიდი სახელმწიფოს ფობიას, უნდა იცოდეს, რომ დინების მიმართულებით მიცურავს და რომ, სინამდვილეში, უკვე წლებია, სახელმწიფოს არსებითი შემცირება მიმდინარეობს“. [BB 191]

თუმცა, ფუკო ცხადს ხდის, რომ მისი მიზანი არაა, აღწეროს, როგორ ჩაანაცვლეს გუვერნმენტალობის მექანიზმებმა დისციპლინური მექანიზმები, რომლებმაც, იგულისხმება რომ, იურიდიულ-სამართლებრივი მექანიზმები ჩაანაცვლეს. ფუკოს გადასვლა დისციპლინიდან გუვერნმენტალობაზე არის არა კონცეპტუალური ჩანაცვლება, არამედ განვრცობა. ის ამტკიცებს, რომ კვლავაც შესაძლებელია ამოვიცნოთ და გავაანალიზოთ ჩვენს საზოგადოებაში მოქმედი, თვალთვალისა და ნორმალიზაციის დისციპლინური მექანიზმების ინტენსიფიკაცია.<sup>13</sup> თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია, ამოვიცნოთ და გავაანალიზოთ სავსებით განსხვავებული ლოგიკა ან რაციონალობა, რომელიც ძალას იკრებს, მაგრამ რომელსაც ერთობ გრძელი ფესვები აქვს გადგმული ტრადიციულ ლიბერალიზმში. ჩემი არგუმენტია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნეოლიბერალური გუვერნმენტალობა კვლავაც გადაჭაჭვულია ძალაუფლების დისციპლინურ და სუვერენულ ფორმებთან, მან ასევე წამოიწყო მართვის პრაქტიკების მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია. როგორც ფუკო აღნიშნავს, ჩვენ ვაწყდებით ახალ პრობლემას, „ტრანზიციის რაციონალობის ახალ ფორმაზე, როგორც მმართველობის რეგულირების მანიშნებელზე“. [BB, 312]

იმისათვის, რომ ეს ახალი რაციონალობა გაეგო და გაეანალიზებინა, ფუკოს, სახასიათოა, რომ მოუწია, მის გენეალოგიას გაჰყოლოდა. ფუკო ამოიცნობს მის გამოჩენას მე-18 საუკუნეში: იდეალური საზოგადოება უკვე აღარ იყო ყოვლისშემძველი დისციპლინის პანოპტიკური საზოგადოება. იდეალურ საზოგადოებას უკვე აღარ სჭირდებოდა ზოგადი ნორმალიზაციის მექანიზმი და იმათი ექსკლუზია, ვისი ნორმალიზებაც შეუძლებელი

იყო. რაც ამის სანაცვლოდ გამოჩნდა, იყო იდეა ან პროგრამა ლიბერალური საზოგადოებისა, რომელშიც მმართველობა გადააზრებულია პრაქტიკად, რომელიც უნდა ორგანიზდეს, რაციონალიზდეს და შეიზღუდოს ეკონომიკის პრინციპების თანახმად: სოციალური სივრცე გაიხსნა ცვალებადი პროცესებისთვის და უმცირესობის პრაქტიკები უფრო ადვილად მოთმენადი გახდა, რაკი ამიერიდან სახელმწიფოს ძირითადი ვალდებულება ეკონომიკის მხარდაჭერა იყო. თუმცა ეს არ გულისხმობდა სახელმწიფოს ჩარევის დასასრულს; ეს საჭიროებდა მმართველობითი პრაქტიკის რაციონალობის ფუნდამენტურ ცვლილებას. მმართველობითი ქმედება ახლა უნდა მიმართულიყო თამაშის წესებისკენ და არა თავად მოთამაშეებისაკენ. ახლა, გამოჩნდა „ინტერვენციის ტიპი, რომელიც მიემართებოდა გარემოს, ინდივიდების შინაგანად დამორჩილების მაგივრად“ [BB 312].

ეს არ გულისხმობდა ინდივიდუალურ ქცევაზე გავლენის მოხდენაზე მიმართული ტექნოლოგიების, მაგალითად, დისციპლინური ტექნოლოგიების სრულ გაქრობას. მაგრამ ნიშნავდა, რომ შესაძლებელი იყო ქცევის გარკვეული დონის ამოცნობა ეკონომიკურ ქცევად და გაკონტროლება ამის მიხედვით. მიიჩნეოდა, რომ სუბიექტები რეაგირებენ არა მხოლოდ სოციალურ სანქციებსა და ჯილდოებზე, არამედ, ასევე, და უპირველესად, ეკონომიკურ მოგებებსა და დანაკარგებზე.

ამრიგად, ამტკიცებს ფუკო, ახალი ლიბერალური გუვერნმენტალობის დაბადება აუცილებელს ხდიდა ეკონომიკური სუბიექტის, როგორც თავისი თანმხვედრის, დაბადებას. ლიბერალურ გუვერნმენტალობაში homo economicus მოქმედებს როგორც საკვანძო ელემენტი ძალაუფლების განხორციელებისას. ფუკოს შეტევა ლიბერალიზმზე არის მტკიცება, რომ სინამდვილეში, ლიბერალური სუბიექტი არ არის თავისუფალი ატომი შესაძლო მმართველობის ყოველგვარი პირობების, ღონისძიებების, კანონმდებლობების და აკრძალვების პირისპირ. ის არ არის ბუნებრივი არსება ქცევის წინასწარმეტყველებადი ფორმებით და გაანგარიშებადი ინტერესებით. ამის სანაცვლოდ, ის უნდა გავიგოთ, როგორც სუბიექტის კონკრეტული ისტორიულად აგებული ტიპი, რომელმაც შესაძლებელი გახადა, რომ მმართველობის ხელოვნება განვითარებულიყო ახალი, ეკონომიკის პრინციპების თანახმად. ამ სუბიექტში ჩაშენებული ქცევები მიზნად აღარ ისახავენ აქციონ ის თვინიერ და ეფექტურ მანქანად; მათი მიზანია, ააგონ ის როგორც მომხმარებელი და მენარმე.

ეკონომიკური სუბიექტის ფუკოსეული გენეალოგია იწყება ბრიტანელი ემპირისტებით – ლოკით და ჰიუმით – და სუბიექტზე მათი ანგარიშებით. ფილოსოფიის ისტორიის ფუკოსეული გადაკითხვა გვთავაზობს მოსაზრებას, რომ სწორედ ამ უკანასკნელთა თეორიები სუბიექტზე – და არა ვთქვათ, კარტეზიანული სუბიექტი – არის ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიული ტრანსფორმაცია დასავლურ ფილოსოფიაში შუა საუკუნეებიდან მოყოლებული.<sup>14</sup> რასაც ბრიტანული ემპირიზმი პირველად შემოუძღვება დასავლურ ფილოსოფიაში „არის სუბიექტი, რომელიც არ არის განსაზღვრული თავისი თავისუფლებით, ან სულისა და სხეულის დაპირისპირებით, ანდა ბინიერი სანყისით ან ბირთვით, რომელიც მეტად ან ნაკლებადაა დალდასმული დაცემით ან ცოდვით და, [ამის სანაცვლოდ] იგი წარმოგვიდგება როგორც ინდივიდუალური არჩევანის სუბიექტი; არჩევანის, რომელიც არარედუცირებადნი და არტრანსფერირებადნი არიან“ [BB271-72].

„ინტერესის“ საკვანძო ცნება მონიშნავს არარედუცირებადი და არატრანსფერირებადი ინდივიდუალური არჩევანის პრინციპს და მისი გამოჩენა უმნიშვნელოვანესი გარღვევაა დასავლურ აზროვნებაში [BB 273]. პოლიტიკურ პრაქტიკაში, ის მიანიშნებს ინტერესის სუბიექტის, როგორც მმართველობის ხელოვნების ძირითადი თანმხვედრის გამოჩენაზე.

ფუკო შემდგომ მკაფიოდ მიჯნავს ერთმანეთისგან უფლებების სუბიექტად და ინტერესების სუბიექტად აღქმულ ლიბერალურ სუბიექტს. ლიბერალური სუბიექტი პოლიტიკურ აზროვნებაში, ტრადიციულად, გაიგება როგორც განსაზღვრული, უპირველეს ყოვლისა, იმ ფაქტით, რომ ბუნებითი უფლებები აქვს. ფუკო ამტკიცებს, რომ ამ აქცენტირებას შეცდომაში შევყავართ, რადგანაც [ეს სუბიექტი] ზუსტად ისევე არის განსაზღვრული იმ ფაქტით, რომ მან ხელი მოაწერა ამ უფლებების შეზღუდვას და დათანხმდა მათზე უარის თქმის პრინციპს. ამის საპირისპიროდ, ინტერესის სუბიექტად გაგებულ ლიბერალურ სუბიექტს არასდროს მოუწოდებენ, დათმოს თავისი ინტერესები. ლიბერალური გუვერნმენტალობის საკვანძო პრინციპი ის კი არაა, რომ თითოეულ ინდივიდს შეუძლია მისდიოს თავის ინტერესს, არამედ ის, რომ აბსოლუტურად უმთავრესია, რომ მან მართლა მისდიოს მას. მნიშვნელოვანია, რომ ლიბერალური სუბიექტი არის „უხილავი ხელის“ თანმხვედრიც – ეკონომიკური სისტემის, რომელიც უბიძგებს მას, იფუნქციონიროს როგორც ინდივიდუალური ინტერესის სუბიექტმა იმ



ტოტალობის შიგნით, რომელიც მას უსხლტება და რომელიც მაინც აფუძნებს მისი ეგოისტური არჩევანის ტოტალობას. ასეა, ვინაიდან იმისათვის, რომ გარანტირდეს კოლექტიური ეკონომიკური სარგებელი – ადამიანების ყველაზე დიდმა რიცხვმა მიიღოს ყველა მეტი სიკეთე – არამხოლოდ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც, რომ თითოეული მოქმედი პირი ბრმა იყოს ამ ტოტალობისადმი და მისდევდეს მხოლოდ საკუთარ ინტერესს. კოლექტიური სიკეთე არ უნდა იყოს გუვერნმენტალობის ამოცანა, რადგანაც, პარადოქსულად, მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მისი მიღწევა [BB, 278]<sup>15</sup>

რომ შევაჭამოთ, ლიბერალური სუბიექტი არის ინტერესის არჩანაცვლებადი და არარედუციურებადი ატომი. არსებითად, ის არის ვილაც, ვინც ყოველთვის მისდევს თავის საკუთარ ინტერესს და ვისი ინტერესიც იმგვარია, რომ სპონტანურად თანხვდება სხვების ინტერესს. ამ გააზრების გავლენა ამჟამინდელ ნეოლიბერალურ გუვერნმენტალობაზე უზარმაზარია. ადამ სმიტიდან და დევიდ ჰიუმიდან ორასი წლის შემდეგ, გარი ბეკერი, ჩიკაგოს სკოლის ერთ-ერთი წამყვანი ეკონომისტი, მას მიიჩნევდა ადამიანური ქცევის ყველა ასპექტის გაანგარიშებადობის გარანტიად: homo economicus სისტემურად, არა შემთხვევითი გზით, რეაგირებს გარემოში ცვლადების მოდიფიკაციებზე. ბეკერის გავლენიანი ნაშრომები ეკონომიკაზე აჩვენებს, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, რაციონალურია ქცევების მთელი სპექტრი, მათ შორის ისეთი ფენომენები, როგორცაა მაგალითად ალტრუიზმი და დამოკიდებულება, რომლებიც საზოგადოდ მიიჩნეოდა გამონაკლისად წმინდად ეკონომიკური ინტერესებიდან.<sup>16</sup> თუკი ეკონომიკურ რაციონალობას საკმარისად ფართოდ განვსაზღვრავთ, ინდივიდები ყოველთვის ანიჭებენ უპირატესობას იმას, რასაც საკუთარ ინტერესად მოიაზრებენ. მეტიც, მათი ქმედებებიდან ბევრი ეკონომიკურად განხილვადი ხდება, როგორც ადამიანური კაპიტალის გაზრდის მცდელობა. ბეკერის ინოვაციური იდეა, ადამიანური კაპიტალი, ისეთ ქცევით არჩევანს, როგორცაა განათლების მიღება ან სამსახურში ტრენინგები, განმარტავს როგორც ადამიანებში ჩადებულ ინვესტიციას. ადამიანები განავრცობენ თავიანთი, როგორც მწარმოებლების და მომხმარებლების შესაძლებლობებს საკუთარ თავში ინვესტირებით. ამის გაკეთების ბევრ გზას შორისაა ისეთი აქტივობები, როგორცაა სწავლება, ტრენინგი, სა-



მედიცინო დახმარება, ვიტამინების მიღება, ეკონომიკური სისტემის შესახებ ინფორმაციის მოძიება და მიგრაცია.<sup>17</sup> ამ ინვესტიციებს შედეგად მოჰყვება არა უბრალოდ ინდივიდის კეთილდღეობის რაღაც არგანგარიშებადი ზრდა, არამედ მისი ეკონომიკური პერსპექტივების გაანგარიშებადი ზრდაც. ადამიანური კაპიტალი შედგება როგორც თანდაყოლილი, ისე შეძენილი ელემენტებისგან. თუკი თანდაყოლილი ელემენტები ჩვენს კონტროლს მიღმა არიან, შეძენილი ელემენტების შემთხვევაში, ასე არ არის. თუკი ჩვენს თავებში ინვესტიციას ჩავდებთ, გავხდებით უნარის მანქანები, რომლებიც მოგებას ანარმოებენ.<sup>18</sup> ამგვარად, ნეოლიბერალური გუვერნმენტალობა აღრევს და ანაცვლებს ოპოზიციას „მშრომელი – კაპიტალისტი“, მიზნად ისახავს რა ისეთი საზოგადოების აგებას, სადაც ყველა კაპიტალისტია, საკუთარი თავის მენარმე.<sup>19</sup>

ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკური სუბიექტი მართვადია, ოღონდ იმისგან განსხვავებული მექანიზმებით, რომლებითაც დისციპლინური საზოგადოების თვინიერი სუბიექტი იმართებოდა; ის არის ვიღაც, ვინც ყოველთვის მისდევს თავის ინტერესს და ვინც – არა ამის მიუხედავად, არამედ სწორედ ამის გამო – უაღრესად მართვადია.

ის სისტემატურად და წინასწარმეტყველებადი გზით რეაგირებს მის გარემოში ხელოვნურად განხორციელებულ სტრატეგიულ მოდიფიკაციებზე. ეს სუბიექტი იმ გუვერნმენტალობის თანმხვედრია, რომელმაც უნდა იმოქმედოს არა ინდივიდის სხეულზე, არამედ მის გარემოზე და სისტემატურად შეცვალოს ამ გარემოს ცვლადები იმგვარად, რომ მაქსიმალიზდეს ეკონომიკური კონკურენცია. ამ გუვერნმენტალობის თანახმად, ეკონომიკურ სტიმულებს, რომლებსაც თავისუფალი ბაზარი წარმოშობს, ავტომატურად მოჰყვება თან მაქსიმალური ეფექტურობა, კეთილდღეობა და სიმდიდრე [BB 270-71]. ფუკო ხაზს უსვამს, რომ ამის გამო, ლიბერალურ გუვერნმენტალობას არ უწევს, დაეყრდნოს ნორმალიზაციის, ექსკლუზიის და თვალთვალის ფართომასშტაბიან, პანოპტიკურ მექანიზმებს. მმართველობითი ქმედება, პირველ რიგში, უნდა მიემართოს თამაშის წესებს, ნაცვლად თავად მოთამაშეების დისციპლინირებისა.

დღეს, ბევრი კომენტატორი მიიჩნევს 1979 წელს – როცა ფუკომ თავისი ლექციების ციკლი წაიკითხა – ევროპასა და ამერიკაში ნეოლიბერალური ეკონომიკის დომინაციის ფორმალური პერიოდის დასაწყისად.<sup>20</sup> მისი

მზარდი გამოყენებიდან 30 წლის შემდეგ, ფუკოს თემა და მისი გააზრებები შორსმჭვრეტელურად მოსჩანს, ლამის წინასწარმეტყველურადაც. ბოლო 30 წელიწადში, ჩვენი გამოცდილებებისგან ბევრი ასახავს ნეოლიბერალური გუვერნმენტალობის და მისი შესაბამის ეკონომიკური სუბიექტის, როგორც საკუთარი თავის მენარმის, ახალ ჰეგემონიას. როგორც Trent Hamann შენიშნავს, ნეოლიბერალიზმის არაერთმა კრიტიკოსმა აღწერა თვითდახმარების და პირადი ძალაუფლების ტექნოლოგიების მზარდი გავრცელება. ეს ტექნოლოგიები მოიცავს როგორც ძველ, „იფიქრე მდიდარივით და გამდიდრდი“ სკოლას, ისე ახალ ტექნიკებს, რომლებიც გთავაზობენ მეტ კონტროლს ყველაფრის მენეჯმენტზე, საკუთარი თავიდან – სიბრაზემდე.<sup>21</sup> იმის უმეტესობამ, რაც ადრე სოციალურად და პოლიტიკურად მიიჩნეოდა, გადაინაცვალა პირად ან პრივატულ სივრცეში, სადაც მას უნდა მიეხედოს ნებაყოფლობითი ქველმოქმედების, ბაზრის უხილავი ხელის ან თვითშეფასების ამაღლების მეშვეობით.

იმის გათვალისწინებით, რომ ნეოლიბერალური გუვერნმენტალობა ასე დომინანტური და ყოვლისმომცველი გახდა თანამედროვე საზოგადოებაში, ახლა ვიკითხავ, რა შედეგები მოჰყვა მას ფემინური სუბიექტის აგების [პროცესში]. შეუძლია ძალაუფლების განხორციელების ამ მოდელს გააუმჯობესოს ჩვენი ცოდნა ფემინურ სუბიექტზე? თუკი თვინიერი ფემინური სხეულები დისციპლინური პრაქტიკების თანმხვედრია, რა ტიპის ფემინური სუბიექტია მმართველობის ნეოლიბერალური პრაქტიკების თანმხვედრი?

## ფემინიზმის ნეოლიბერალური სუბიექტი

ეჭვგარეშე ჩანს, რომ ფემინური სილამაზის ნორმატიული პრაქტიკები, რომელთაც ბარტკი აღწერს, მნიშვნელოვნად გაიზარდა რაოდენობითაც და მრავალფეროვნებითაც, 1988 წლის შემდეგ. კოსმეტიკის ინდუსტრია მსოფლიოს მასშტაბით უზარმაზარი ზრდის შესახებ იტყობინება და ბევრი მულტინაციონალური კოსმეტიკური კომპანია შევიდა ახალ ტერიტორიებზე, მაგალითად, ჩინეთში. ტექნოლოგიური ინოვაციები კოსმეტიკურ ქირურგიაში, ისევე როგორც ბოტოქსის მსგავს დაბერების საწინააღმდეგო ტექნიკებში, ფართოდ ხელმისაწვდომი გახდა და ბევრი ქალის სილამა-

ზის რუტინის ნაწილია. კოსმეტიკის, ისევე როგორც ქალის სხეულისთვის ფორმის მიცემის სხვა ტექნიკების, მაგალითად დიეტის, ვარჯიშის და თმის მოცილების სამიზნე აუდიტორიაში უკვე ხვდებიან ძალიან ახალგაზრდები და ძალიან ასაკოვანები. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ დისციპლინური ტექნიკები, რომელთაც ბარტკი ასე ჯეროვნად აღწერს და აღრიცხავს, რაიმე მხრივ მიიღია ან თუნდაც მძაფრი კრიტიკის ქვეშ მოექცა თანამედროვე საზოგადოებაში.

მსურს, ვიდავო, რომ უკანასკნელ ათწლეულებში მოხდა ცვლილება იმ რაციონალობაში, რომელიც ამ ტექნიკებს უდევს საფუძვლად და ეს მოხდა ნეოლიბერალური, ეკონომიკური სუბიექტის აღმგებლასთან ტანდემში. ეს ცვლილებები შეგვიძლია აღვწეროთ და აღვრიცხოთ სხვადასხვაგვარად – მაგალითად, ვიზუალური კულტურის ან სოციალური მონაცემების გაანალიზებით. შევეცდები, ჩემი არგუმენტის საილუსტრაციოდ, მივუბრუნდე თავად ფემინისტურ აზროვნებას და პრაქტიკას, როგორც ამ ცვლილებების ამსახავს. ნატაშა უოლტერსის წიგნი „ახალი ფემინიზმი“ 1998 წელს დაიბეჭდა და ფართო, მენისტრიმულ აუდიტორიაზე იყო გათვლილი<sup>22</sup>. როგორც სათაურიც მიანიშნებს, წიგნი ცდილობს ფემინიზმის და ფემინურობის თაობაზე იმ იდეების არტიკულირებას, რომლებიც დომინანტური გახდა 80-იანებისა და 90-იანების განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლვე შეიძლება წამოიჭრას შენიშვნა, რომ ეს წიგნი მხოლოდ ერთი ხმაა თანამედროვე აზროვნების კაკაფონიაში და შესაბამისად, ვერ ასახავს რაიმე ფართო ცვლილებას დამოკიდებულებებში, მე მაინც მსურს, იმ აზრზე დავრჩე, რომ წიგნი მართლაც მოიხელთებს რაღაც არსებითს ფემინურობის თაობაზე ჩვენი იდეების იმ კულტურული და პოლიტიკური ტრანსფორმაციისგან, რომელიც ბოლო ათწლეულებში მოხდა. უოლტერსი თავიდანვე ცხადად ამბობს, რომ არ ცდილობს ახალი ფემინიზმის გამოგონებას. წიგნი არ არის ახალი თეორიული არგუმენტის, რომელსაც ის წარმოადგენს. უოლტერსი უბრალოდ ცდილობს, აღწეროს ის იდეები ფემინიზმის და ფემინურობის შესახებ, რომლებიც პოლიტიკაში, ჟურნალისტიკაში, სატელევიზიო სერიალებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოჩნდა 80-იანებსა და 90-იანებში.

ახალი ფემინიზმი, რომელსაც უოლტერსი აღწერს, მგზნებარედ მატერი-ალისტურია. ეს არის გამარჯვების ტრიუმფალური ისტორია, რომელიც არ

მოითხოვდა მსხვერპლთა რედუქციული ენით. უოლტერსი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ახალი ფემინისტები არ არიან გაბრაზებულები, დაბოლმილები ან სექსუალურად უფანტაბიოები. ქალს შეუძლია იყოს ფემინისტი და მაინც გადაიხადოს თეთრი ქორწილი<sup>23</sup>, იყიდოს პორნოგრაფია, ჩაიცვას დიზაინერული ტანსაცმელი ან სულაც იყოს სექს-მუშაკი ან პორნოვარსკლავი, თუკი ეს მისი არჩევანია. სხვა სიტყვებით, არ აქვს მნიშვნელობა, როგორ იცვამენ, როგორ საუბრობენ, როგორ კავდებიან სიყვარულით ქალები, თუ ისინი თავიანთ ინტერესებს მისდევენ. ამ ფემინიზმის გმირები არიან მადონა და მარგარეტ ტეტჩერი, ძალაუფლების ფემინური სახეები 80-იანებში. მადონა მოდას და კოსტიუმების ცვლას იყენებდა არა თავისი უძალობის, არამედ სექსუალური და ფინანსური დამოუკიდებლობის დემონსტრირებისთვის.<sup>24</sup> მარგარეტ ტეტჩერისთვის პრობლემა არ იყო იერარქიებთან გამკლავება და თავისი ეგოიზმის თუ ოპორტუნიზმის გამომჟღავნება. მან გვაჩვენა ძალაუფლებით თავისი ტკბობა და ტანჯვა, როცა ძალაუფლებას ჩამოაშორეს. ტეტჩერის გამო, ქალებს აღარ უნევთ ძველებურად ნუხილი ხელების გასვრაზე, რადგან ახლა უკვე ცხადია, რომ ბევრი კარგი რამის გაკეთება შეიძლება ბინძური ხელებით, რომლებიც ამოსვრილია „მიზანსწრაფულობის მტვერსა და ფულის მაზუთში“<sup>25</sup>. ფემინიზმის ნამდვილი პრობლემები შეეხება პირად თავისუფლებას, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და პროფესიულ წარმატებას დასაქმების ყველა არეალში. ახალი ფემინისტები არიან ქალები, რომელთაც „[აქვთ] ფული, არიან ხარბები და სიყვარულით აღწერენ [თავიანთ] დიზაინერულ კოსტიუმებს“.<sup>26</sup>

უოლტერსი პატივს მიაგებს ბარტკის ანალიზის მსგავს ფემინისტურ კრიტიკასაც, აღნიშნავს რა, რომ ოდინდელი ფემინისტები ამტკიცებდნენ, რომ ქალების ჩაგვრა გადის მათ სხეულებზე, ტანსაცმელზე და მორთულობაზე. თუმცა ის ამტკიცებს, რომ საქმე ასე აღარ დგას. მაგალითად, კავშირი, რომელსაც ბარტკი ავლებს ფემინური სილამაზის პრაქტიკებსა და ძალაუფლებისგან განძარცვას შორის, ყალბია. ძაფები, რომლებიც ოდესღაც ქალების მორთულობას ქალებისავე უუფლებობასთან აკავშირებდა, გადაჭრილია: ერთი მეორეს აღარ იწვევს, აღარ იკვებება მისით და უცილობლადაც აღარ მოითხოვს მის არსებობას<sup>27</sup>. თუ სამოსი ხელს არ უშლის მათ რამის გაკეთებაში – როგორც, მაგალითად მე-19 საუკუნეში მოდური კრინოლინები ანელებდნენ ქალებს – მაშინ უნდა შევწყვიტოთ

ქალების შერცხვენა ფემინური იერის ქონის სურვილის გამო. რაც უფრო შორს წავალთ თანასწორობისკენ მიმავალ გზაზე, მით უფრო მშვიდად უნდა მოეკიდონ ფემინისტები ცალკეული ქალების გადანყვეტილებას, დრო ფეხების ვაქსინგზე ან ფრჩხილების მოხატვაზე დახარჯონ.<sup>28</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ამ მოსაზრებათაგან ზოგიერთი შეგვიძლია უოლტერსის პირად შეხედულებებს მივანეროთ, მსურს ვიდავო, რომ [მისი] წიგნი მაინც ეხმიანება ფემინურობის იდეის ზოგიერთ ტრანსფორმაციას, რომელიც 80-იანების შემდგომ მოხდა. ნაცვლად იმისა, რომ დაპირისპირებოდა სუბიექტის ნეოლიბერალურ კონცეფციას, რომელიც იმდროინდელი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დისკურსებიდან და პრაქტიკებიდან ამოიზრდებოდა, 90-იანების ახალი ფემინიზმი მას შეესაბამა. ფემინური სუბიექტი სულ უფრო მეტად აღიქმებოდა ინტერესის ეგოისტურ სუბიექტად; სუბიექტად, რომელიც თავისუფალ არჩევანს აკეთებს რაციონალურ, ეკონომიკურ გათვლებზე დაყრდნობით. ადრეულ ფემინისტურ მოთხოვნებს პოლიტიკური უფლებების თაობაზე ხშირად უკუაგდებდნენ იმ საფუძვლით, რომ ქალების არ ჰქონდათ თავიანთი ქმრებისგან და მამებისგან განსხვავებული პოლიტიკური ინტერესები და ამიტომაც არაფერში სჭირდებოდათ პოლიტიკური წარმომადგენლობა. მიუხედავად იმისა, რომ ახლა, უკვე თითქმის ერთი საუკუნე იყო გასული, რაც ქალებს თანასწორი უფლებები ჰქონდათ, იდეა, რომ მათი ყველა ქმედება განპირობებულია თვითინტერესით – ყველა სხვა ღირებულების ცხადი გამორიცხვის ხარჯზე – ლიბერალურ პოლიტიკურ პარადიგმაში არ გვხვდებოდა ან სულაც, სტრუქტურად შეუძლებელი იყო. როცა მარგარეტ ტეტჩერი ძალაუფლებაში მოვიდა, ის, საზოგადოდ, მაინც „ბუნებრივი ქალურობიდან“ გამონაკლისად აღიქმებოდა: ეგოიზმი მას „არაქალურს“ ხდიდა. როცა ვხედავთ, რომ ოცი წლის შემდეგ, ის არის ბრიტანული ფემინიზმის გმირი, ვინც უფლება დაგვრთო, ჩვენს ეგოისტურ ინტერესებს მივსდით, ეს განწყობის მნიშვნელოვან ცვლილებაზე მიგვანიშნებს.

ლიბერალიზმის ფემინისტი კრიტიკოსები დამაჯერებლად ამტკიცებდნენ, რომ პოლიტიკურ ლიბერალიზმში ოჯახის ნატურალიზაცია ნიშნავდა, რომ ქალები უბრალოდ ვერ იქნებოდნენ ისევე ეგოისტები და მესაკუთრეები, როგორც კაცები. მაგალითად, ვენდი ბრაუნი ამტკიცებდა, რომ ლიბერალიზმის სუბიექტი, ფუნდამენტურად თვითდაინტერესებული და თვითორიენტირებუ-

ლი ფიგურა, ერთობ განსხვავდება იმისგან, რაც ისტორიულად მამაკაცებს სურდათ რომ ქალები ყოფილიყვნენ და რადაც ქალებს სოციალურად ააგებდნენ.<sup>29</sup> ავტონომიური ქალი – უშვილო, დაუქორწინებელი ან ლესბოსელი ქალი – მიანიშნებდა, ერთი მხრივ, უნესრიგო საზოგადოებაზე ან დამახინჯებულ ბუნებაზე, ანდა, მეორე მხრივ, ინდივიდის უუნარობაზე, „მორგებოდა ფემინურობას“. ასეთი „არაბუნებრივი“ ფიგურები ააშკარავებენ, რომ სოციალური წესრიგი, რომელსაც ლიბერალიზმი მოიაზრებს, თავად არის ყოვლისმომცველად გენდერირებული, წარმოადგენს რა როგორც შრომის გენდერირებულ დანაწილებას, ისე სუბიექტების მგრძობელობების და ქმედებების გენდერირებულ დაყოფას. მნიშვნელოვანია, რომ ლიბერალურ პარადიგმაში ოჯახი წარმოისახება ბუნებითად და პრეპოლიტიკურად და ქალი, ოჯახის მთავარი მშრომელი და საკვანძო აღმნიშვნელი, აიგება როგორც ბუნებითად შესაფერი იმ მზრუნველობით და აღმზრდელობითი როლისთვის, რომელსაც ის ოჯახში ასრულებს.<sup>30</sup> ოჯახში ქალების ტრადიციული როლი იყო, დაეთმთთ საკუთარი თვითინტერესი, რათა მათ ქმრებსა და შვილებს შესძლებოდათ, შეეძინათ თავიანთი ავტონომიური სუბიექტურობა. ლიბერალური პოლიტიკური დისკურსი და პრაქტიკის საკვანძო ცნებები – ინდივიდი, ავტონომია, თვითინტერესი – ფუნდამენტურად ეყრდნობიან იმპლიციტურ ოპოზიციას იმ სუბიექტთან და ქმედებების წყებასთან, რომელიც „ფემინურად“ მოინიშნება, და, ამავდროულად, ნიღბავენ მასზე დამოკიდებულებას.<sup>31</sup>

თუმცა, ბრაუნი ასევე შენიშნავს კაპიტალიზმის საპირისპირო ტენდენციასაც, ძირი გამოუთხაროს სოციალურ განსხვავებებს გრძელვადიან პერსპექტივაში. კაპიტალიზმის ლოგიკა არ საჭიროებს გენდერულ დამორჩილებას: თავად სქესირებულ სხეულებში არაფერია ისეთი, რის გარეშეც კაპიტალიზმი ვერ იცოცხლებს. ქალები და კაცები შეიძლება „იქცნენ ურთიერთთანაცვლებად ჭანჭიკებად მექანიზმში, სადაც ფიზიკური ძალა იშვიათად არის პრობლემა, სადაც სამუშაოს სტაბილურობას მცირე მნიშვნელობა აქვს, სადაც რეპროდუქციული შრომა თითქმის მთლიანად კომოდიფიცირდა და სადაც თავად რეპროდუქცია თითქმის გამიჯვანდია სქესირებული სხეულებისგან და, ყოველ შემთხვევაში, გამიჯვანდია შრომის სქესირებული დანაწილებისგან“.<sup>32</sup>

მე ვამტკიცებ, რომ ნეოლიბერალურმა გუვერნმენტალობამ ეკონომიკურზე თავისი ჭარბი აქცენტირებით, განავრცო კაპიტალიზმის ეს ტენდენცია,



მოახდინოს თავისი სუბიექტების ჰომოგენიზება. ისე ჩანს, რომ ქალები ახლა გახდნენ ლიბერალური სუბიექტები ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: ისინი არა მხოლოდ უფლებების ინდივიდუალური სუბიექტები არიან, არამედ ინტერესის ეგოისტური სუბიექტებიც. ისინი უკვე არა მხოლოდ სარგებლობენ პოლიტიკური ლიბერალიზმის მიერ გარანტირებული უფლებებით, [არამედ] არიან ეკონომიკური ლიბერალიზმის მიერ მოაზრებული სუბიექტებიც: ინდივიდები, რომლებიც თავიანთ ინტერესებს მისდევენ და რეაგირებენ, პირველ რიგში, ეკონომიკურ მოგებებსა და დანაკარგებზე. ახლა უკვე ადვილად წარმოსადგენია, რომ ქალის ინტერესები შეიძლება აღარ ემთხვეოდეს ქმრის ან შვილის ინტერესებს: ახალ ფემინისტებს უნდათ არა ბედნიერი ოჯახი, არამედ ფული, ძალაუფლება და წარმატება. ისინი ინტერესის ატომისტური, ავტონომიური სუბიექტები არიან, რომლებიც ხელმისაწვდომი შესაძლებლობებისთვის თავისუფალ კონკურენციაში არიან ჩაბმულნი.

ეს გულისხმობს, რომ ქალებს ახლა მართავენ და დაიქვემდებარებენ ახალი მექანიზმების, კერძოდ, მათი ეკონომიკური ინტერესების მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ ნორმატიული ფემინურობის ჩვევები ახლებური გზით მიეჭაჭვა ეკონომიკურ სარგებელს. ქალები ფემინურობის ნორმატიულ ჩვევებში თავიანთ მონაწილეობას სულ უფრო მეტად ასაბუთებენ თავიანთივე ეკონომიკური ინტერესებით და არა მამაკაცების ინტერესებით. ქალები უკვე იმიტომ კი არ ატარებენ გრძელ, მანიკურიან ფრჩხილებს, რომ ეს მათი მამაკაცი პარტნიორებისთვის სექსუალურად მიზიდველი და აღმგზნებია, არამედ იმიტომ, რომ მანიკურიანი ფრჩხილები ახლა პროფესიული და ფინანსური წარმატების სიმბოლო გახდა, სიმბოლო, რომელიც ქალებს სავარაუდოდ დაეხმარება, წინ წაიწიონ კარიერაში. ამგვარადვე, მაგალითად, კოსმეტიკური ქირურგიის პაციენტებთან ინტერვიუებში, ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რომლითაც ქალები ასაბუთებენ ოპერაციის ჩატარებას, ისაა, რომ ეს შეიძლება კარიერულად [მომგებიანი] სვლა იყოს.<sup>33</sup> ფემინური გარეგნობა მიიჩნევა მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, რომლითაც ქალებს შეუძლიათ თავიანთი ადამიანური კაპიტალი გაზარდონ. ნეოლიბერალი სუბიექტი სულ უფრო მეტად აღიქვამს ფემინურ გარეგნობას, ისევე როგორც საკუთარ სხეულს, ინვესტიციად, რომელმაც შეიძლება სასურველი მოგება მოიტანოს. ეს ნიშნავს, რომ ფემინური სილამაზის ნორმატიულ პრაქტიკებს უკვე აღარ განამტკიცებს



მხოლოდ ის დახვეწილი დისციპლინური მექანიზმები, რომლებიც ბარტკიმ აღწერა – რომ ქალები აითვისებენ ფემინურობის ჩვევებს სოციალური სანქციებისა და ჭილდოების – მაგალითად სირცხვილის ან სექსუალური მონონების – ქსელის მეშვეობით. ახლა, მას განამტკიცებს რაციონალობაც, რომელიც ფინანსურ დანაკარგს და სარგებელს ეფუძნება.

თუკი ბარტკი ამტკიცებდა, რომ ლამაზი ან სექსუალური სხეულის წარმოდგენას ქალებისთვის ყურადღება და მონონება მოაქვს, მაგრამ ამას შედეგად არ მოსდევს რაიმე რეალური სოციალური ძალაუფლება, სიტუაცია ამ მხრივ, ზედაპირულ დონეზე, საგრძნობლად შეიცვალა. როგორ ჩანს, უოლტერსი მართალია, როცა ამტკიცებს, რომ წარმატებული ნორმატიულად ფემინური იერი აღარ არის უპირატესად მორჩილების ნიშანი და ეკონომიკური წარმატების და სოციალური ძალაუფლების მნიშვნელოვანი სიმბოლო გახდა. იდეალიზებულ ფემინურობას და ეკონომიკურ წარმატებას შორის კავშირის მჭიდრო და მკვეთრად გამოხატული გახდა. ფემინური გარეგნობის ყველაზე წარმატებული მაგალითი ჩვენს საზოგადოებაში უკვე აღარ გამოხატავს მსახურებას – ოფიციანტები, სტიუარდესები ან მდივნები. დღესდღეობით, ფემინურ იერს ყველაზე უკეთ იძენენ ქალები, ვისაც ძალაუფლება და ფული აქვთ: ქალი მენეჯერები და პოლიტიკოსები. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც გარეგნობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე და თანამედროვე ქალმა მომხმარებელმა ეს კარგად იცის.

ამან არ უნდა მოგვატყუოს და არ უნდა ვიფიქროთ, რომ ფემინურობა და მისი ღრმა კავშირი მსახურებასთან, უანგარობასთან და დამოკიდებულებასთან საფუძვლიანად ჩამოინგრა. საქმე არც ისე დგას, რომ გამქრალიყოს ლიბერალიზმის სტრუქტურული დამოკიდებულება თავის „სხვებზე“ – არსებებზე, რომლებიც ოჯახური უანგარობის და დამოკიდებულების სამყაროს მიეკუთვნებიან და შესაძლებელს ხდიან სხვების ავტონომიასა და ეგოიზმს. როცა ბრაუნი წერს, რომ თანამედროვე განვითარებულ კაპიტალიზმში „თავად რეპროდუქცია თითქმის გამიჯნაღია სქესირებული სხეულებისგან“<sup>34</sup>, ჩვენ აქცენტი უნდა დავსვათ სიტყვაზე „თითქმის“. მანამ, სანამ ჩვენი ცხოვრება ფუნდამენტურად მიმართულია ოჯახსა და სუბიექტების ქმედებებისა და მგრძნობელობის გენდერირებულ დაყოფაზე, ნეოლიბერალური, წმინდად თვითდაინტერესებული ფემინური სუბიექტი სოციალური წესრიგის კოლაფსის მომასწავებელი იქნებოდა; კოლაფსის, რომელიც არსად ჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახური ღირებულებების დამცველები ხმა-მალლა გაჰყვირიან ამ კოლაფსის დადგომის შესახებ, მე ვამტკიცებ, რომ ნორმატიული, მორჩილი ფემინურობა კვლავაც უწევს აუცილებელ სამსახურს ლიბერალურ პოლიტიკურ და სოციალურ წესრიგს. თუმცა, ის შეურიგებელი დუალიზმები, რომლებიც პოლიტიკურ ლიბერალიზმს ადგენენ – ინდივიდი/ოჯახი, ავტონომია/დამოკიდებულება, თვითდანიტერესება/უანგარობა – [ძველებურად] ზუსტად აღარ გაკვეთს ორ გენდერს და ამის სანაცვლოდ, სულ უფრო მეტად ახასიათებს იმ მომუშავე ქალების ფსიქიკურ ცხოვრებას, რომლებიც ფემინურობის კონფლიქტურ მოთხოვნებს შორის იხლიჩებიან; ასევე, ქალების სხვადასხვა ჯგუფს შორის დაყოფას. ცალკეული ქალების თვითდანიტერესების საფასური შეიძლება სხვების დაქვემდებარება და ექსპლუატაცია იყოს: ნარმატებულ ახალ ფემინისტს შეუძლია, სხვა ქალებისგან იყიდოს ბავშვის მოვლა ან საოჯახო საქმე.<sup>35</sup>

ამიტომაც, მნიშვნელოვანია დავინახოთ, რომ ნეოლიბერალური გუვერნმენტალობა გენდერული დაქვემდებარებისგან განსხვავებული ლოგიკით მოქმედებს. ნაცვლად იმისა, რომ ფემინური სუბიექტების დისციპლინირებისთვის სირცხვილთან, სოციალურ სანქციებთან და სექსუალურ ჭილდოებთან დაკავშირებული ნორმალიზაციის ჩვევები გამოიყენოს, ის სულ უფრო მეტად ჩააშენებს ნორმატიული ფემინურობის ჩვევებს მათი ეკონომიკური რაციონალობის მეშვეობით. აქცენტი გადადის გარემოს შემადგენელ ცვლადებზე, რომლებიც განსაზღვრავენ და ზღუდავენ ქალების ქცევას მომხმარებლებისა და საკუთარი თავის მენარმეების ქცევად.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ პირადი თავისუფლება და არჩევანი, რასაც ნეოლიბერალური გუვერნმენტალობა მოიცავს, ამ ძალაუფლებრივი ტექნიკის არსებითი კომპონენტია. პირადი არჩევანის იდეა ეფექტურად ნიღბავს ძალაუფლების სისტემურ ასპექტებს – დომინაციას, სოციალურ იერარქიებს, ეკონომიკურ ექსპლუატაციას – რადგან ის უბოძებს სუბიექტებს თავისუფლებას, აირჩიონ სხვასხვა ვარიანტს შორის და, ამავდროულად, ართმევს ყოველგვარ რეალურ შესაძლებლობას, განსაზღვრონ ეს ვარიანტები ან ფორმა შეუცვალონ მათ. თავისუფალ არჩევანზე ეს ჭარბი ფოკუსირება ნეოლიბერალური გუვერნმენტალობის ალბათ ყველაზე სახიფათო ასპექტია ფემინიზმისთვის. ქალების გათავისუფლების საბოლოო გახდა ინდივიდუალური არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა: გახდნენ

მენეჯერები ან პროსტიტუტები, გადაიხადონ თეთრი ქორწილი ან იყიდონ პორნოგრაფია. ძალაუფლება სულ უფრო მეტად მიიჩნევა უბრალოდ კიდევ ერთ რამედ, რაც ქალმა შეიძლება აირჩიოს. ამ ჩარჩოს შიგნით, ის ფაქტი, რომ ბევრი ქალი არჩევს დარჩეს სახლში ან უარი თქვას უფრო მომთხოვნ მალალანაზღაურებად სამსახურზე, გაიგება ერთმნიშვნელოვნად, როგორც მათი პირადი, თავისუფალი არჩევანი. სოციალური ან პოლიტიკური წარმატების წინაღობები პირადი ან ფსიქოლოგიურია და არა პოლიტიკური. რაკი ნეოლიბერალი სუბიექტი თვითინტერესის თავისუფალი ატომია, სრულად პასუხისმგებელი იმაზე, თუ როგორ გაიკვალავს გზას სოციალურ სამყაროში. იმათმა, ვინც წარმატებას ვერ აღწევს, ეს მხოლოდ საკუთარ თავებს შეუძლიათ დააბრალონ.<sup>36</sup>

არჩევანზე ამ ჭარბი ფოკუსირების ცხადი პრობლემა ისაა, რომ ქალები ისევე მარტივად ვერ აირჩევენ ძალაუფლებას, როგორც ამა თუ იმ საქორწილო კაბას. ქალებს უწევთ, თავიანთი არჩევანი გააკეთონ ძლიერ არათანასწორი ძალაუფლებრივი ურთიერთობების ქსელის შიგნით; ძალაუფლებრივი ურთიერთობების, რომლებიც არა მხოლოდ ზღუდავენ მათ შესაძლებლობებსა და არჩევანს, არამედ, და ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, ააგებენ თავად მათ სუბიექტურობებსაც. ფუკოს ანალიზი და მისი ბარტკისეული ფემინისტური აპროპრიაცია უცვლელად მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ შეგვახსენებს, რომ სუბიექტის ფორმირება და ლიბერალური ინდივიდის თითქოსდა თავისუფალი არჩევანი ხდება ძლიერ ნორმატიული დისციპლინური პრაქტიკების გავლით. როგორც ზემოთ ვამტკიცებდი, ამჟამინდელი ნეოლიბერალური გუვერნმენტალობა კვლავაც ღრმადაა გადაჭაჭვული ძალაუფლების დისციპლინურ ფორმებთან. ქალების არჩევანს ველარ წარმოგვიდგენენ კრიტიკული [გააზრების] გარეშე, როგორც ავტონომიურს, ბუნებრივს ან რაციონალურს, თუკი მათ აღვიქვამთ ყოვლისმომცველი დისციპლინური ტექნიკების შედეგად. სხვადასხვა ტიპის ფემინისტურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქალები აყალიბებენ, მაგალითად, თავიანთ მისწრაფებებსა და იდენტობებს მხოლოდ სამუშაო [ბაზრის] კონტექსტის შიგნით და მხოლოდ მის შესაბამისად.<sup>37</sup> მათი სურვილები, სიამოვნებები და ამბიციები აიგება როგორც ფემინურობის ჩვენს კულტურაში დომინანტური იდეალებით, ისე იმ კონკრეტული დისციპლინური პრაქტიკებისა და ჩვევების მეშვეობით, რომლებში ჩართვაც მათ ყოველდღიურად უწევთ. იდეა, რომ ფემინურ სუბიექტებს აქვთ სტატიკუ-

რი ინტერესები და იდენტობები, რომლებიც წინ უსწრებს როგორც მათ არჩევანს, ისე იმ ძალაუფლებრივ ურთიერთობებს, რომლებშიც ისინი არიან ჩაქსოვილი, აბუნდოვანებს მამაკაცების ძალაუფლების სისტემურ ასპექტებს და მის სტრუქტურას. ეს კი, პარადოქსულად, ნიშნავს, რომ თავიანთი რწმენა უსაზღვრო შესაძლებლობებსა და არჩევანის თავისუფლებაში, ქალებს ხდის მეტად, და არა ნაკლებად, მონყვლადს სექსიზმისთვის.

თუკი ბარტკის ანალიზი აღიარებს ჩვევის ძალას – როგორ ხდება, რომ ჩვენი ქმედებები არასდროს არის უბრალოდ თავისუფალი არჩევანის საკითხი და ყოველთვის არის დაკავშირებული სოციალურ ნორმებთან, სანქციებთან და ჭილდოებთან – ნეოლიბერალური ჩარჩო ამ თვალსაზრისს გადაფარავს. ქალები კვლავაც იშინაგანებენ სოციალურ დაყოფებს და ძალაუფლებრივი იერარქიებს გენდერის ყოველდღიური ჩვევების გავლით იმ ზომამდე, რომ ისინი მათი სუბიექტურობის ნაწილი ხდება. ოღონდ, ახლა, ამ ტექნიკებს, ისევე როგორც იმ იერარქიებს, რომლებსაც ისინი იმეორებენ და განამტკიცებენ, უფრო წარმატებულად წარმოგვიდგენენ ინდივიდუალური გადანყვვტილების შედეგად. ამ ცვლილებას შედეგად მოჰყვა ამ პრაქტიკების გაინტენსიურება. რწმენა, რომ ქალები სრულად აკონტროლებენ თავიანთ ცხოვრებას, რომ ტრადიციული ფემინურობა მათი არჩევანია და რომ მათ შეუძლიათ ყველაფერს მიაღწიონ არათუ ფემინურობის მიუხედავად, არამედ მისი დახმარებით, ქალებს გენდერის ნორმატიული ტექნიკებისადმი უფრო დამყოლს ხდის. თუკი ვირწმუნებთ ნეოლიბერალურ დოქტრინას, რომ სუბიექტები არაფერს აკეთებენ ისეთს, რაც მათ ინტერესებში არ შედის, მაშინ გამოდის, რომ ნორმატიული ფემინურობაა, რაც მართლა გვსურს.

ამიტომაც, უმთავრესია, რომ ფემინისტები ნეოლიბერალიზმის კრიტიკული ანალიზით დაკავდნენ. თუ გვსურს წინააღმდეგობა გავუწიოთ ჩვენს საზოგადოებაში მოქმედ ახალ ძალაუფლებრივ მექანიზმებს, მაშინ უნდა გამოვამჟღავნოთ ისინი და გავიგოთ მათი რაციონალობა. არა იმისათვის, რომ გავიგოთ, სინამდვილეში ვინ ვართ, არამედ იმისათვის, რომ შევიძინოთ კრიტიკული პერსპექტივა ამჟამინდელ გენდერულ ტექნიკებსა და სუბიექტის ფორმებზე. თუნდაც ეს ნიშნავდეს, რომ ფემინიზმი მოდური აღარ არის, მსხვერპლებად გვაქცევს და შოპინგში ხელში გვიშლის, ამ ამოცანაზე ხელს ვერ ავიღებთ.

## შენიშვნები

1 Judith Butler, *Gender Trouble* (London: Routledge, 1990), p. 2.

2 ob. Michel Foucault, *Discipline and Punish. The Birth of the Prison*, trans. A. Sheridan (London: Penguin, 1991), p. 222.

3 ლიბერალიზმის ფემინისტური კრიტიკა ფემინისტური პოლიტიკური ფილოსოფიის ცენტრალური ნაკადი გახდა. როგორც Mary Dietz წერს წიგნში „Turning Operations: Feminism, Arendt and Politics (London: Routledge, 2002, p. 28) „ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ასეთი კრიტიკა ერთგვარ კუსტარულ ინდუსტრიად იქცა ფემინისტური თეორიის შიგნით. ფემინისტებმა კრიტიკულად გადასინჯეს ლიბერალიზმის იმპლიკაციები ეთიკის და მორალის თეორიისთვის და დაუპირისპირდნენ დაშვებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ლიბერალურ ამროვნებას და განსაზღვრავს მის პოლიტიკას. ამ კრიტიკოსთაგან ბევრი უარს ამბობს სახელმწიფოს მიერ დაცულ უფლებებზე ლიბერალურ ფოკუსირებაზე და აკრიტიკებს იმ აბსტრაქტულ ინდივიდუალიზმს, რაციონალურ ეგოიზმს და სოციალური ურთიერთობების ინსტრუმენტალურ კონცეფციას, რომელიც ლიბერალურ პოლიტიკურ თეორიას განსაზღვრავს. საკვანძო საკითხი, რომელიც საფუძვლად უდევს ფემინისტური კრიტიკის სხვადასხვა ნაკადს არის ლიბერალი სუბიექტის ფილოსოფიური უარყოფა. ფემინისტები ამტკიცებდნენ, რომ ატომისტური ინდივიდის იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს ლიბერალურ ამროვნებას, ონტოლოგიურად ყალბია, რადგანაც სუბიექტები მნიშვნელოვანწილად არიან ურთიერთდამოკიდებულნი და აგებულნი თავიანთი მიმართებებით და ძირითადი სოციალური ურთიერთობებით. ფემინისტური კრიტიკის მეორე ნაკადი კონცენტრირდა კაცებისკენ მიკერძოებულობაზე, რომელიც დომინირებს სუბიექტის ლიბერალიზმისეულ გაგებაში: რაციონალური, ძლიერ კონკურენტული და თვითდაინტერესებული სუბიექტი შეიძლება ადეკვატურად აღწერდეს მამაკაც-სუბიექტს, მაგრამ არ შეესაბამება ქალების გამოცდილებას. სხვა სიტყვებით, თუნდაც სუბიექტის ლიბერალიზმისეულ გაგებას რაიმე სიმართლევაც ახლდეს თან, ის მაინც ვიწრო და მიკერძოებული აღწერაა, რადგანაც ემყარება სუბიექტის, როგორც დამოუკიდებელი, თვითდაინტერესებული, ეკონომიკური არსების მასკულიზურ კონცეფციას. ლიბერალური სუბიექტის ფემინისტური კრიტიკისთვის, იხ. მაგ., Carole Pateman, *The Problem of Political Obligation: A Critique of Liberal Theory* (Berkeley, CA: University of California Press, 1979); Jean Elshtain, *Public Man, Private Woman* (Princeton, NJ: Princeton University Press, 1981); Alison Jaggar, *Feminist Politics and Human Nature* (Totowa, NJ: Rowman and 118 Downloaded by [Chinese University of Hong Kong] at 04:59 04 October 2015 Allanheld, 1983); Virginia Held, *Rights and Goods: Justifying Social Action* (New York: Free Press, 1984); and Dietz op. cit.

4 დისციპლინური ძალადობის იდეის სხვა ფემინისტური აპროპრიაციებისთვის იხ. მაგ. Susan Bordo, 'The Body and the Reproduction of Femininity: A Feminist Appropriation of Foucault' in Allison Jaggar and Susan Bordo (eds.), *Gender/Body/Knowledge* (New Brunswick, NJ: Rutgers, 1989), pp. 13-33 and 'Feminism, Foucault and the Politics of the Body' in C. Ramazanoglu (ed.), *Up against Foucault* (London: Routledge, 1993), pp. 179-203.

5 ფუკო (*op. cit.*, p. 135) ამტკიცებს, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში, მაგალითად, ჯარისკაცი თავის პროფესიას ძირითადად კვლავაც უშუალოდ ბრძოლის პროცესში ეუფლება, როცა ამტკიცებს თავის ბუნებრივ ძალას და თანდაყოლილ სიმამაცეს. მაგრამ შეთვრამეტე საუკუნეში ჯარისკაცი მებრძოლი მანქანა გახდა, რაღაც, რისი აგებაც შეიძლება სწორი წვრთნის მეშვეობით,

6 Bartky, Sandra Lee 'Foucault, Femininity and the Modernization of Patriarchal Power' in I. Diamond and L. Quinby (eds.), *Feminism and Foucault: Paths of Resistance* (Boston, MA: Northeastern University Press), 61-85, p. 75.

7 იქვე

8 გენდერის, როგორც შეძენილი ჩვევის იდეა დამახასიათებელია როგორც პოსტ-სტრუქტურალისტური მიდგომებისთვის, მაგალითად, ბატლერის პერფორმატიული გენდერის თეორიისთვის, ისე ფენომენოლოგიური მცდელობებისთვის, მაგალითად, ტიპურად ფემინური მოძრაობების მერიონ იანგისეული ანალიზისთვის. იხ. Judith Butler, *Gender Trouble*, *op. cit.*, and Iris Young, *Throwing like a Girl and Other Essays in Feminist Philosophy and Social Theory* (Indianapolis, IN: Indiana University Press, 1990).

9 Sandra Bartky, 'Sympathy and Solidarity' and Other Essays (Lanham: Rowman & Littlefield, 2002), p. 4.

10 იხ. მაგ. See. for example, Jason Read, 'A Genealogy of Homo Economicus: Neoliberalism and the Production of Subjectivity' in *Foucault Studies*, no. 6, pp. 25-36. ამ სტატიის ქართული თარგმანი შეგიძლიათ იხ.: [https://emc.org.ge/2014/05/14/homo-economicus-is\\_genealogia/](https://emc.org.ge/2014/05/14/homo-economicus-is_genealogia/)

11 Michel Foucault, *The Birth of Biopolitics. Lectures at the College de France 1978-1979* (Basingstoke: Palgrave, 2008), p. 259. I refer to this text henceforth as BB.

12 ფუკოს ეს და სხვა ციტატები ფრანგულიდან თარგმნა ლუკა ნახუცრიშვილმა.

13 Trent Hamann ('Neoliberalism, Governmentality and Ethics' in *Foucault Studies*, no. 6, 2009, 37-59, p. 48), ყურადღებას ამახვილებს აშშ-ში პატიმრების რიცხვის შე-

მამფოთებელ ზრდაზე და მსოფლიოს მასშტაბით თვალთვალის ტექნოლოგიების მომრავლებაზე. ამგვარადვე, აშშ-ის მთავრობის მიერ წამების გამოყენების საჯარო აღიარებაში შეგვიძლია ამოვიცნოთ სუვერენული ძალაუფლების ერთ-ერთი მთავარი მანიშნებელი.

14 ფუკო განიხილავს ხშირად ციტირებულ პასაჟს ჰიუმის გამოკვლევებიდან, სადაც ის გვთავაზობს, ვკითხოთ კაცს, რატომ ვარჯიშობს. ის გვიპასუხებს, რომ სურს ჭანმრთელობა შეინარჩუნოს. თუკი კიდევ ჩავვიძიებთ და ვკითხავთ, რატომ სურს, ჭანმრთელობა შეინარჩუნოს, ის აღნიშნავს, რომ ავადმყოფობა მტკივნეულია. თუმცა, კაცი ვერ შეძლებს უპასუხოს საბოლოო შეკითხვას, თუ რატომ ეზიზღება ტკივილი. ფუკო ამტკიცებს, რომ ჰიუმისთვის ინდივიდუალური გადაწყვეტილება არარედუციურებადია იმ აზრით, რომ ის ქმნის რეგრესიულ საბოლოო წერტილს ადამიანური ქცევის ანალიზისთვის. ის ასევე არატრანსფერირებადია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვერასდროს შევძლებთ სხვა ადამიანის ინტერესი ჩვენსაზე წინ დავაყენოთ. თუმცა, ალტრუსტული არჩევანის შემთხვევაშიც კი, ჩემი არჩევანის პრინციპი კვლავაც ეფუძნება ტკივილისა და სიამოვნების ჩემეულ განცდას, ოღონდაც ამ შემთხვევაში, სხვა პიროვნების კმაყოფილება მეტ სიამოვნებას მანიჭებს, ვიდრე თავად ჩემი. ფუკო (*The Birth of Biopolitics*, op. cit., p. 272) განიხილავს ჰიუმის ცნობილ აფორიზმს, სადაც ის ამტკიცებს, რომ „არაგონივრული არ არის, თითის გაჭრას მთელი სამყაროს განადგურება მერჩივნოს“. *A Treatise of Human Nature* (ed. Selby-Bigge, Oxford: Clarendon Press, 1975, p. 293),

15 ფუკო შენიშნავს, რომ რომ სმიტის ცნობილ თეორიაში უხილავი ხელის შესახებ, როგორც წესი, ხაზს უსვამენ „ხელს“, სხვა სიტყვებით, ხაზს უსვამენ რომ არსებობს რაღაც განგების მაგვარი, რომელიც თავს მოუყრის ყველა გაბნეულ ძაფს. მაგრამ ფუკოსთვის, მეორე ელემენტი, „უხილავობა“, სულ მცირე, ასევე მნიშვნელოვანია. საერთო რაციონალობა ყოველთვის უხილავი დარჩება, რაც ნიშნავს რომ ვერცერთი ეკონომიკური აგენტი ვერ შეძლებს და არცერთმა არ უნდა ცადოს, მისდოს კოლექტიურ ინტერესს, და ამის ნაცვლად, მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე უნდა კონცენტრირდეს. იხ. *BB 279-80*

16 იხ. მაგ. Gary Becker, *The Essence of Becker*, ed. R. Febrero and P. Schwartz (Stanford, CA: Hoover Institution Press, 1995), pp. 218-39 and 329-42.

17 ადამიანური კაპიტალის თეორია, რომელიც ჩიკაგოს სკოლის ეკონომისტებმა, მათ შორის გარი ბეკერმა, შეიმუშავეს 60-იანებში და ადრეულ 70-იანებში, იყო მცდელობა, ამოვსებულიყო ნაპრალი ფორმალურ ეკონომიკურ ანალიზში ერთიანი ახსნის შემოთავაზებით ემპირიული ფენომენების ფართო სპექტრისთვის, რომლებსაც იქამდე ან ad hoc ინტერპრეტაციებს უძებნიდნენ ან მკვლევრებისთვის გამოცანად რჩებოდა. ბეკერი, მაგალითად, განიხილავს ისეთ ფენომენებს, როგო-



რიცა ის ფაქტები, რომ შემოსავალი ასაკის მატებასთან ერთად კლებადი ტემპით იზრდება და რომ უმუშევრობის მაჩვენებელი უკუპროპორციულადაა დაკავშირებული პროფესიული უნარების დონესთან. იხ. Gary Becker, 'Investment in Human Capital: A Theoretical Analysis', *The Journal of Political Economy*, vol. 70, no. 2, 1962, Part 2: Investment in Human Beings, 9-49; and Theodore Schultz, 'Reflections on Investment in Man', *The Journal of Political Economy*, vol. 70, no. 2, 1962, Part 2: Investment in Human Beings, 1-8.

18 ყველაზე შთამბეჭდავი მაგალითი, რომელსაც ფუკო განიხილავს, დედისა და შვილის ურთიერთობაა. [BB 229-230, 243-244]. ნეოლიბერალური ეკონომიკური ანალიზი განიხილავდა დროს, რომელსაც დედა ატარებს შვილთან ერთად, ისევე როგორც მისი მზრუნველობის ხარისხს, ინვესტიციად, რომელიც ქმნის ადამიანურ კაპიტალს და რომლისგანაც დედა სარგებელს უნდა ელოდოს. ინვესტიცია ბავშვის ადამიანური კაპიტალში მოიტანს მოგებას, როცა ბავშვი გაიზრდება და შემოსავლის მიღებას დაიწყებს. ამგვარადვე, ქორწინების ეკონომიკური ანალიზები შეგვიძლია წავიკითხოთ როგორც მცდელობა, ეკონომიკური ცნებებით გაიზიაროს ტრადიციულად არაეკონომიკურად მიჩნეული სოციალური ქცევა. სოციალური ურთიერთობები შეგვიძლია განვიხილოთ ინვესტიციის ფორმებად: არის კაპიტალის დანახარჯები და ამონაგები ინვესტირებულ კაპიტალზე.

19 იხ. Read, ციტირებული სტატია., p. 31

20 იხ. მაგ., Palley 'From Keynesianism to Neoliberalism: Shifting Paradigms in Economics' in *Neoliberalism: A Critical Reader*, ed. A. Saad-Filho and D. Johnston (London: Pluto Press, 2005).

21 იხ. Hamann, ციტირებული სტატია, p. 40.

22 Natasha Walters, *The New Feminism* (London: Virago, 1998), p. 6.

23 თეთრი ქორწილი (*White Wedding*) – ბრიტანული ტრადიციიდან დამკვიდრებული საქორწილო რიტუალის ფორმა. სახელი მომდინარეობს ამ რიტუალისას პატარძლის კაბის ფერიდან. (მთარგმნელის შენიშვნა.)

24 იქვე. p. 98.

25 იქვე. p. 175.

26 იქვე. p. 193.

27 იქვე. p. 84-5.

28 იქვე. p. 86.

29 Wendy Brown, *States of Injury: Power and Freedom in Late Modernity* (Princeton: Princeton University Press, 1995), p. 157.

30 იხ. ასევე Carole Pateman, *The Sexual Contract* (Cambridge: Polity, 1988).

31 იხ. მაგ. See, for example, Wendy Brown, *ციტირებული ტომი*, p. 152.

32 Wendy Brown, *Edgework: Critical Essays on Knowledge and Politics* (Princeton, NJ: Princeton University Press, 2005), p. 106.

33 A. Elliott, *Making the Cut: How Cosmetic Surgery is Transforming our Lives* (London: Reaktion Books, 2008).

34 Wendy Brown, *Edgework*, *ციტირებული ტომი*, p. 106.

35 იხ. მაგ. Wendy Brown, *States of Injury*, *ციტირებული ტომი.*, p. 164.

36 როგორც ნეოლიბერალიზმის ბევრი კრიტიკოსი ამტკიცებს, ექსპლუატაცია, დომინაცია და სოციალური უთანასწორობის ყველა სხვა ფორმა უჩინარდება როგორც პოლიტიკური ფენომენი იმ ზომამდე, რომ თითოეული ინდივიდის სოციალური მდგომარეობა განისჯება როგორც მხოლოდ მისი გადანყვეტილებებისა და ინვესტიციების შედეგი. ნეოლიბერალური რაციონალობა, ამგვარად, საშუალებას იძლევა, თავიდან ავიცილოთ რაიმე სახის კოლექტიური, სტრუქტურული ან სამთავრობო პასუხისმგებლობა სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობაზე. იხ. Hamann, *ციტირებული სტატია*, p. 44. ასევე იხ. მაგ., Wendy Brown, *Edgework*, *ციტირებული ტომი*; David Harvey, *A Brief History of Neoliberalism* (Oxford: Oxford University Press, 2005); and Read, *ციტირებული სტატია*.

37 იხ. მაგ. Vicki Schultz, 'Women „Before” the Law: Judicial Stories about Women, Work and Sex Segregation on the Job' in J. Butler and J. Scott (eds.), *Feminists Theorize the Political* (London: Routledge, 1998), pp. 297-341.